

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ეტიმოლოგიური
ძიებანი
XIV

ედღვნება
გამოჩენილი ქართველი მეცნიერის
ილია აბულაძის
ხსოვნას

თბილისი
2017

UDC (uak) 81373.6(0512)

ე-871

„ეტიმოლოგიური ძიებანი“ ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია.

კრებული 1987 წელს დაფუძნდა **აკად. ქეთევან ლომთათიძის** ინიციატივით.

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ არაბული (მთავარი რედაქტორი)

ნანა მაჭავარიანი

მურმან სუხიშვილი

მედეა ღლონტი (რედაქტორი)

ვაჟა შენგელია

იზა ჩანტლაძე

მერაბ ჩუხუა

ზურაბ ჭუმბურიძე

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISSN 1987-9946

რადისლავ კანარკოვსკი

საერთო იბერიულ-კავკასიური ლექსიკონიდან:
ქართვულურ და მთის კავკასიურ მნათა „წყლის“
აღმნიშვნელი სიტყვები*

ქართული სიტყვა „წყლის“ და შესაბამის სიტყვათა მონათესავე ქართველურ ენებში ეტიმოლოგია დღემდე არ არის დამაჯერებლად განმარტებული, მით უმეტეს ცხადი არ არის მათი შესაძლო კავშირები მთის კავკასიურ ენათა ლექსიკასთან.

ქართ. წყ-ალ-ი

კოლხ. წყ-არ-ი

სვან. ლი-ც „წყალი“

ექვს არ ბადებს, რომ -ალ- ქართულში და -არ- კოლხურში სუფიქს-დეტერმინანტებია. სვანურში თავკიდური ლი- წარმოადგენს პრეფიქსს.

1942 წელს არნ. ჩიქობავამ მიუთითა შესაძლო კავშირზე სვან. ლი-ც „წყალი“ და ხუნძ. ი-ც: -ს „წყარო“ შორის¹. ამასთან დაკავშირებით შეკითხვა ჩნდება: რატომ არ არის „წყლის“ აღმნიშვნელი სიტყვა საერთო იბერიულ-კავკასიური ძირის მაგალითი. წინამდებარე ნაშრომში განხილულია უმთავრესად ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა შედარებითი მასალა.

აფხ. ა-ძგ; აბაზ. ძგ

უბიხ. ბზგ

ჩერქ. ფსგ „წყალი“

ს. ჩერქ. ფუძე, როგორც წესი, აღდგება: *ფსგ², მაგრამ ეს რეკონსტრუქცია შედეგად გვაძლევს დაუშლელ ფუძეს. ასეთი მოსაზრება მცდარია და შეცდომაში შეგვიყვანს.

თუ დავუშვებთ, რომ თავკიდური თანხმოვანი გაქვავებული კლას-ნიშანია, გვექნება შემდეგი სეგმენტაცია: უბიხ. ბ-ზგ; ჩერქ. ფ-სგ.

როგორც ცნობილია, კლასოვანი სისტემა საუკეთესოდაა შემორჩენილი დაღესტნურ ენებში, სადაც კლას-ნიშნები უმთავრესად

* იბეჭდება განხილვის წესით.

¹ ჩიქობავა 1942: 21.

² კვახაძე 2014: 30; შაგიროვი: 1977.

გამოხატულია მჟღერი თანხმოვნების საშუალებით და ამის საფუძველზე შეგვიძლია მივიღოთ, რომ ს. იბერიულ-კავკასიურსა და შემდეგ ს. აფხაზურ-ჩერქეზულშიც ამოსავალი კლას-ნიშნები იყო მჟღერი თანხმოვნები:

***ზ-, *დ-**. მათი დაყრუება:

***ზ->ფ-; *დ->თ-**

სახელური ძირის თავკიდური ყრუ თანხმოვნის ზეგავლენითაა გამოწვეული და უნდა იყოს მიჩნეული მეორეულად.

ეს პროცესი ფონოტაქტიკურად შეპირობებულია, ვინაიდან აფხ.-ად. ჯგუფში ანლაუტში დაშვებულია მხოლოდ ჰარმონიული ბგერათკომპლექსები. ზემოთქმულის შუქზე ჩერქ. **ფ-სგ** და უბიხ. **ბ-ზგ** აღდგება:

ჩერქ. **ფ-სგ** < ***ზ-სგ** < ***ზ-ს[◌]გ** < ***ზ-ს[◌]გ** < ***ზ-ს[◌]ა**

უბიხ. **ბ-ზგ** < ***ზ-სგ** < ***ზ-ს[◌]გ** < ***ზ-ს[◌]გ** < ***ზ-ს[◌]ა**

უბიხურმა შეინარჩუნა ამოსავალი მჟღერი კლას-ნიშანი **ბ-** და ამის შედეგად ჰარმონიული კონსონანტური ჯგუფის შესაძენად სახელური ძირის თავკიდური თანხმოვანი გაჟღერდა.

პარალელური მოვლენა შემოწმებულია აფხაზურსა და აბაზურში, სადაც:

ბგ < ***დ-ზგ** < ***დ-სგ** < ***დ-ს[◌]გ** < ***დ-ს[◌]ა** „წყალი“

აფხაზურ-აბაზურში პოვნიერია სხვა კლას-ნიშანი, მაგრამ ასეთი განსხვავება არ ჩანს უჩვეულო, მით უმეტეს რომ გაქვავებული წყვილბაგისმიერი კლას-ნიშანი დასტურდება როგორც შემადგენლი წევრი მრავალ აფხაზურ კომპოზიტში, სადაც პირველ ანუ მეორე ადგილზე დგას „წყლის“ აღმნიშვნელი ძირი, მაგ.:

ლაშ-ფ-სგ; ა-ხგ-ფ-ს < ***ა-ხგ-ფ-სგ** (ტოპონიმები) [ძირი მეორე წევრში დგას]

ა-ფ-ს-ლგ < ***ა-ფ-სგ-ლგ** „წავი“; **ა-ფ-სა-წლა** < ***ა-ფ-სგ-წლა** „სოჭი“¹ [ძირი პირველ წევრში დგას],

¹ ოსიძე 2013: 144

ს. აფხ.-ად. ფუძე აღდგება: *ბ-/დ-სგ < *-სგ < *-სა < *-სა

ზემოთ მოცემულ რეკონსტრუქციას ამტკიცებს მონათესავე ქართველურ და დაღესტნურ ენათა მონაცემებიც; შდრ.:

ქართ. წყ-ალ-ი, სადაც წყ- < *ც-ყ- და ც- < *ცი- < *ცი- < *თ-ს-ი- < *დ-ს-ი-

სვან. ლი-ც, სადაც -ც < *-ცი < *-ცი < *-თ-ს-ი < *-დ-ს-ი

ბეჟ. იც „წყარო“, სადაც -ც < *-ცი < *-ცი < *-თ-ს-ი < *-დ-ს-ი

ახვ. იცი: „წყარო“, სადაც -ცი: < *-ცი > *-თ-ს-ი < *-დ-ს-ი

ახვახური მაგალითი ამაზე მიუთითებს, რომ დაღესტნურში ძირის ბოლოკიდური ხმოვანია ყველაზე სავარაუდოდ იყო *-ი.

რაც შეეხება ქართველურ ენებს, შდრ.: ქართ. წყ-ილ-ი < *წი-ყვ-ილ-ი, სადაც თავკიდურში განხორციელდა პარალელური ბგერითი ცვლილება. ანალოგიურად ქართ. წყ-ალი უნდა იყოს აღდგენილი: წყ-ალ-ი < *ც-ყ-ალ-ი < *ცი-ყ-ალ-ი.

პარალელური ბგერითი განვითარება დასტურდება სხვა დაღესტნურ ენებშიც. სემანტიკური კავშირი „წყლისა“ და „წყაროს“ აღმნიშვნელ სიტყვათა შორის ბუნებრივი ჩანს. ყურადღებას იქცევს რეკონსტრუქციაში პოსტულირებული ლაბიალიზებული სიბილანტი *-ს°. ასეთი პოსტულატი ეყრდნობა ქართველურ და დაღესტნურ ენათა მონაცემებს; შდრ.:

ქართ. სვ-ელ-ი < *ს°-ელ-ი < *ს°-; კოლხ. შუ < *შ°უ- < *შ°ი- < *ს°ი- „სველი“¹

¹ წინამდებარე ნაშრომის ავტორი ვერ იზიარებს ვრცლად მიღებულ თეორიას, რომლის თანახმად თანამედროვე ქართველურ ენათა სისინა და შიშინა სპირანტები და აფრიკატები წარმოიქმნა ფუძე-ენისეულ სისინ-შიშინა თანხმოვნებისაგან. როგორც დამტკიცებულია, იბერიულ-კავკასიურ ენათა (და მათ შორის ქართველური ჯგუფის განსაკუთრებით) კონსონანტური სისტემების განვითარებისათვის დამახასიათებელია არტიკულაციის უკან გადაწევის ტენდენცია (იხ. აზაშია 2010: 150). მაშასადამე, ქართული ვითარება: ს,ზ; ც,ძ უნდა იყოს მიჩნეული ამოსავლად და პოსტულირებული ს.ქართველურისათვის. გაშიშინება (რაც თანაბარია არტიკულაციის უკან გადაწევასთან) გვიანდელი პროცესია. აქ წარმოდგენილი კონცეფცია ჩანს მთლიანად ლოგიკური ფონეტიკური თვალსაზრისით და მაშინ საჭირო არ არის სისინ-შიშინა

ჰამ. $o^{\sim}c^{\circ} < *o-n-c^{\circ} < *ic^{\circ} < *o-c^{\circ}$, სადაც $-c^{\circ} < *-c^{\circ} < *-t-s^{\circ} < *-d-s^{\circ}$ „წყარო“

ხინ. ხუ < *ხო < *ხოი < *სი < *ცი < *თ-სი < *დ-სი „წყალი“

ხინალულური ფორმა წარმოადგენს ნაწილობრივ საბუთს მონათესავე ლეზგიურ ენათა ფორმების გათვალისწინებით, არ ჩანს შესაძლებელი, რომ ფუძისეული ხმოვანი გადავიდეს -უ -ში მომდევნო კლას-ნიშნის ბილაბიალური -ბ თანხმოვნის ზეგავლენით. ყველა დანარჩენ ენაში დასტურდება მხოლოდ დენტალური დ- კლას-ნიშანი, ზოგ შემთხვევაში ფონეტიკურად გარდაქმნილ სახეში, შდრ.:

რუთ. ხე-დ; ბუდ. ხა[~]-დ; წახ. ხ[~]-ან < *ხ[~]-ად; აღ. შე-რ < *შე-დ < *ხე-დ „წყალი“.

იმაზე დაყრდნობით, რომ არც ერთ შემთხვევაში მოტანილ მაგალითში სიბილიანტის ლაბიალიზაცია არ შეიძლება იყოს ახსნილი როგორც მეორეული, ბგერითი გარემოცვით შეპირობებული ბგერითი ცვლილება, იგი უნდა იყოს ჩათვლილი ამოსავლად.

აფხ.-ად. ჯგუფში განხორციელდა დელაბიალიზაცია [იხ. ზემოთ].

ზემოთ წარმოდგენილის შუქზე სვან. ლი-ც აღდგება:

$*-c < *-ci < *-c^{\circ} < *-t-s^{\circ} < *-d-s^{\circ}$

თავკიდური ლი- სვანური პრეფიქსია, რომელიც იხმარება მასდარის და მასდარისეული (ნაზმნარი) სახელური დერივატების საწარმოებლად. აქედან მომდინარეობს, რომ სვან. ლი-ც სავარაუდოდ უნდა ინტერპრეტირებულ იყოს როგორც ნაზმნარი სახელი წარმომავლობით.

ლი-ც -ის გვერდით დასტურდება მეორე ვარიანტი: ნი-ც¹.

თანხმოვანთა აღდგენა, რაც აგრეთვე, ჩემი აზრით, გაცილებით უფრო ბუნებრივია, ვინაიდან ასეთი თანხმოვნები ძალიან იშვიათია და დასტურდება მხოლოდ აფხაზურ-ადიღურ ჯგუფში.

¹ ამ ფუძეთა ურთიერთიმარტობასა და წარმომავლობაზე სიდრმისეული მსჯელობისათვის იხ. ჩანტლაძე 2012: 164-165.

აქ შესწავლილ ძირს იქნებ უკავშირდება ქართ. ფ-შა, სადაც ფუნდა იყოს ჩათვლილი გაქვავებულ კლას-ნიშნად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ: ფ-შა < *ფ-სა < *ფ-სა < *ზ-სა.

როგორც ჩანს, იმ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზანურ ნასესხობასთან და იმ ფაქტით იხსნება ძირეული სპირანტის გაშიშინება. ქართულში მოსალოდნელი ფორმა იქნებოდა: †ფსა.

სიტყვა „წყალს“ სემანტიკურად მჭიდროდ უკავშირდება სიტყვა „ზღვა“.

ქართ. ზღვა; მეგრ. ზღვა; ლაზ. მზოლა/ზოლა/ზულა; სვან. ძუ-ლუ^აჟა -

ამ სიტყვის ეტიმოლოგია აქამდე იყო განხილული რამდენიმე ავტორის მიერ¹. ჩემი შეხედულებით, აქ შესწავლილი არსებითი სახელი არის ლექსიკალიზებული კომპოზიტი. საზღვარი მორფემათა შორის შემდეგია: ქართ. ზ-ღვა, რასაც კარგად შეესატყვისება ს.ქართვ. ფუძე *ზ-ღ^ა -ს. ამის გამო ქართული ფონეტიკური ვითარება უნდა იყოს მიჩნეული ამოსავლად. კომპოზიტის პირველი წევრი სავარაუდოდ კავშირში დგას აფხ.-ად. „წყლის“ აღმნიშვნელ ძირთან: ძგ- < *დ-ზგ < *დ-სგ < *დ-ს^გ-, რომელიც ქართველურ მასალაშიც შემოწმებულია ზედსართავებში: ქართ. სვ-ელ-ი < *სუ^ა-ელ-ი < *ს^ა-ელ-; მეგრ. შ-ურ-ი „სველი“, შდრ. აგრეთვე ზემოთაც.

ბგერითი ცვლილება მდგომარეობს საწყის საფეხურზე პირველი მარცვლის ხმოვნის სინკოპეში, რაც იხსნება მისი ადგილმდებარეობით კომპოზიტის პირველ წევრში: *ძგ-ღ^ა > *ძ-ღ^ა. მერე კი თავკიდური აფრიკატის გამარტივებაში დისიმილაციის შედეგად: *ძ-ღ^ა [დზ-ღ^ა] > *ზ-ღ^ა. უკანასკნელ საფეხურზე განხორციელდა ლაბიალური კოარტიკულაციის ფონოლოგიზაცია და ის გარდაიქმნა ლაბიოდენტალურ სპირანტად: *ზ-ღ^ა > *ზ-ღუ^ა > ზ-ღვა > ზღვა.

როგორც ამოსავალი აფრიკატი, ისევე ლაბიალიზებული ძირეული თანხმოვანი შემოგვრჩა სვანურმა: ძულუ^ა. რაც შეეხება კომპო-

¹ ოსიძე 2013: 144-149; ჩუხუა 2013: 74-76.

ზიტის მეორე წევრს, იგი რეალურად დასტურდება როგორც nomen simplex სიტყვაში: ღვ-არ-ი < *ლუ^ა-არ-ი < *ლ^ა-არ-ი < *ლ^ა-არ-ი; ამის გარდა: ნი-ა-ღვ-არ-ი¹.

სახელურ ძირს ემატება სუფიქს-დეტერმინანტი: -არ-, ხმოვნები მიჯნაზე ძირსა და სუფიქსს შორის ექვემდებარება კონტრაქციას: *ა-ა > -ა-.

ჩემი მოსაზრებით, ძირი *ლ^ა- მომდინარეობს *ზ^ა-სგან. ამ შემთხვევაში სპირანტის სონორიზაცია: *ზ^ა- > *ლ^ა- შეიძლება იყოს განმარტებული მხოლოდ წინამავალი მჟღერი თანხმოვნის ზეგავლენით: ღვ-არ-ი < *ლუ^ა-არ-ი < *ლ^ა-არ-ი < *ზ-ლ^ა-არ-ი < *ძ-ლ^ა-არ-ი < *ძ-ზ^ა-არ-ი < *ძგ-ზ^ა-არ-ი < *ძგ-ზ^ა-არ-ი.

ზემოთ წარმოდგენილი რეკონსტრუქციის მიხედვით ამოსავალი კომპოზიტის მეორე წევრი გახდა სემანტიკურად დამოუკიდებელი, მაგრამ ადრე მისი შემადგენელი თავკიდური სპირანტი გამჟღერდა განპირობებული პოზიციიდან გამომდინარე.

ძირი ზ^ა- < *ზ^ა < *ზ^ა დასტურდება ჩერქეზულ ენებშიც:

უბიხ. თ^ა აზ^ა = თ^ა-ზ^ა < *თ-ზ^ა-ზ^ა < *დ-ზ^ა-ზ^ა „მდინარე“

ჩემი აზრით, ეს სიტყვა ეფუძნება რედუპლიცირებულ ძირს, რომელსაც წინ უსწრებს გაქვავებული კლას-ნიშანი. იგი ჯერ დაყრუვდა შეპირობებული პოზიციიდან გამომდინარე და მერე დაექვემდებარა სხვა ბგერით ცვლილებებს. ამის შედეგად მოხდა პირველი ლაბიალიზებული სპირანტის დისიმილაციური გაქრობა, მაგრამ ლაბიალური კოარტიკულაცია შემონახულია, ვინაიდან იყო გადმოტანილი წინამავალ ენაკბილისმიერ ხშულ თანხმოვანზე, ე.ი. ამოსავალ კლას-ნიშანზე. თავკიდური დენტალური თანხმოვნის ლაბიალიზაცია, რასაკვირველია, მეორეულია და იხსნება დისტანციური რეგრესული ასიმილაციით ნიმუშის მიხედვით:

*თ-ზ^ა-ზ^ა > *თ-ზ^ა > თ^ა-ზ^ა.

¹ შდრ. ოსიძე 2013: 147.

ზემოთ შესწავლილი მორფემა დასტურდება აგრეთვე უბიხ.
თა-შბ' „სეტყვა“ -ში¹ რაც შეგვიძლია ანალოგიურად აღვიდგინოთ:

***დ-ბ⁰-შბ' > *თ-ბ⁰ა-შბ' > თა-შბ'.**

რაც საინტერესო არის, უბიხურშიც სავარაუდოდ პოვნიერია რელიქტური „წყლის“ აღმნიშვნელი ძირი **დ-** კლას-ნიშანთან, რომელიც იძებნება სიტყვებში:

ა) **მა-ძე** -ში „ყინვა“²; სემანტიკური ევოლუცია წარმოსადგენია: წყალი → გაყინული წყალი → ყინვა.

ბ) **ზა-ძე** [ცა + წყალი] „თოვლი“³; მორფემა **-თ-ბ⁰ე** < ***-თ-ბ⁰ა** < ***-თ-ბ⁰ა** დამოწმებულია ადილურშიც: შავს. **ფ-სგ-თ-ბ⁰ე** [წყალი + მდინარე] „ნიაღვარი“.

რაც აღსანიშნავია, მეორე წევრი დასტურდება მხოლოდ კომპოზიტში⁴:

შავს. **ფ-სგ-თ-ბ⁰ე** < ***ფ-სგ-თ-ბ⁰ა**,

სადაც ბოლოკიდური ხმოვნის ცვლილება: ***-ა** > **-ე** მდგომარეობს დისტანციურ პროგრესულ ასიმილაციაში: ***გ-ა** > **გ-ე**.⁵

ქემ. **ბა⁰-უ⁰** „ღრმა ხევი“⁶. ძირი **ბა⁰-** უნდა მიმდინარეობდეს: ***ბა⁰-** სგან. ჩერქეზულში პოვნიერია მისი დელაბიალიზებული სახეც: **ხე** < ***ბ⁰ე** < ***ბა⁰ა** „ზღვა“; იქნებ **ხე-** მომდინარეობს ამოსავალი კომპოზიტისაგან: ად. **ხე-ყ⁰ემ** „ტბა“. მაშინ დელაბიალიზაცია მეორეულია და იხსნება დისტანციური რეგრესული დისიმილაციით: **ხე-ყ⁰ემ** < ***ბ⁰ე-ყ⁰ემ** < ***ბ⁰ე-ყ⁰ემე**; ყაზარდოულში ეს კომპოზიტი უცნობია.

ხაზგასასმელია, რომ შედარებით მონაცემთა შუქზე როგორც უბიხ. **თ-ბ⁰ა**, ასევე ჩერქ. **ბა⁰-** და **ხე-** წარმოქმნილია საზიარო ფუძე-

¹ იხ. კვახაძე 2014: 41,

² კვახაძე 2014: 39

³ იქვე, გვ. 42.

⁴ იქვე, გვ. 25.

⁵ შენგელია 2006: 32-65

⁶ კვახაძე 2014: 34.

ენისეული პროტოტიპისაგან, რომელიც უნდა იყოს აღდგენილი: *თ-ხ^ა „წყალი“.

რაც შეეხება უბიხ. თ^ა-ხ^ა -ს, საგულისხმოა, რომ თავკიდური თ^ა- მომდინარეობს ადრინდელი *თ-ხ^ა - სგან და ამის გამო არ შეიძლება იყოს მიჩნეული ს.ჩერქ. ფუძე-ენისეულ მორფემად მნიშვნელობით: „სითხე“, „წყალი“, როგორც ეს იყო წარმოდგენილი ლიტერატურაში¹.

გამორიცხული არ არის, რომ ზემოთ განხილული ძირი დადასტურებულია ნახურ-დადესტნურ ენებშიც შდრ.:

ჩეჩნ./ბაც. [ხ^ა]ი < *ხ^აი;

ლაკ. ნი[ხ^ა]: -ხ^ა <-*ხ^აი;

ჰინ. ი[ხ^ა]უ: -ხ^აუ <-*ხ^აუ <-*ხ^აი „მდინარე“.

„ზღვის“ აღმნიშვნელი ძირი ქართველურ ფუძე-ენაში გ. კლიმოვის მიხედვით აღდგება: *ზღუ^აჟ^ა². ასეთ შეხედულებას ვერ ვიზიარებ. ჩემი აზრით, ხელმისაწვდომ შედარებით მონაცემთა საფუძველზე უნდა მივიღოთ, რომ სვანური ვითარება: ძღუ^აჟა ძალიან არქაულია, თავკიდური აფრიკატის გამარტივება: ძ- > ზ- ზანურში გვიანდელი პროცესია. ამის გარდა სვანური ფორმის ფონეტიკურ არქაულობაზე მიუთითებს ლაბიალიზაციის შემონახვა.

ზემოთქმულის შუქზე ს.ქართვე. ძირი უნდა იყოს პოსტულირებული:

*ძ-ღუ^ა < *ძ-ღ^ა < *ძ-ხ^ა

ქართ./მეგრ. ზღვა < ზღუ^ა < *ძღუ^ა < *ძ-ღ^ა < *ძ-ხ^ა

ფორმა: ზღუ^ა შემოწმებულია ძვ. ქართ.: ზღუა-ფ -ში.

ლაზურში ცნობილია სამი ვარიანტი:

ზოღა < *ზოღუ^ა < *ზაღუ^ა < *ზღუ^ა < *ძღუ^ა < ...

მ-ზოღა < ზოღა < ...

ზუღა < *ზუღუ^ა < *ზოღუ^ა < *ზაღუ^ა < *ზღუ^ა < *ძღუ^ა < ...

¹ შდრ. კვახაძე 2014: 24.

² ხალილოვი, კლიმოვი 2003: 201.

პირველი მარცვლის გახმოვანება უნდა იყოს მიჩნეული მეორეულად. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანაპტიქსური ხმოვნის ტემბრი ამოსავალში იყო: *-ა-. გვიანდელი ლაბიალიზაცია: მეგრ. *-ა- > -ო-; სვან. *-ა- > *-ო- > -უ- იყო გამოწვეული სამეზობლო ლაბიალიზებული თანხმოვნის -ლუ¹- < *-ლ²- -ის ზეგავლენით.

ქართულშიც, სავარაუდოდ, დასტურდება „წყლის“ აღნიშვნელი ძირი, რომელშიც შემონახულია ამოსავალი ვოკალიზმი და გაუმარტივებელი აფრიკატი:

ქართ. ვე-ძა¹

სიტყვა აღნიშნავს „მჟავე ან მლაშე მინერალურ წყალს“ [ქეგლ], მაგრამ გასარკვევია თავკიდური წევრის ვე- წარმომავლობა და მნიშვნელობა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძირი: *ლა- ამოსავლად არსებობდა აფხაზურშიც. იმას ასაბუთებს აფხაზური წინდებულისანი ზმნები, რომლებშიც წინდებულის ფუნქციას ასრულებს მორფემა: -ძაა-, მაგ.:

ა-ძაა-რგვლარა „წყალში ან საერთოდ სითხეში ჩაყენება, ჩადგომა“

ა-ძაა-რტ³ალარა „წყალში ან საერთოდ სითხეში ჩასმა“².

წევრი -ძაა- თავისთავად შედგენილია და იყოფა: ძა-ა, სადაც ა-ა ელემენტი მომდინარეობს: აა < *აა < *აა³ < ახ³ა³. ზემოთ მოყვანილი ბგერითი ცვლილება აფხაზურში ატარებს რეგულარულ ხასიათს, რაც დაამტკიცა ქ. ლომთათიძემ⁴. რასაკვირველია, -ძა- < *-ძე- „წყალი“. ხმოვნის ტემბრის ცვლილება გამოწვეულია პროგრესული ასიმილაციით: *-ძე-ა-> -ძა-ა.

ყურადღებას იქცევს შემდეგი სიტყვები: კოლხ. ღ-აღ-ი „მდინარე“, „ნაკადული“; სვან. ღ-ელ „მდინარე“; ქართ. ღ-ელ-ე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ შემოწმებულია ზემოთ განხილული ძირის დე-

¹ ოსიძე 2013: 145.

² ჯანაშია: 1954; ოსიძე 2013: 144-145.

³ შდრ. ოსიძე 2013: 145.

⁴ ლომთათიძე 1977: 25.

ლაზიკალიზებული ვარიანტი: ღ- < *ღა- < *ღა- < *ზა-. ამაზე და-
ყრდნობით ფონეტიკური განვითარება აღდგება:

კოლხ. ღ-აღ-ი < *ღა-აღ-ი < *ღა- < *ზა-

სვან. ღ-ელ < *ღ-ელ-ი < *ღ- ა ლ-ი [?] < *ღ-აღ-ი < *ღა-აღ-ი < *ღა- < *ზა-

ქართ. ღ-ელ-ე ჩანს ნასესხები სვანურიდან, თუმცა სხვა მოსაზ-
რების მიხედვით აქ საქმე გვაქვს საპირისპირო შემთხვევასთან¹.
ვფიქრობ, ასეთი შეხედულება მცდარია, რადგან, ერთი მხრივ, ქარ-
თულში, რამდენადაც ვიცო, არ გვხვდება ლექსემები აგებულებისა:
[ძირი]-ელ-ე, მეორე მხრივ, ბგერითი ვითარება: *ღაღ- > ღელ- ეჭვგა-
რეშე დამახასიათებელია სვანურისათვის. ქართულში მოსალოდნე-
ლი იქნებოდა ფორმა: ლ-აღ-ი, რაც დაუდასტურებელია. ზემოთ შე-
სწავლილ ძირებს უკავშირდება ქართ. ძირი -თხ-, რომელიც
შგვხვდება შემდეგ სიტყვებში: თხ-ევ-ად-ი; სი-თხ-ე.

ა. ჩიქობავას მიხედვით, ელემენტი -თხ- უნდა იყოს მიჩნეული
ძირულად², რაც საერთოდ სწორია, მაგრამ თავკიდური -თ < *-ღ-,
ჩემი აზრით, წარმოადგენს გაქვავებულ კლას-ნიშანს. მაშასადამე,
-თხ- < -თ-ხ-, რაც წარმოქმნილია: *ღ-ხ- < *ღ-ხ°- -ისგან.

ქართ. წყ-აღ-ი უკავშირდება, ერთი მხრივ, კოლხ. წყ-არ-ი
„წყალსა“ და, მეორე მხრივ, სვან. წყუ-რგილ-ი „წყაროს“. მეტად ახ-
ლომდგომია აგრეთვე „წყაროს“ აღმნიშვნელი სიტყვები ნახურ და
დაღესტნურ ენებში, მაგ.:

ჩეჩნ. ყუ-ლ-ლა;

ტინდ. ყუ-ლ-ლა;

აღ. ყუ-ლ-ლა < *ყუ-ღ-ლა < *ყ°უ-ღ-ლა < *ყ°ა-ღ-ლა,

სადაც *-ღ- გაქვავებული კლას-ნიშანია, -ლა- არის სუფიქს-დე-
ტერმინანტი; მსგავსად:

ჭამ. ყუ-ლა < *ყულ-ლა < *ყუ-ღ-ლა < *ყ°უ-ღ-ლა < *ყ°ა-ღ-ლა;

აქაც შედის იქნებ ხინ. გნ-ყ < *ინ-ყ° < *ინ-ყა.

¹ შდრ. კლიმოვი, ხალილოვი 2003: 207.

² იხ. ჩიქობავა 1942: 39.

ზემოთ მოყვანილის საფუძველზე ს.დალ. ძირი აღდგება: *ყ^ა- „წყარო“.

შდრ. აგრეთვე მეგრ. წყურგილი-ი [წყალი + გრილი] „წყარო“, სადაც კომპოზიტის პირველი წევრი უნდა მომდინარეობდეს: წყურ < *წყურ < *წყ^აო- < *წყ^ა, რადგან მხოლოდ მაშინ იხსნება მომდევნო ხმოვნის ლაბიალიზაცია.

რეკონსტრუქციაში პოსტულირებული ლაბიალიზაციის შუალედური საფეხური:

*წყ^ა > წყ^აო- სინამდვილეში დადასტურებულია მეგრ. ზმნაში: [წყ-ორ]-უნ-ს „ანელებს ცხელ წყალს ცივით“, სადაც წყ-ორ- < *წყ^ა-ორ- < *წყ^ა-არ-, რასაც კანონზომიერად ეფარდება ქართ. წყ-არ¹. „წყ-ალ-ი“ და „წყ-არ-ო“ ლექსემების ურთიერთმიმართება დისკუსიის საგანია².

როგორც ჩანს, ძირი: ყ^ა < *ყ^ა- დადასტურებულია ადიღეურშიც, შდრ.:

ად. ხყყ^აგმ = ხგ-ყ^აგ-მ < *ხგ-ყ^აგ-მგ < *ხ^აგ-ყ^აგ-მგ „ტბა“.

-ყ- ძირის გვერდით ქართულში დასტურდება სემანტიკურად მონათესავე ძირი -ჭ-, შდრ.: ქართ. (ხევს.) ჭ-ევი-ი „ხევი“, „მდინარე“; ქართ. ხ-ევი-ი < ჭ-ევი-ი.

ფონეტიკური ცვლილება *ყ- > ჭ- მდგომარეობს დეზაბრუპტივიზაციაში. შედარებით მონაცემთა საფუძველზე ეს პროცესი უნდა იყოს მიჩნეული გვიანდელად. სხვა სიტყვით,

ეჭვს არ იწვევს, რომ მკვეთრთანხმოვნის ძირი არქაულია.

პარალელური ძირთა მონაცვლეობის [წ : ც] მაგალითს გვიჩვენებს წყვილი:

ქართ. და-/ზე-/ძ-[წვ]-ა : ნა-[ც]-არ-ი.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზემოთ განხილული ძირი ხ^ა-V დამოწმებულია აგრეთვე რამდენიმე ქართველურ მცენარეთა სახელწოდებაში, მაგ.:

¹ შენგელია 2006: 150.

² დაწვრილებითი მსჯელობისათვის ამ საკითხზე იხ. შენგელია 2006: 146-150.

ძვ. ქართ. **ლიფ-ი** < ***ლიფხ-ი** „აღნიშნავს ერთგვარ მცენარეს“¹.
ქართ. **იფხლ-ი** დადასტურებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მნიშვნელობით „გვიმარი“².

ლაზ. **ლ[იმხ]-უნა** და **ლ[იმფხვ]-ანა** „გვიმრის სახეობა“³.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე ხელშესახებია ფუძეთა ფონეტიკური სახის განსხვავება. რელატიური ქრონოლოგიის გათვალისწინებით შეიძლება ამგვარად იყოს განლაგებული: -**იფხ-** > -**იმფხ-** > -**იმხ-**.

შესაძლო სემანტიკური კავშირი საკმაოდ დამაჯერებელი მიმაჩნია: „გვიმარი არის მცენარე, რომელიც იზრდება მხოლოდ სველ, წყლით მდიდარ გარემოებაში“.

ქართულში ძირი შემოწმებულია დელაბიალიზებულ სახეში: -**ხ-** < ***ხ°-**, მაგრამ ამოსავალი ლაბიალიზაციის კვალი დაცულია ლაზურში, სადაც გვაქვს:

ლი-მ-ფ-ხვა-ნა < ***ლი-ფ-ხვა-ნა** < ***ლი-ფ-ხუ°-ანა** < ***ლი-ფ-ხ°-ანა**.

ამის გვერდით დადასტურებულია:

ლი-მ-ხუ-ნა < ***ლი-მ-ხ°უ-ნა** < ***ლი-მ-ხ°-ანა** < ***ლი-მ-ფ-ხ°-ანა** < ***ლი-ფ-ხ°-ანა**.

რეკონსტრუქციაში პოსტულირებული *-**ფ-** შეიძლება იყოს განმარტებული როგორც გაქვავებული კლას-ნიშანი, სხვა ბგერითი ცვლილებანი უნდა იყოს მიჩნეული გვიანდელად.

ქართ. **რ-ძე** < **ს-ძე**;

მეგრ. **ბ-ჟა** < ***ბ-ჯა**;

ლაზ. **ბ-ჯა** / **ბ-ჟა** < **ბ-ჯა** / **მ-ჟა** < **ბ-ჟა** < **ბ-ჯა**;

სვან. **ლგ-ჯე**.

აქაც, სავარაუდოდ, დამალულია „წყლის“ აღმნიშვნელი ამოსავალი ძირი. როგორც ჩანს, ზემოთ მოყვანილ ფორმებს მოეპოვება საზიარო ძირი, მაგრამ პრეფიქსები განსხვავებულია.

¹ ჩანტლაძე 2012: 250; 252.

² იქვე, გვ. 250.

³ ქუთელია 1986: 78.

ექვეს არ იწვევს, რომ ბ- და მ- < *ზ- მეგრულში განვითარებულია.

რაც შეეხება ძვ. ქართ. ს-ძე -სა და ქართ. რ-ძე -ს, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავკიდური ს- < *სი- წარმოადგენს სინკოპის შედეგად ფონეტიკურად გარდაქმნილ პრეფიქსს, რომელიც დასტურდება ბევრ განყენებულ არსებით სახელში სრული სახით (-ე სუფიქსითურთ), მაგ.:

სი-ცი-ვე ← ცი-ი; სი-სწორ-ე ← სწორ-ი; სი-ცხ-ე ← ცხ-ელ-ი და ა.შ.

თავკიდური სიბილანტი ანტივოკალურ პოზიციაში ჯერ გამჟღერდა მერე მან განიცადა როტაციზმი; საბოლოო საფეხურზე ადგილი ჰქონდა მარცვლიანი ხმოვნის სინკოპეს:

*სი-ძ-ე > *ზი-ძ-ე > *რი-ძ-ე > რ-ძ-ე.

რაც შეეხება სვანურ შესაბამის სიტყვა ლგ-ჯ-ე -ს „რძე“, კონფიქსი ლგ-...-ე სვანურში, ა. ჩიქობავას მოსაზრებით, შეესატყვისება ძველ ქართულ რ-...-ე -სა და ახალ ქართულ ს-...-ე -ს¹. ბგერითი შესატყვისობა ძ : ჯ ქართულსა და სვანურს შორის ატარებს კანონზომიერ ხასიათს.

კოლხურში არ დასტურდება კონფიქსაცია. თავკიდური ბ- და მისგან განვითარებული მ- < ზ- უნდა იყოს მიჩნეული გაქვავებულ კლას-ნიშნად. ძირეულ თანხმოდანთა შესატყვისობა ძ : ჯ აქაც რეგულარულია. ზოგ ლაზურ კილოკავსა და მეგრულში ამოსავალი აფრიკატი გამარტივდა: -ჯ- > -ჟ-, რაც მეორეული ცვლილებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშია 2010 – რ. აბაშია, სიბილანტურ ფონემათა სისტემა ქართველურ და დაღესტნურ ენებში (ისტორიულ - შედარებითი ანალიზი), თბილისი.

გიგლემიანი 2006 – ლ. გიგლემიანი, ჰიდროლექსიკა ქართულში, თბილისი.

¹ ჩიქობავა 1942: 169

კვახაძე 2014 – ა. კვახაძე, ჩერქეზულ ენა-კილო-თქმათა სემანტიკურ-შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

კლიმოვი, ხალილოვი 2003 – Г. А. Климов, М. Ш. Халилов, Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики, Москва.

ლომთათიძე 1977 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი I, თბილისი.

ოსიძე 2013 – ე. ოსიძე, აფხაზური აძე „წყალი“ ფუძის წარმომავლობისათვის და ქართული ზღვა, სვანური სგიმ „მჟავე წყალი“ ფუძეთა აგებულებისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLI, თბილისი.

ქუთელია 1986 – ნ. ქუთელია, კონსონანტური ჯგუფები ჭანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული, XIII, თბილისი.

ქურდიანი 2007 – მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი.

შაგიროვი 1977 – А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, Москва.

შენგელია 2006 – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენათა ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი.

ჩანტლაძე 2012 – ი. ჩანტლაძე, ქართველური ლექსიკის ისტორიიდან I, თბილისი - ბათუმი - ახალციხე.

ჩიქობავა 1942 – ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩუხუა 2013 – მ. ჩუხუა, ლაზური ზოლა „ზღვა“ ფუძის მეგრული ეკვივალენტისათვის, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXIV, თბილისი.

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

RADOSLAW KANARKOWSKI

From Common Ibero-Caucassian Vocabulary: Some Words Denoting “Water” in Kartvelian and Mountain Caucasian Languages

Summary

The present paper deals with the structure and etymology of some hydrological terms which are attested in Abkhaz-Adyghe as well as in the Kartvelian languages.

Abkh. **a-zi** and Circ. **psi** “water” can be assumed to have the common root if the anlaut consonant is considered as a petrified class morpheme:

Abkh. -**zi**<**d-zi**< ***d-si**<**d-s^wi**; Circ. **psi**<**p-si**< ***b-si**< ***b-s^wi**.

The base ***s^wi**- is preserved in Kartvelian as well:

Geo. **sv-el-i**; Megr. **š-ur-i** “moist”, where **sv-** and **š-** < ***s^wi**-.

It seems that Geo. **r-ʒ-e**<old Geo. **s-ʒ-e** “milk” (and its counterparts in Colchian) as well as Geo. **ve-ʒa** “sour water” also can be discussed in this regard.

The base ***-x^wa** “water” can be found in numerous mountain Caucasian languages:

Ub. **t^wa-x^wa** “river”; Circ. **xi**< ***x^wi**< ***x^wa** “sea”; Chech./Bats. **xi**< ***x^wi** “river” as well as in Kartvelian: Laz. **li-m-xu-na**< ***li-m-x^wa-na** “fern” ← “water plant”.

The Georgian word **ç-q-al-i** “water” seems to be a compound word. Georgianz-**yva**< ***ʒ-γ^wa** “sea” shows to have the similar structure.

ლევან კელაშერიძე

ღამატეპიანი ქართულ ენათა ეტიმოლოგიური
ლექსიკონისათვის - IV¹

წინამდებარე სტატიით განვავრცობთ ქართველურ ენათა შორის გამოვლენილი შესაძლო ახალი კოგნატებისა და მათი შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებული საერთოქართველური არქტიპების, ასევე ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან უკვე ცნობილ შეპირისპირებათათვის დამატებითი მასალის წარმოდგენას.

*აშხალ-

ქართ. (ფერეიდნ.) (ა. ჩიქობავა) **აშხალ-იან-ი** “ბალახიანი”, (<http://corpora.co/#/dictionaries>; 02.11.2017; თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანაშვილი, ჯ. გიუნაშვილი; მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე) **აშხალ-ი** “ფიჩხი, ნაფოტი”

სვან. **აშხალ, არშხალ**, (ლშხ.) **არშხალ, არჩხალ, არჩხილ** “ტოტი, შტო, რტო”,

ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში გამოვლენილ **აშხალ-**ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **აშხალ-**. დანარჩენი სვანური ფორმები ამ **აშხალ-** ძირისაგან არის მიღებული.

*ბადლ-(?)

ქართ. (ხევს.) **ბადლ** მიწა “შავი, ნაკელით გაპატივებული მიწა”

ზან. (მეგრ.) **ბონდორ-ი** “მოსილული, მოშლამული, მოსწორებული ადგილი”

მეგრ. **ბონდორ-** < ***ბოდგლ-** < ***ბადლ-**.

*ბარბაც-

+ ზან. (მეგრ. - ქაჯაია, IV) **ბორბოც-ი** “ბარბაცი; იბორბოცუ - იტყვიან ბატზე, ინდაურზე ჩინჩლაობის წინ ბორიალზე”

¹ დასაწყისი იხ.: “ეტიმოლოგიური ძიებანი - X”, თბილისი, 2013, გვ. 3-26, “ეტიმოლოგიური ძიებანი - XI”, თბილისი, 2014, გვ. 17-38, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 75-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2016, 30-39

გ. კლიმოვმა ქართულ **ბარბაც**- ფუძეს შეუპირისპირა აჭარულში დადასტურებული **ბორბოც-ა**, რომელიც ზანიზმად (მეგრელიზმად) მიიჩნია (კლიმოვი 1998, 8). ზ. სარჯველაძისა და ჰ. ფენრიხის ვარაუდით, ეს სიტყვა აჭარულში ლაზურიდან უნდა იყოს ნასესხები (სარჯველაძე, ფენრიხი 2000, 95; ფენრიხი 2007, 50). ლაზურის იმ ლექსიკონებში, რომლებზეც ჩვენ ხელი მიგვიწვდება, ეს ფუძე არ ჩანს, სამაგიეროდ ის გვხდება ო. ქაჯაიას “მეგრულ-ქართული ლექსიკონის” IV ტომში.

***ზიმ-ი-**

ქართ. **ზიმ-ა, ზიმ-ი, ზიმ-ი-ა**

სვან. (ზქ.) **ზიმი** “ზიმა; სიმამრი”

სვანურის ბალსქვემოურ დიალექტში **ზიმი** ლექსემას “სიმამრის” მნიშვნელობაც აქვს: (სვან. პოეზ. 134) ჭიხ ათლანე **ზიმიდ** მიჩა “მისმა სიმამრმა (თოფს) ჭახანი გააღებინა”, (ზქ. ტექსტები) **ზიმის** ჭგუხ ხხხერი “სიმამრს ფეხი ეფხანება”, მიჩა **ზიმიშ** ლგტცე მწგ ჩუადგარ “თავისი სიმამრის დაპატიჟებული ყველა დახოცა”, ლეჩყერი **ზიმის** გჷშიდ ხალტგნ “სიმამრს სასიძო ძალიან უყვარდა”... რა არის ეს - ინოვაცია, თუ არქაიზმი? თუ ამას სიახლედ მივიჩნევთ, უნდა დავუშვათ, რომ სვანურის განვითარების რაღაც ეტაპზე განხორციელდა სემანტიკური გადაწევა “ზიმა” > “სიმამრი”, რაც ძნელი ასახსნელია - ყოველ შემთხვევაში ამგვარი გადასვლის პარალელი ჩვენთვის ამ ეტაპზე უცნობია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეორე შესაძლებლობას ავირჩევთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ***ზიმ-** ძირი ამ ორივე მნიშვნელობას უკვე სქ-ში ითავსებდა. ასეთი ვითარება კი, როცა “ზიმა” (კერძოდ - “დედის ძმა”) და “სიმამრი” ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნება, სხვა ენებშიც არის გამოვლენილი. საუბარია ენებზე, რომელთა მატარებელი, “ნეოლითამდეელი” ტომებიც დუალურ-ფრატრიული ეგზოგამიის პირობებში ცხოვრობენ, სადაც ნორმალური ჯვარედინ-ზიმაშვილური (კროს-კუზენური) ქორწინება და მამაკაცს ცოლის მოყვანა შეუძლია არა თავისი - ანუ დედისეული ფრატრიიდან - არამედ ტომის მეორე ნახევრიდან, რომელსაც მისი მამის და-

თა და დედის ძმათა შვილები ეკუთვნიან, და, ამდენად, საკუთრივ მისი დედის ძმაც და მეორე ფრაქტიის წარმომადგენელი ყველა წინა თაობის კაციც მისთვის “სიმამრს” წარმოადგენს (კოსვენი 1948, 8, შნშ. 13; ლევი-სტროსი 1943, 398, 403; ლევი-სტროსი 1969, 98, 121, 134, 244...). სავარაუდოდ, სწორედ ამგვარი უნდა ყოფილიყო ვითარება უძველესი სქ ენობრივი ერთიანობის ხანაშიც. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ბქ. დიალექტშივე **გიგა** სიტყვა “დედის, მამიდის, ბიცოლის” გარდა “სიდედრის; დედამთილის” მნიშვნელობებსაც გამოხატავს. აქედან ამოსავალი “მამიდის// ბიცოლის და სიდედრის” მნიშვნელობები უნდა იყოს. ამრიგად, სქ. ***ბიძ-** ძირს თავდაპირველად სწორედ “დედის ძმისა” და “სიმამრის” მნიშვნელობები უნდა ჰქონოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ოლივერ უორდროპის “ინგლისურ-სვანურ ლექსიკონში” (1911) ინგლისური **uncle** (“ბიძა”) ორი სიტყვით - “**ბუზა** (მამის მხრიდან)” და “**ბიძაჲ pidzai (sic)** (დედის მხრიდან)” - არის განმარტებული.

***ბობლ-**

ქართ. (კახ.) **ბობლ-ა** “ვაზის უნაყოფო ტოტი”

ზან. (ლაზ.) **ბობლ-ი** “კონკი”, **ყვაჯი-ბობლი** “დამჭკნარი და ჩამოკიდებული ყვერები; გამოთქმა მოხუცებულთა დასაცინად გამოიყენება”

ამოსავალ **ბობლ-** ძირს “დამჭკნარის, გამხმარის, დამველებულის, დაკონკილის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამავე ძირიდან უნდა იყოს ნაწარმოები ქართულში **ბობლ-ვ-ა** ზმნაც. მნიშვნელობათა “დაკონკილი” - “გაჭირვებით სიარული” დაკავშირებისათვის შდრ., მაგ.: (ფშავ.) **ფლაგვ-ი** “1. დახეული, ჭუჭყიანი ტანსაცმელი ან ქსოვილი; 2. ფეხების თრევით მოსიარულე ადამიანი, გაჭირვებით რომ დადის” (გოგატიშვილი 2006, 167). იხ. აგრეთვე, ქვევით: ***კონკ-**.

***ბოზ-**

ქართ. **ბოზ-ი**

ზან. (ლაზ.) **ბოზ-ი** “გოგო”

მასალა 3. აჭარიანმა შეაპირისპირა. მისი აზრით, სომხური **բոჭ** “ბოჭი” ქართველური ენებიდან არის ნასესხები, რაც მტკიცდება იმით, რომ ლაზურში დაცულია სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა. აჭარიანი იმოწმებს ისეთ მაგალითებს (მაგ. ფრანგ. **file**, გერმ. **Dime**), სადაც განხორციელებულია სემანტიკური გადასვლა “გოგო” > “მეძავი” (აჭარიანი 1971: 459). ამის გათვალისწინებით, ვერ გავიზიარებთ ბ. გიგინეიშვილის თვალსაზრისს სიტყვა **ბოჭ**-ის არაქართველური - და, სახელდობრ, თურქული - წარმომავლობის შესახებ (გიგინეიშვილი 2016: 56). ვფიქრობთ, ქართ. **ბოჭ**-ი და ზან. **ბოჭ**-ო სიტყვები ერთი არქექტიპიდან მომდინარეობენ, რომელსაც “გოგოს, ქალიშვილის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

***ბრგუნ-**

ქართ. **ბრგუნვ-ილ-ი**, **ბურგუნვ-ილ-ი** “ბლუ”, **ბრგვნილ-ობ-ა** “ბლუობა”

სვან. **ლი-ბურგუნ-ე** “დაფშვნა; ფშვნეტა”, (ჩლრ. - ლიპარტელიანი) **ა-ბურგუნ-ე** “სიმინდს ფშვნის, უკბილო ჭამს”

ძველ ქართულში გამოვლენილ **ბრგუნვილ-**, **ბურგუნვილ-** ფუძე ამკარად მიმღეობური წარმოშობისაა. ქართ. **ბრგუნ-**ს კანონზომიერად შეესატყვისება სვან. **ბურგუნ-** (< ***ბგრგუნ-** < ***ბრგუნ-**). მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ.: სქ. ***ფლაფ-** ძირი და მისი ნაყარი - ქართ. **ფლაფ-ნ-ა** (საბა) “უკბილოს ლაპარაკი”, (ქიზიყ.) “ბოშად, საკმაოდ შეუგრეხავად რთვა”, სვან. (ჩლრ. - ლიპარტელიანი) **ლი-ფლანფ-ე** “საქონლისაგან თივის ჭამა”, **ა-ფლანფ-ე** “ცხოველი თივას ხარბად ჭამს” (იხ. ჩვენ “დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის”, ეტიმოლოგიური ძიებანი - X, 2013, გვ. 18).

***დრანცხ-**

ქართ. (ქართლ.) **დრენცხ-ი** “უშველებელი და უშნო; მსუქანი და ზანტი”

სვან. (ზს.) **დვცხ(ჟ)**, (ლშხ.) **დაცხ** “(ბქ.) კარგი ელფერი, სიმსუქნე; (ბზ., ლშხ.) სუსტი, ნაზი, გამხდარი”

ქართული **დრენცხ-** < ***დრანცხ-** უმლაუტით (შდრ.: (გურ.) **დრანც-ი, დრუნც-ი** “დედაკაცი, ტლანქი ტანის ქალი”). სვანური დიალექტებიდან ამოსავალი მნიშვნელობა ბქ.-ს უნდა ჰქონდეს დაცული. ბზ.-სა და ლშხ-ში “მსუქანი” > “გამხდარი” გადასვლის საფუძველი ირონიული შეფასება უნდა გამხდარიყო. (მნიშვნელობის ცვლაზე გავლენა ეგებ ქართულიდან ნასესხებმა (ბზ.) **დაცმულ**, (ლშხ.) **დაცმულ** “სუსტი, გამხდარი, დაცემული” სიტყვამაც მოახდინა?)

***ჟალდახ-**

ქართ. (მოხ., მთ.) **ვალდახი** “გრძელი ბალახებისგან დაგრეხილი საბელი თივის ბულულის დასამაგრებლად სათარზე” = (გუდამ.) **ალდახ-ი**

ზან. (მეგრ.) **ორდოხი, ორდოხუ/გ** “ხის სალტე ხის ჭურჭლის შემოსაკრავად”

ქართული ენის მოხეურსა და მთიულურ დიალექტებში დადასტურებულ **ვალდახ-** ლექსიკურ მორფემას კანონზომიერად შეესატყვისება ზან. (მეგრ.) **ორდოხ-**. არქექიპს “შემოსაკრავის, სარტყლის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამოსავალი ფორმის აღნაგობიდან გამომდინარე, ის, სავარაუდოდ, სუფიქსით გართულებულ ფუძეს უნდა წარმოადგენდეს (***ვალდ-ახ-?**), თუმცა ამ ეტაპზე ამგვარი სემენტაციისათვის საფუძველი მაინც არ გვაქვს.

***კაც-**

ქართ. **მ-კაც-რ-ი**

სვან. **ლგ-კაც, ლგ-კაც** “ჭდე, ნაჭდევი, დაჭრილი, ჭრილობამიყენებული, აცრილი; დანიშნული, მიცემული, ზუსტი”

ზურაბ სარჯველაძის “ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში” სიტყვა **მკაცრსიტყუაობა** განმარტებულია როგორც “ცხადად თქმა”. ეგვე მნიშვნელობა - “ცხადად” - უნდა ჰქონდეს სიტყვა **მკაცრ-**ს შემდეგ კონტექსტშიც: “თვთ ვიდრემე **მკაცრ** მხედველი თითოეული-საჲ, ხოლო არავისაგან ხილული” (მარიამ ღოლინდუხტის ცხოვრება, 1300-1400). ამდენად, მნიშვნელობისათვის, რომელიც ამ ლექსიკურ

ერთეულს თანამედროვე ქართულში აქვს (“სასტიკი, უღმობელი; მტკიცე ხასიათისა, მტკიცედ მომთხოვნი; მტკიცე, ზედმიწევნითი”), ამოსავალი სწორედ “სიცხადის, სიზუსტის, მკაფიოდ, ზუსტად განსაზღვრულის” სემანტიკა უნდა იყოს. ვფიქრობთ, **მკაცრ-** ნაზმნარი სახელია, რომელიც ისევეა ნაწარმოები, როგორც **მ-წუხ-რ-, მ-კუთ-რ-** და სხვ. ფორმები: **მ-კაც-რ-**. ამგვარად სემანტიკურებულ **კაც-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვან. **კაც-**. სვანურს დაუცავს ამოსავალი ძირის ორივე მნიშვნელობა: ძირითადიც (“დაჭრა”) და გადატანითიც (“განსაზღვრა”). მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის, შდრ., მაგ.: ქართ. **კაფ-ვ-ა - მ-კაფ-ი-ო**.

***კემ-**

ქართ. **კემ-ვ-ა, კერმ-ვ-ა, კერმ-ილ-ობ-ა**

სვან. (ლშხ.) **ლი-კემკემ-ალ** “ღორის ხმიანობა” (ხამარს ხაზნახ **ლიკემკემალ**, ხაზნახ ლიღულ - (ლშხ. ტექსტები, გვ. 21)), (ჩლრ. - ლიპარტელიანი) **კემ-კემ** “მამალი ღორის წასასისიანებლად ასე იტყვიან კერმილობის დროს”

კერმილობა “ნადირთ მაკინტლობა” დასტურდება საბასთან და ნ. და დ. ჩუბინაშვილებთან. ვფიქრობთ, **კერმილობა, კერშვა** ფორმებისათვის ამოსავალი უნდა იყოს **კემ-** ძირი, შდრ.: (ქიზიყ.) **კემ-ვ-ა, გა-კემ-ვ-ა** “იგივეა, რაც კერშვა, გაკერშვა”, (ქართლ.) **ი-კემ-ებ-ს** “დამაკდება (ღორი)”, **კემ-ი** (გურ.) “დაუკოდავი ტახი”, (იმერ.) “სანაშენე ტახი” (> ზან. (მეგრ.) **კემ-ი** იმავე მნიშვნელობით). **კერმ- < კემ-**, სავარაუდოდ, **კერ-ატ-ი//კერ-ი** “დაუკოდავი ღორი” სიტყვის გავლენით, რომელთან მისი მიმართებაც გასარკვევია. ქართული **კემ-**ის შესატყვისი სვანური ძირი რედუპლიცირებული და მნიშვნელობაცვლილი სახით არის შემონახული ჩოლურულ და ლაშხურ დიალექტებში.

***კონკ-**

ქართ. **კონკ[ებ]-ი**

სვან. (ბზ.) **ი-კონკ-ალ**, (ბქ., ლნტ.) **ი-კონკ-ალ**, (ლშხ.) **ი-კონკ-ალ** “ძლივს (ვაი-ვაგლახით) დადის”

მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის იხ. ზევით: ***ზობლ-**

***კულ-**

ქართ. **კილ-ი** (საბა) “ხვარბლის ბუდე”, (ქეგლ) “საერთოდ, თავ-თავიან კულტურათა მარცვლის ბუდე”;

სვან. (ბქ.) **კულ** “საგაზაფხულო წმინდა ხორბალი”, (ბოტ. ლექს.) **გურ კულ** “საგაზაფხულო რბილი ხორბალი (უფხო)”, **ლგფხჷ კულ** “რბილი ხორბალი ფხიანი”

ამოსავალ ძირს, სავარაუდოდ, “კილის, ხორბლის ბუდის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. სვანურში “ხორბალი” < ***“ხორბლის ბუდე”** მეტონიმით. ქართ. **კილ-ი** < ***კულ-ი** უმლაუტით. ო. კახაძის აზრით, “**კ-ილ-ში -კ-** ძირეულია და ის იგივე უნდა იყოს, რაც დი-კ-ა-სა და კ-ულ-ის -კ- არის; -ილ დეტერმინანტი სუფიქსია” (კახაძე 1987, 82). ჩვენი აზრით, წარმოდგენილ ფუძეთა ამგვარი დანაწევრებისათვის საფუძველი არ არსებობს.

***ლარ-**

***სა-ლარ-აჟ-**

ქართ. **ლარ-ი**, **სა-ლარ-ო**

სვან. **ლა-ლარ-ა** “საზიარო”

ქართ. **ლარ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვან. **ლარ-**, ხოლო ქართულ **სა-ლარ-ო** (<***სა-ლარ-აჟ-ე**) ფუძეს - სვანური **ლა-ლარ-ა** (<***ლა-ლარ-აჟ-**). ეს მნიშვნელობები ერთი სიტყვით მხოლოდ იმ ეპოქაში შეიძლება გამოხატულიყო, როცა თემის ქონება - და მათ შორის განძი, ძვირფასეულობა - საზიარო იყო.

***ლარ-**

ქართ. **ლარ-ი**, **ლარ-ა** “ნახნავი ტერასები, გვერდობის, მთა-გორაკების სახნავები, რომლებიც ხვნის პროცესშია გავაკებული და ვიწრო-გრძელ მონაკვეთებს ქმნის”

ზან. (ლაზ.) **ლორ-ი** “ვიწრო და გრძელი (მიწის ნაკვეთი)”, **ლო-რი-გინძე** “გარკვეულ გამოთქმებში მიანიშნებს ტანაყრილ, ტანმადალ ადამიანზე” (ლაზურ-მეგრული გრამატიკა, 243).

სვან. **ლარე**, **ლარე** “სათიბი, მინდორი”

ქართ. და სვან. მასალა ლ. ბერიაშვილმა შეაპირისპირა (ბერიაშვილი 2016, 254-255; ლარების შესახებ: იხ., მაგ. ბერიაშვილი 1973, 1985, 2016, სართანია 2016...). ქართ. ლარ- და სვან. ლარ- ძირებს კანონზომიერად შეესატყვისება ზან. (ლაზ.) ლორ-. დაისმის საკითხი *ლარ- არქეტიპის მიმართებისა ომონიმურ *ლარ- ძირთან (იხ., ჩვენი “დამატებანი-II”; შდრ., აგრეთვე, ბერიაშვილი 1985, 31, ბერიაშვილი 2016, 254).

შდრ. ბასკ. *larre* “მდელო, სათიბი, სამოვარი; დაუმუშავებელი მიწა”.

*ლიფ-ლიფ-

ქართ. ლიფლიფ-ი “მკრთალი ნათება, ციმციმი”, (საბა) “ფანარი” სვან. (ჩლრ. - ლიპარტ.) ლიფ-ლიფ “ალის ხმა”

ქართ. ლიფ-ლიფ- რედუპლიკატის ზუსტი შესატყვისია სვან. ლიფ-ლიფ-. მნიშვნელობათა სხვაობა ადვილი ასახსნელია.

*ლეჭუ-/ლჭუ-

+ ლაზ. ო-ლუხ-უ “ზედმეტი ხარშვისგან ფორმისა და გემოს დაკარგვა, ჩაშლა”

ქართ. ლხ- (ლხ-ოხ-ა, ლხვ-ებ-ა, გა-ლხვ-ა...) და სვან. ლეჭუ-/ლაჭუ-/ლჭუ- (ლი-ლეჭუ “ლხოზა”, ლეჭუ-ნ-ი “ლხვება”..) ძირები ერთმანეთს ზ. ჭუმბურიძემ შეაპირისპირა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 307; ფენრიხი 2007, 269). ვფიქრობ, ამავე მასალას უნდა უკავშირდებოდეს წარმოდგენილი ლაზ. ძირიც.

*ჟანტლ-

ქართ. (რაჭ.) ჟანტლ-ი “ნედლი შეშა, რომელსაც ცეცხლი არ ეკიდება” (შდრ.: ჟანტ-ი (საბა, დ. ჩუბინ., ნ. ჩუბინ.) “მცირე რამ სისველე”, (ხევს.) ჟანტ-ი “სველი, წყლიანი ადგილი”, (თუშ.) ჟანტი “სველი”...).

მეგრ. [ზან. (მეგრ.)] (გურ.) ჟონტორ-ო “სველი, დამპალი შეშა”

ქართ. (რაჭ.) ჟანტლ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება გურულ დიალექტში დადასტურებული ჟონტორ-, რომელიც, სავარაუდოდ, ზანურიდან (მეგრულიდან) უნდა იყოს ნასესხები: ჟონტორ- <

***ჟონტგლ - <*ჟანტლ-**. [ზან. (მეგრ.)] **ჟონტორ-** ისევე შეეფარდება ქართ. (რაჭ.) **ჟანტლ-**ს, როგორც, მაგ., ზან. (მეგრ.) **ჟყონტორ-** - ქართ. (რაჭ.) **ჟყანტლ-**ს (იხ.: კლიმოვი 1998, 323; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 688; ფენრიხი 2007, 672)). შესატყვისობისათვის ქართ. **ჟ** : ზან. **ჟ** იხ. ჩვენი დამატებანი..., 2013, გვ. 4.

ზან. (მეგრ.) **ჟიტუ//ჟდინტუ** (ქაჯაია - **ჟიტუ//ჟდინტუ დიშქა** “ნედლი შეშა”; ქობალია - **ჟდინტუ** “ჟყინტი, უმწიფარი; ძვლებგაუ-მაგრებელი”) **ჟყინტი, ჟყინტუ, ჟყენტე** “ჟყინტი, ჟყინტლი, უმწიფარი” ფორმების ბგერწერითი ვარიანტი ჩანს.

***როყ-**

ქართ. **როყ-იო** “ცუდად, დაუკვირვებლად მოლაპარაკე ადამიანი”

სვან. (ზხ.) **ლი-რტყე-ჟელ**, (ჩლრ. - ლიპარტ.) **ლი-რტყ-ი-ელ** “სულელობა”, **ი-რტყ-ი-ელ** “ტანად დიდი კაცი უაზროდ, მოუფიქრებლად იქცევა”

სვან (ზხ.) **რტყე- <*რტყ-**

***ტყლეჟ-/ტყლიჟ-**

ქართ. (იმ.) **ტყლეჟ-ა** “ღონივრად რტყმევა”, (ლეჩხ.) **და-ტყნეჟ-ა** “დაჩეჩქვა, დაბეგვა (რკინეულზე იტყვიან”

მეგრ. **ტყვაჟ-აფ-ი** “თოფის გასროლის ხმა, ჟახანი”, **ტყვაჟ-უ-ა** “გასროლის ხმა, ჟახი”

ლ > ვ სპორადული გადასვლისათვის ზანურში შდრ., მაგ: მეგრ. (ქობალია) **ჟყევიპინ-ი < ჟყლაპუნი, წკვატე < მწკლარტე...** ასევე ლაზ. **ოჟვატუ** “ჟლეტა, ცემა”, **ოჯვატუ** “ნათესის ჯოხით ლეწვა” < ***ჟლეტ-** (დაკავშირებით ქართ. **ჟლეტ-ა...** : ზან. (მეგრ.) **გო-ჟილატ-ა...** (ლაზ.) **ო-ჟლიტ-უ...** იხ. ჩვენი დამატებანი, 2013, 14).

***ფრფ-ენ-/ფრფ-ინ-**

ქართ. (ქეგლ) **ფრფ-ენ-ა** “ტრფიალით თავს ვლება”, **ფრფ-ინ-ვა** (საბა) “გუნებით შეხარილი”, (მქესკ) “ზრუნვა, ფოფინი”

ზან. (მეგრ. - ქაჯაია, IV) **ფურფ-ინ-ი** “ფარფარი, ფარფატი”

ზან. (მეგრ.) ფურფ-ინ- (< *ფგრფ-ინ-) ქართ. ფრფ-ინ- ფუძის ზუსტი შესატყვისია.

*ფხაჟ-

ქართ. (საბა) ფხაჟ-ა “თევზთ ლაყურთ ასო ხერხებრივი”, (ქიზიყ.) ფხაჟ-ი “დურგლის იარაღი: ფიცრის კიდის გასახაზავი ხელსაწყო”, ფხაჟ-ნ-ა, (ხევს., თუმ., ფშ., მოხ.), ფხაჟ-ვ-ა, გა-ფხაჟ-ვ-ა, (მოხ.) და-ფხრაჟ-ვ-ა “დაკაწრვა, დაფხაჟნა, დაგაზვა”

სვან. (ზს.) ფხაჟ, (ლნტ.) ფხაჟ, (ლშხ.) ფხერჟ “მაგარწვეტებიანი რამ”.

ლაშხური ფორმის თავისებურებანი ეგებ ფხრიჟ-/ფხირჟ- ძირის გავლენით იყოს განპირობებული, რომელიც ამჟამად, მართალია, მხოლოდ ზს.-ში ვლინდება (შდრ. (ბზ.) ვფხრიჟჟი (ვხუფხირიჟჟ...), (ბქ.) ვფხრიჟი (ოხფხირიჟჟ...) “თხრის”, (ბზ.) ფხირჟჟაჟ, ფხირჟჟაჟ, (ბქ.)ფხირჟჟა, (ლშხ.) ფხირჟაჟ “ჩიჩქნია, ჩხრეკია, მთხრელი”), მაგრამ ადრე ალბათ არც ქს.-ისთვისაც უნდა ყოფილიყო უცხო.

*ქაქ-

ქართ. (ქიზიყ.) ა-ქაქ-ვ-ა “აშლა, ცოტაოდნად ათხრა”

[ზან.] (ქართ.) ოქოქა “სახენელი იარაღი, აჩაჩა”

ივანე ჯავახიშვილის აზრით, “შესაძლებელია, რომ “ოქოქა”-ში თავკიდური “ო” თავსართი იყოს და ძირად “ქოქი” იყოს მისაჩნვეი. შესაძლებელია, “ოქოქა” დაკავშირებული იყოს სახელობა “ქექა”-სთან... საბას ქექაზე ნათქვამი აქვს “ცუდ ფხანა”-ს ჰნიშნავსო (ლექსიკ.), მაგრამ ამაზე უფრო ხშირად, შესაძლებელია ითქვას კიდევაც რომ ჩვეულებრივ, მიწის, ან სხვა რისამე აქეთ-იქით გაწევას, გაშლასა და ჩხრეკას ჰნიშნავს (მაგ., “ქათამმა ქექა, ქექა და... დანა გამოქექაო”, “ნაცარ ქექია”)... “ოქოქა”, ამგვარად, განკუთვნილობის თავსართ “ო”-სა და ქექისაგან იქნებოდა წარმომდგარი და თავდაპირველად მიწის საქექი და საკვეთი იარაღის აღმნიშვნელი იქნებოდა. ოქოქის აგებულების უძველეს სახეობას ამ ტერმინის ასეთი გააზრიანება კარგად უდგება... დასასრულ, შესაძლებელია, ადამიანმა წარმოიდგინოს, რომ ოქოქა თავსართ “ო”-სა და “ქუქუნი”-საგან იყოს ნაწარმოები. ქუქუნი... ს. ორბელიანს განმარტებული აქვს: “ესე არს ცხოველთა მა-

მალ-დედლობისა აღრევათა შინა ძრვა, რომელსაც გლეხნი ქაქუნს უწოდენ”-ო (ლექსიკ.). მაშასადამე, ქაქუნი, ანუ ქუქუნი განაყოფიერების პროცესის აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა. ამავე ძირსვე უნდა ეკუთვნოდეს “ქაქანი”, რომელიც საბას სამართლიანი განმარტებით, “მაშურალის სულის კვეთა”-ს ჰნიშნავს (ლექსიკ.).... ამ ზმნის ძირად “ქუქ”, “ქაქ” უნდა ვიგულისხმოთ. “ოქოქა”, ამგვარად, მიწის განაყოფიერებისათვის განკუთვნილი იარაღის აღმნიშვნელი გამოვა” (ჯავახიშვილი 1930/1996, 236-237).

გვარაუდობთ, რომ ოქოქა უძველესი ზანიზმია და თავდაპირველად, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, “საქექს” აღნიშნავდა. ზანური ქოქ- ძირის ზუსტი შესატყვისი ქაქ-დაცულია ქართული ენის ქიზიყურ დიალექტში. ზანურის დიალექტებში “რელიქტურად შემორჩენილია” ო- -ა კონფიქსით ნაწარმოები მყოფადის მიმღობები, მაგ.: ლაზ. ო-სტულინ-ა “სასრილო”, მეგრ. ო-რდგ-ა “სადგომი ადგილი აკვანში”... (იხ. ლაზურ-მეგრული გრამატიკა, 682).

***ქუთ-//ქუც-//ქურ-**

ქართ. (ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.) ქუთი, ქუთი! “ქუცი, ძალთ მოწოდების ხმა”, ქუცი, ქუცი! “ღორთ მოწოდების ხმა (ნახე ქუთი)”, (ქეგლ) ქუცი, ქუცი! “1. ღორის დამახება. 2. ძაღლის მოსააღერებელი სიტყვა”, (ქართლ.) ქუცუა-ი, ქურ-უნ-ა “ღორი მოფერებით”, (ქართლ., კახ.) ქუც-უნ-ა, ქუც-უნ-ია “გოჭის სააღერსო, სახელია”, (გარეკახ.) ქუც-ა, ქუც-ია, ქუც-უა “გოჭი ან ღორი (ბავშვის ენაზე)”, ქუც-უნ-ა, ქუც-უნ-ია “მოფერ. ღორი (გოჭი)”, ქუცი, ქუცა!, ქუცო! “ღორის მოსახმობი შემახილი”, (ინგილ.) ქურუ “ძაღლის დასაშოშმინებელი ძახილი”, (იმერ.) ქუც-ურ-ი “ლაქუცი, ძაღლის აღერსი”, ქუც-ურ-ა “გადატ. ძაღლი”, ქუც-ქუც-ა “ლაქუცა, უგულოდ მოაღერსე”...

ზან. (მეგრ.) ქუთ-ოლ-ი “ლაქუცი, პირფერობა”, ქუთ-ოლ-ა “ლაქუცა, ვერია”, (ლაზ.) ქუთ-ა “ძაღლის სახეობა; იხმარება ძაღლის დასამახებლად”

სვან. (ბზ.) ქუც-ირ-ნლ, (ბქ.) ქუით-ილ, (ლშბ., ლნტ.) ქურ-ირ-ი “ძაღლის, ლეკვის მოფერებითი სახელი - ლეკვუნა”

მ. ჩუხუამ შეაპირისპირა ქართ. (იმერ., სალიტ.) **ქუცურა** და სვან. (ლშხ., ლნტ.) **ქუჩირ** (ჩუხუა 2017, 409). ვფიქრობთ, აქვეა განსახილველი წარმოდგენილი ქართული და ზანური ფორმებიც, რომელთა შეპირისპირების საფუძველზეც სქ ენობრივი დონეზე აღვადგენთ ***ქუთ-//*ქუც-//*ქუჩ-** არქექტიპებს.

***ქურუხ-**

ქართ. (ქეგლ) **ქურუხ-ა** “პირქუში, კუშტი, წარბშეკრული, გულ-მძიმე (ადამიანი)”, **მო-ქურუხ-ებული** “შუბლშეკრული, დაბღვერილი, მოჭმუხნილი; გადატ. მოღრუბლული, საავდროდ გამზადებული (ცა).”

სვან. (ბზ., ლშხ.) **ქურუხ(ჟ)** “რუხი”

ვფიქრობთ, ქართული **ქურუხ-** ძირისათვის ამოსავალი სწორედ “რუხის” მნიშვნელობა უნდა იყოს, რომელიც მის სვანურ შესატყვისს დაუცავს. მნიშვნელობათა “რუხი” - “პირქუში” დაკავშირებისათვის შდრ., მაგ., სიტყვა ყომრალის (“მუქი ნაცრისფერი”) მეტაფორული ხმარება გ. ლეონიძის “ნატვრის ხეში”: “ჩიკოტელა უსალმო, ყომრალი, ცადაღრუბლული კაცი იყო... ავდრიან დღეს უგავდა თავ-პირი”(ლეონიძე 1990, 63), “აგრე შერთეს მარიტას უნდომი, უნდო, უყვარული ქმარი შეთე - მლაშე, ზვიადი, ყომრალი კაცი, მგლისფერი!” (იქვე, 194).

***ღუზ-**

ქართ. (ქეგლ) **ღუზ-ღუზ-ი** “გუზგუზი”

სვან. **ღუ-ღუზ-ე** “გადვივებული, გუზგუზა (აგუზგუზებული”

***ცანცარ-**

ქართ. **ცანცარ-ი, ა-აცანცარ-დე-ბ-ა** “ამჩატდება, საკუთარი საქციელის კონტროლს დაკარგავს”

ზან. (ლაზ.) **ცოცორ-ი** “გაბავშვებული მოხუცი”

***ძულ-**

ქართ. **სი-ძულ-ვილ-ი, მ-ძულ-ს**

ლაზ. (თანდილავა) **ძულ-ინ-უ, (ნენაფუნა) ძულ-ინ-უ-ა** “არმოწონება”, **ძულ-ს**.

***ძალ-**

+ სვან. (ლიპ.) **ხ-ე-ჯწვ-ი-ელ** “ეძალება, ეტანება”, **ი-ჯწვ-იელ** “ძალითა ჭამს”, (ლშხ. ტექსტები, 22, 175) **ხ-ე-ჯწვ-ე-ელ-ხ** “ეტანებიან”

მ. ჩუხუამ ერთმანეთს შეუპირისპირა ქართული **ძალ-ი**, **ძლ-ევ-ა** და ზან. (მეგრ.) **მო-ნჯოლ-უ-ა** “ძლევა” და (ლაზ.) **გაე-ჯოლ-აფ-ა** “გაძლიერება” (ჩუხუა 2000-03, 166; ლაზურ-მეგრული გრამატიკა, 896). ვფიქრობთ, აქვეა განსახილველი სვან. **ჯაჷ-** ძირიც, რომელიც დამოწმებულ ფორმებში გამოიყოფა: **ჯაჷ- < *ჯალ-**.

***ძიძიგ-**

ქართ. **ძიძგილ-ა-ობ-ა**

ზან. (ლაზ.) **ო-ჯიჯგილ-უ** “ძიძგილაობა; სიტყვებით ურთიერთშეპასუხება”.

***წილ-**

ქართ. (მობ.) **წილ-ი** “კანის ავადმყოფობა; აყრის ტანზე წითლად და ძლიერ ექავება”

ზან. (მეგრ.) **წიწილ-უ-ა** “დაყრა ტანზე, პატარა მუწუკების გარენა”

ზან. (მეგრ.) **წიწილ- < *წილ-წილ-**.

ჭუჭკ-

ქართ. **ჭუჭკ-ავ-ს** (ხევს.) “მჭიდროდ აწყობს, ალაგებს”, (ქეგლ.) “ჭმუჭნის; უკეცს (საბანს და სხვ.), რომ სიცივე არ შეეპაროს, - ფუთნის”

ზან. (მეგრ.) **ჭკუჭკ-ა** “ხშირი, ახლო-ახლო, მიჯრილი”

გამოყენებული ლიტერატურა:

აჭარიანი 1971 – ჯრ. **სადაოუას, ჯაყეჩხა სერასოასასა**
ჩაოაუას, I, ხეხას.

ბერიაშვილი 1973 – ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, “მეცნიერება”, თბილისი.

ბერიაშვილი 1985 – ლ. ბერიაშვილი, ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში // საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, მემინდვრობა, 17-37, “მეცნიერება”, თბილისი.

ბერიაშვილი 2016 – ლ. ბერიაშვილი, ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში//ქართველები, 249-255, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი.

გიგინეიშვილი 2016 – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი.

გოგატიშვილი 2006 :- გ. გოგატიშვილი, ფშაური ლექსიკა, I, თბილისი.

კახაძე 1987 – ო. კახაძე, პურეულის ლექსიკა ქართულში, მეცნიერება, თბილისი.

კლიმოვი 1998 – Klimov G. A., Etymological Dicionary of the Kartvelian Languages, Mouton de Gruyter, Berlin - New York.

კოსვენი 1948 – Косвен М. О., Авункулат // Советская Этнография, 1 1948, 3-46, Изд. Академии Наук СССР, Москва – Ленинград.

ლევე-სტროსი 1943 – Levi Strauss C., The Social Use of Kinship Terms among Brazilian Indians // American Anthropologist, New Series, Vol. 45, No. 3, Part 1: 398-409.

ლევე სტროსი 1969 – Levi Strauss C., The Elementary Structures of Kinship, Revised ed. edition, Beacon Press, Boston.

ლეონიძე 1990 – გ. ლეონიძე, ნატვრის ხე, “მერანი”, თბილისი.

სართანია 2016 – დ. სართანია, ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ერთი ფორმა – მესხური ტერასები // შრომათა კრებული, სა-

მეცნიერო კონფერენციის მასალები “რეგიონული განვითარების პერსპექტივები: სამცხე – ჯავახეთი”, 35-42., თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბილისი.

ფენრიხი 2007 – Fänrich H., Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, BRILL, Leiden-Boston.

ჩუხუა 2000-03 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-ავხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1930/1996 – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, IV, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი.

LEVAN KELAURADZE

Addenda to Etymological Dictionary of Kartvelian Languages- IV

Summary

The publication of the possible new cognates identified among the Kartvelian languages, Common Kartvelian archetypes reconstructed on the basis of their comparison and also additional material to the comparisons already known from the etymological dictionaries still continues at present.

ნანა მაჭავარიანი

ანთროპომორფულ არსებობა სახელწოდების
წარმოშობისათვის ავსაზურში

4. აჟეფშა „ნადირთ ღვთაება“

ავსაზურში ნადირთ ღვთაების სახელწოდებაა აჟეფშა, ეს სახელი კომპოზიციით მიღებულის შთაბეჭდილებას ტოვებს: აჟ+ე+ფშ+ა. ვფიქრობთ, რომ ჩვენს წინაშე ოთხკომპონენტური კომპოზიტია:

სიტყვის პირველი ელემენტი -აჟ „მველი“ლექსემაა, მეორე -აჲ > ეჲ, საურთიერთო მიმართების პრეფიქსი, მესამე-ფშ < აყაფშ „წითელი“ (ლომთათიძე 1976 : 70), ხოლო მეოთხე -აჲ ელემენტი (კრებიტი) მრავლობითის გამომხატველი ჩანს.

საურთიერთო მიმართების პრეფიქსი ავსაზურში ფერთა აღმნიშვნელ ზედსართავებსაც ახასიათებს: აჟჰაწა „შავი“, აჟაწა „მწვანე“ (ლომთათიძე, 1976: 66).

სიტყვასიტყვით: „მველი> (მოხუცი, ბებერი)+ურთიერთ+წითურ+(ნი)“...„მოხუცი წითური“...(შდრ.: აჟაყაფშ „კაცი წითური“, აბგაფშ „მველი წითური“, აცაფშ „ხორბალი“...

კომპოზიტის სტრუქტურა შეესაბამება ავსაზური ენისათვის დამახასიათებელ საზღვრულ-მსაზღვრელის განლაგებას: ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავს სახელებს ავსაზურში ახასიათებს ტაბუირება, სიტყვის ასეთი გააზრება არ უნდა იყოს მოულოდნელი. რაც შეეხება მრავლობითის ფორმანტს, იგი ჩვეულებრივია ავსაზურ ანთროპომორფულ სახელთათვის და მრავალდმერთიანობის პერიოდიდან მომდინარეობს. (შდრ. ანცა „ღმერთი“ = დედები (ლომთათიძე 1978 : 145) აშააცა „გამჩენი, დამბადებელი“ (ჯანაშია 1960).

აჟეფჟმა ნადირთ ღვთაებას ტაპანთურში შეესაბამება ტერმინი შაზაფში, აშხარულში აჟაფში... აშხარელები სამონადირეო ენას აჟაფ-ფშიბგზხა - ს უწოდებენ... სიტყვასიტყვით: აჟეფჟმასენა. აქაც, როგორც ვხედავთ, სახეზეა ფი „წითური“ ზედსართავი სახელის ნაშთი.

აქამდე არსებობდა აღნიშნული ტერმინის ახსნის ორი ცდა. ერთი მას რიცხვით სახელ „თოთხმეტს“ უკავშირებს (ჟიფში, ჟიფშიგ) ,სხვა მოსაზრებით კი სიტყვა უნდა ნიშნავდეს „მოდარაჯე ფრთას“ აჟვა „მხარი“, „ ფრთა“, „დარაჯობა“... (ვიმოწმებთ - ანთელავა 2006 : 65) .

გამოყენებული ლიტერატურა:

ანთელავა 2006 – ნუგზარ ანთელავა, აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები, თბილისი.

ლომთათიძე 1976 – ქეთევან ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი.

ლომთათიძე 1978 – ქეთევან ლომთათიძე, კვლავ ანცა („ღვთაება“) სიტყვის ფუძის აგებულების შესახებ. „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, III, თბილისი.

ჯანაშია 1960 – Симон Джанашия, Статьи по этнографии Абхазии. Сухуми.

NANA MACHAVARIANI

On the Origin of the Proper Names of Anthropomorphic Creatures in Abkhazian

Summary

The paper deals with the analysis of the Abkhazian proper name აჟ^ჟეჟშაა and its etymology.

რუსულან რამიზშილი

ზოგიერთი სიტყვის წარმოშობისათვის
ქართული ენის დიალექტებში

1. რაჭულ დიალექტში დადასტურებულია ლექსიკური ერთეული **ხაფიფ**-ი, რომელიც ამგვარადაა განმარტებული: მოფერება, ალერსი. **ხაფიფად** „მოფერებით, ალერსით“. **ხაფიფად** ყავსყე ბოში გაზდილი (იხ. ქეგლ, ქავთ. I, ნიჟარ.) (რაჭ.). დიალექტებში გვხვდება მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმებიც: **ეხაფიფება** „ეალერსება, თავს ევლება, ეფერება, ესათუთება“ (რაჭ.), **იხაფიფებს** გაერთობა, ინებივრებს. გაუშვი, **იხაფიფოს** ბალღმა, ნუ ართმევ! (ქართლ.), **ხაფიფობს** „ერთობა, ნებივრობს“. ბავშვი **ხაფიფობს** (ქართლ.).

ხაფიფ-ი კუთხ. (იმერ) „მოფერება“, **ხაფიფად** „მსუბუქად“, „თავისუფლად“, „ნებიერად“ (ქეგლი).

საანალიზო სიტყვა გვხვდება „რუსულანიაში.“ **ხაფიფ**-ი: **ხაფიფად** „მსუბუქად, თავისუფლად, ნებივრად“ (რუსულ. ლექს.). „...ჩემო უცხოდ **ხაფიფად** და ყმაწვილურად მქცევლო“...რუსულ. 150,25; „იზღებოდა ყმაწვილი **ხაფიფად** და ნებიერად“ (რუსულ. 164,6).

ამ სიტყვის განსხვავებული განმარტება აქვს მოცემული დ. ჩუბინაშვილს: **ხაფიფ**-ი „სამინელი, სასტიკი“ (დ. ჩუბინ.).

ხაფიფ-ი არაბული წარმომავლობის სიტყვაა, რომელიც ლექსიკონებში ამგვარადაა განმარტებული: **xafif** 1. „მსუბუქი“, 2. უმნიშვნელო, პატარა, მცირე, 3. დამცირებული, შეურაცხყოფილი.

როგორც მასალიდან ჩანს, საანალიზო სიტყვის „რუსულანიაში“ დადასტურებული განმარტება ახლოს დგას მის არაბ., სპარს. მნიშვნელობასთან. რაც შეეხება რაჭულ და ქართლურ დიალექტს, აქ მცირედ განსხვავებულია ამ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა. ბუნდოვანია ამ სიტყვის დ. ჩუბინაშვილისეული განმარტება „სამინელი“, სასტიკი“. ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა ეს მნიშვნელობა სპარს. არაბ. **xafif**-ის მესამე მნიშვნელობიდან (დამცირებული, შეურაცხყოფილი) მომდინარეობდეს, თუმცა როგორც სალიტერატურო

ქართულში, ისე ქართული ენის დიალექტებში, ამ სიტყვის ამგვარი მნიშვნელობა არ დასტურდება.

2. საინტერესოა დიალექტებში დადასტურებული ზმნური ფორმა **ენიაზება**. **ენიაზებ-**ა „ენატრება“: გულით **ენიაზებოდა** ბავშვის ნახვა და არ აჩვენეს (ქართლ.).

ენიაზება (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში, კუთხ. ფშ. სურვილი აქვს, სწადია, „უნდა. პატარძლის სანახავად მეზობლის ქალებმა მოიყარეს თავი. ყველას ნახვა **ენიაზებოდა...**, თუ როგორი „ბატარძალი მოიყვანა გამახარემა“ (ვაჟა).(ქეგლ).

ზმნური ფორმა **ენიაზება** ნაწარმოებია სპარსული სიტყვისაგან **niyāz**, რომელიც სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში შემდეგნაირად არის განმარტებული: 1. აუცილებლობა; საჭიროება. 2. თხოვნა; ვედრება, 3. აღთქმა, დაპირება, პირობა, ფიცი (რუბინჩიკი, მოინი).

როგორც ვხედავთ, სპარს. **niyāz** ქართული ენის დიალექტებში განსხვავებული მნიშვნელობით დამკვიდრებულა.

3. ქართულში გვხვდება **ბანდ-** ძირიდან ნაწარმოები ზმნური ფორმა **ჩაიბანდება** თბილად ჩაიცვამს, „ჩაიფუთნება. ჩაიბანდება,“ „რაც აქ, ყველაფერს ზედ მოიქცევს და დადის; დასცხება, მა რა იქნება?“ (ტყვ.). **ჩაბანდული** „ჩაბანდული რო გიწემთ ე ბავშვი, არა სცხელა?!“ (კარალ.) (ქართლ.).

ჩაიბანდება არ არის განმარტებული ქეგლში, გვხვდება იმავე **ბანდ-** ძირიდან ნაწარმოები **ბანდვა** „ბანდის გაყრა“, „ხლართვა“ და **იბანდავს** – ბანდავს თავისას ან თავისთვის – ბანდით, თასმით, იხლართავს. „გარეთ ვიჯექ, ქალამნებს ვიბანდავდი“ (ვაჟა) (ქეგლ).

ბანდ-ი „ძველი ქსოვილის (ტყავის) ნაგლეჯი ქალამანში ჩასაფენად, ფეხზე დასახვევად.“ „ქალმეფში რო ჩაიგებენ ხომე ჩვრეფსა, იმასა ექვიან **ბანდი**“ (ტყვ.). „ახალ წინდას რო ჩაიცვამდენ, ზედ გადაიხვევდენ **ბანდსა**, რო ქალმეფს არ გაეფუჭებიან წინდები“ (ოდ.) (ქართლ.).

ბანდ-ი ცხელი ჭურჭლის მოსაკიდებელი ბაწრით მოქსოვილი ოთხკუთხედი ნაჭერი, დაგლეჯილ ქალამანში ჩასაფენი ნახმარი ქსოვილის ნაჭერი, ჩვარი (ინგილ.); ჭინჭი, ჩვარი, რომლითაც ასწორებენ გამოუწვავ, ნედლ ჭურჭელს (ზ. იმერ.), **ბანდ-ი** „ნახვევი“ (მთიულ.) (ქართ. ეპისტ. წყ.).

ბანდ-ი ამას უწოდენ უხმარსა ძონძსა, გინა წვრილთა თასმათა და მისთანათა; ბანდსა უწოდენ ერთსა სენსა პირუტყვთასა ZA (სა-ბა).

ბანდ-ი [სპარს. ბანდ „შეკვრა“, „ნასკვი“] 1. წვრილი თოკი ან თასმა სახლართად, მოსაკრავად გამოყენებული. ბანდით დახლართული ქალამანი. - ქალამნები დამიმველდა, ზედ ავიხვიე ბანდები (ხალხ.). 2. ჭრილობის შესახვევი (ქსოვილი). სისხლს ბანდში გამოეჟონა(ქეგლ).

ქართულში **ბანდ-ი** სპარსული ენიდან არის დამკვიდრებული. სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში **band**-ის შემდეგი მნიშვნელობებია მოცემული: 1. ძაფი, თოკი; 2. ქამარი, ჯაჭვი; 3. ზონარი; 4. კვანძი, ნასკვი; 5. ფიცი, პირობა; 6. კლიტე.

band ირანული ძირია, რომელიც დადასტურებულია ბევრ ირანულ ენაში. ძვ. ირან. **bandhana** „თოკი“, ძვ. ინდ. **bandhana-**, იალნ. **vantak** „ჭურჭლის თავსახურის შემოსაკრავი თოკი“, ავღ. **wandanai** „ბალახის თოკი“, სპარს. band „სახვევი“, „არტახი“, ბელუჯ. **gvarband** „ცხენის სამკერდე ღვედი“, სოლდ. **band**, ავ. **banda** „აგმა, კონა, კუნწულა“.... (აბაევი, 1958).

როგორც გაანალიზებული მასალიდან ირკვევა, **ბანდ-ი** სპარსული საგან განსხვავებული მნიშვნელობითაც (ქსოვილის ნაგლეჯი, „უხმარი ძონძი“) გვხვდება ქართულ ენასა და მის დიალექტებში. აქედან - **ჩაიბანდება** „თბილად ჩაიცვამს“ და **ჩაბანდულ-ი** „თბილად ჩაცმული“.

4. საყურადღებოა ქართულ დიალექტში დადასტურებული ლექსიკური ერთეული **გორხანა** 1. იგივეა, რაც გორხალა. სუთლათ რო მოუსვლელია, სიმწიფისა რო არაფერი ეტყობა, **გორხანაი** ის არი (ატ.). 2. სასაფლაო. სასაფლაოსაც ეძახიან გორხანასა (მეჯვრ.).

ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობამ. ქართულში **ხანა** კომპონენტის შემცველი ბევრი სიტყვაა შემოსული, როგორცაა: **ფიშხანა, ყუშხანა, ხალვათხანა...**

გორხანაც სპარსული ენიდან ჩანს შეთვისებული ქართულ ენაში. სპარსული **gurxāne** „სასაფლაო“ კომპოზიტია და შედგება ორი კომპონენტისაგან: სპარს. **gur** „საფლავი“ და **xāne** „სახლი“ .

სპარს. **xāne** = ფალ. **xānak**, ძვ. ირან. **āhan** (ადგილი) **ān** და **hān-** (დან) (ნიბერგი). ჰორნს იგი ავესტური მასდარიდან ნაწარმოებად მი-აჩნია (*Borhān-e Qate*, 2, 1983).

5. სპარსული წარმომავლობისაა დიალექტებში დადასტურებული ლექსიკური ერთეული **ხათქაშ-ი**. **ხათქაშ-ი** სადურგლო იარაღი, კაწარა (კავთ.) (ქართლ.), **ხათქაში-ი** დურგლის იარაღია, საფხაჭი (რაჭ.).

სპარს. **xatkeš** „სახაზავი“ კომპოზიტია (სპარს. **xat** „ხაზი“ და **keš** - აწმყო დროის ფუძე ზმნიდან **kešidan** „გაწევა“, „გაქაჩვა“).

6. იმავე ტიპის კომპოზიტია ქართლურ დიალექტში დადასტურებული ლექსიკური ერთეული **დუთქაშ-ი** „ჭურჭლის გამოსაწვავი ქურის საკვამური“ (შდრ. სპარს. **dud** „კვამლი“ და **keš** - აწმყო დროის ფუძე ზმნიდან **kešidan** „გაწევა“, „გაქაჩვა“).

გამოყენებული ლიტერატურა:

ჩუბინაშვილი – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

Borhan - Borhan-e Qate`, II, Tehran, 1983.

Mo'in – M. Mo'in, Farhang-e farsi, 1996.

საბა – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, II, თბ., 1993.

В. И Аббаев – Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М-Л, 1958.

ქეგლ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი I, 2008; II, 2010; IV, 1955; V, 1958; VIII, 1964.

რუბინჩიკი – Персидско-русский словарь, под редакцией Ю. А. Рубинчика, М., 1983.

„რუსუდანანი“ – ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.

ბეროზაშვილი თ., მესხიშვილი მ., ნოზაძე ლ. – ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981.

კობახიძე ალ. – რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1989.

ქართული ეპისტოლური წყაროები: ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა, თბ., 1989.

RUSUDAN RAMISHVILI

On the Origin of Some Words in Georgian Dialects

Summary

The paper deals with the analysis of the words attested in Georgian Dialects: the lexical unit **xapip-i** “caress” having the Arab origin, its derivative, the verbal form **xapipobs** „He is amused/He is taking pleasure” and the verbal form **eniazeba** “He missessmb./smth.”having the Persian base *niyāz* “1. Necessity; 2. Request; Plea; 3. Oath; Promise”.

It also analysis the terms **čaibandeba** “He will dress warmly” and **čabandul-i** “warmly dressed” containing the Persian component *band* “1. Thread; Rope; 2. Belt; Chain; 3. Band; 4. Knot) and the words **gorxana** “cemetery” and **xatkaš-i** “carpenter’s tool” that contain the component **xana** - having the Persian origin.

ნანა სააკაძე

-ოზ და -სჳრ კირჳზის ეტიმოლოგიისათჳის
(ქვემოქართლური მასალის მისეღვი)

ლექსემა **ბაბაჳუა** ბოლნისის რაიონის ქართულ სოფლებში აღ-
ვნუსხეთ, რომელსაც, ინფორმანტთა განმარტებით, აქვს რამდენიმე
მნიშვნელობა: *ობობა/აბლაბუდა/ფეიქარა*.

სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით **„ბაბაჳუა“** არის „დედა-
ზარდლი“ (ობობა). **ბაბაჳუა** კომპოზიტია. **ბაბ-**ა + **ჳუა** „წვრილი
მძრომით“ (საბა 1991:3), შდრ. ჳია - **ჳუა** და მისთ.

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონის მიხედვით,
ქართული **ბაბ-** **ბაბ-**ა-**ჳუა** „ობობა“, ლაზური **ბობ-** **ბობ-**ო-**ჳვა** / **ბობ-**
ო-**ნჳვა** „ხოჳო“, სვანური **ბაბ-** მელ-**ბაბ-**ილ „ობობა“ (სარჯველაძე,
ფენრიხი 2000:90).

ქართულ **ბაბ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური
ბობ- და სვანური **ბაბ-**.

ლაზური **ბობონჳვა** კომპოზიტია (**ბობ-**ო + **ნჳვა** < **ჳუა**) და მისი
მეორე ნაწილი ქართულიდან არის ნასესხები.

ქართული და ლაზური ენების მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქო-
ბავამ (ჩიქობავა 1938: 112); სვანური ექვივალენტი გამოავლინა ჳ.
ფენრიხმა (Fänrich 1982 a, 36).

კ. ჳ. შმიდტის აზრით, *დედაზარდლის* ანალოგიით „მამას“
(თურქ. **baba** „მამა“) ნიშნავს. მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით კი,
იგი „ობობა“ სიტყვიდან არის წარმოშობილი და მიჩნეულია ოსური-
დან ნასესხებად (ანდრონიკაშვილი 1966:102). მკვლევრის ამგვარ მო-
საზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგანაც რედუპლიკაცია ქართულ-
ში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა სიტყვაწარმოებისათვის.
არაერთი მაგალითი გვაქვს დახურული მარცვლის სრული სახით
გაორკეცებისა ხმოვნის შეუცვლელად (შდრ. ნარ-ნარ-ი, ჩახ-ჩახ-ი,
ტარ-ტარ-ი, რახ-რახ-ი, ხარ-ხარ-ი, ქიმ-ქიმ-ი, კამ-კამ-ი...). არ გვგო-
ნია, ამგვარი ფუძეების შემადგენელი CVC სტრუქტურის ძირთა სე-

მანტიკა მთლად ნათელი იყოს და ამის გამო აუცილებელი იყოს მათი მოძიება არაქართველურ არეალში. ამგვარი სიტყვები, ჩვენი აზრით, ხმაბადვითია, რომელშიც ასახულია კავშირები ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციულ ნიშნებს შორის.

სერი დმანისის რაიონის სოფ. დიდ გომარეთში დავადასტურეთ, რაც, ადგილობრივთა განმარტებით, ნიშნავს: „ქალების ვახშმობას საღამოობით მატყლის ჩეჩვის შემდეგ“. საანალიზო ლექსემა, ასევე, დასტურდება ძველ ქართულშიც: „ოდეს ხყოფდე სადილსა გინა **სერსა**, ნუ ხადი მეგობართა შენთა (ლუკა 14:12); „აღდგა **სერობისა** მისგან“ (იოანე 13:14).

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის მიხედვით იგი ასე განიმარტება: 1. (ქართლ.) „სახელდახელო საქმელი, უმთავრესად კი ხილუული და ხმელი ხილი“; 2. „ჩეჩვის დროს მეორე ვახშამი“ (ლონტი 1984:494-495).

სერი, როგორც ცნობილია, ადრე ქართულში „ღამეს, საღამოს“ ნიშნავდა და შემდეგ მნიშვნელობის დავიწროვებით „საღამოს საზრდელის“ მნიშვნელობა მიიღო. ამისი დასტურია ჭანურ-მეგრულში გავრცელებული „სერი“, რაც *ღამეს* ნიშნავს და აქ ეს ერთადერთი სიტყვაა ცნება „ღამ“-ის გადმოსაცემად (ჩიქოვავა 1938:195). ასევე, **სერ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრულის **სარ-** ძირი, რომელიც შემონახულია **ო-სარ-ე** „პერანგი“ ფუძეში, რაც სიტყვასიტყვით იქნება - „ღამისა“; „საღამური“, შდრ. ქვემოქართლური საღამ-ურ-ი („ღამის პერანგი“) (ნ. სააკაძე).

მეგრულში „**სერი**“ სიტყვისგან არის ნაწარმოები: **ამსერი** „ამ ღამეს“, **ნდღასერი** „დღე და ღამე“ (გ. კლიმოვი). ბელა ვიკარის საარქივო მასალებში „სერი“ ღამე-დ არის ახსნილი: სი რექ ბჟა დო სი რექ თუთა, მანათობელი სი **სერიში** „შენ ხარ მზე და შენ ხარ მთვარე, მანათობელი ღამის“ (შარაძე 1981:57).

მეგრულ-ჭანურში „სერი“, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის თვალსაზრისით, უნდა მომდინარეობდეს საერთოზნანური ***სარ-** არქტიპისაგან (***სარ-** → **სერ-** უმლაუტის შედეგად - გამყრელიძე, მაჭა-

ვარიანი 1965:160-170). სერის ადრინდელი ფორმა რომ სარი იყო, ამას ნათლად გვიჩვენებს ოსურის (i) **zær** „სადამო“, რომელსაც სარი გენეტიურად უკავშირდება. ოსური **izær**-ში (i) ხმოვანი **æ**-დ გამოითქმის ხოლმე და ხშირად ასეც იწერება - **æzær**. იგი ირანული სიტყვაა: ძველი ირანული (**iz - mydr**) „დღის ბოლო, სადამო“ (აბაევი 1973:1).

ამგვარად, ოსური **æzær (izær)** > ქართული **სარ** „დამე“ ფუძისაგან. ქართულში ადრე რომ **სარ** სადამოს ნიშნავდა, ნათლად ჩანს **სერი** სიტყვის განმარტებიდან „სადამოს საზრდელი“, რუს. „вечера“ (ჩუბინაშვილი 1961:361).

ჩვენი აზრით, საანალიზო ლექსემა ოსურში ქართულიდან უნდა იყოს შესული და არა პირიქით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966

აბაევი 1973 – В. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, Л. 1973

გაყრელიძე, მაჭავარიანი – თ. გაყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964

ორბელიანი 1991-- ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი, 1991

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000

ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984

შარაძე 1981 – გ. შარაძე, მასალები ბელა ვიკარის არქივიდან, თბილისი, 1981

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938

ჩუბინაშვილი 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1961.

NANA SAAKADZE

On the Etymology of the Bases **-ob** and **-ser**

Summary

The paper deals with the lexical units attested in the Lower Kartlian speech, e.g. **babačua** // **oboba** // **ablabuda** and **seri**.

The bases **-ob** and **-ser** are compared to the different kinds of dictionaries. Using these bases, we define the relations between phonetic and semantic differential marks.

მეფა სალიანი

რამდენიმე სვანური (ჩოლურული) ტოპონიმის
ეტიმოლოგიისათვის

ჩვენი ადრინდელი ნაშრომები სვანური ტოპონიმების შესახებ ძირითადად აღწერთი ხასიათის გახლდათ (იხ. სალიანი 2013ა:174-180; სალიანი 2013ბ:162-171), ამჯერად კი შეძლებისდაგვარად წარმოვადგენთ ქვემო სვანეთის ერთ-ერთი ულამაზესი ხეობის, ჩოლურისა და მისი სოფლების სახელწოდებათა (**ჭველიერის**, **თეკალის**, **ლეუმერის**, **ფანაგის**, **ქუნიშის**, **მამის**, **ჭველფის**, **საყდრის**, **დურაშის**, **ბულეშის**, **ტვიბის**, **ზაგალოდის**, **ედიყის**, **შტვილის**, **მურყმელდისა** და სხვ.) სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს როგორც ჩვენ მიერ წლების განმავლობაში საველე პირობებში მოპოვებულ მრავალფეროვან მასალაზე, ასევე ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ (ჩოლურული კილო) ლექსიკონზე“ (1998) დაყრდნობით. ცხადია, პუბლიკაციაში არის მცდელობა თითოეული ტოპონიმის ეტიმოლოგიური გააზრებისა და ონომასტიკურ ერთეულთა სახელდებაში ლინგვისტურთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორების წარმოჩენისა.

1. ჩრლირ/ჩრლურ - ხეობა, თემი ქვემო სვანეთში.

ხეობის აღმნიშვნელ სვანურ ტოპონიმში - **ჩრლ-ირ/ჩრლ-ურ** გამოიყოფა ჰიდრონიმების მაწარმოებელი -**ირ/-ურ** ბოლოსართი, ძირია **ჩრლ-**, რომელიც უნდა მომდინარეობდეს **ჩტალ** „მეწყერი, ზვავი“¹ (შდრ. ზს., ქს. **ჩტალ/ჩტალ** „მეწყერი“) ლექსემისაგან **ტა** → **რ**, შე-

¹ საინტერესოა, რომ **ჩტალ** „ზვავი“-ს მნიშვნელობით ჩოლურული მეტყველების გარდა სვანურის არც ერთ დიალექტსა და კილოვავში არ დასტურდება (შდრ. ზს., ლნტ. **ჩტალ**, ბქ., ლშხ. **ჩტალ** „მეწყერი“). სემანტიკურ გადაწვევასთან გვაქვს საქმე **ჟა** ლექსემის შემთხვევაშიც, რომელიც ჩოლურელ რესპონდენტთა თქმით უმეტესად მეწყერთან ასოცირდება და არა ზვავთან, როგორც სვანურის სხვა დიალექტებში (შდრ. ზს., **ჟჰჰ**, ლშხ. **ჟა**, ლნტ. **ჟჰ** „ზვავი“).

საბამისად კი ტოპონიმი ქართულად უნდა განიმარტოს როგორც ნა-მეწყრალი/მეწყრიანი. რაც შეეხება -ირ/-ურ ბოლოსართებს, მათგან პირველადი ჩანს -ურ სუფიქსი, -ირ კი -ურ სუფიქსის ნაუმლაუტარი (ჩრლ-ირ < *ჩტალ-ტირ < *ჩტალ-ურ).

შენიშვნა: სოფელ საყდრის მდინარის სახელწოდება ჩოლ-შურ[ა]-ც სწორედ ჩტალ ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს ჰიდრონიმთა მაწარმოებელი -შურ[ა] სუფიქსით (შდრ.: ცენ-შურ, ცხენ-შურ, ღობ-შურ, ხანწ-შურ, აშხა-შურ, ლამანა-შურ და ა. შ. - გაზდელიანი 2011:10), თუმცა, ჩვენი ვარაუდით, -შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისნეული (-იშ) თანხმოვნითი ელემენტი უნდა იყოს (საკითხი საკვლევი!).

მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

თეკალ ლას ჩრლირი ლახტრიელ (მივლინ. მასალ., მთქმელი: იზო ბენდელიანი, სოფ. საყდარი, 51 წლისა) „თეკალი იყო მთელი ჩოლურის შესაკრებელი ადგილი (ზედმიწ. - თეკალ-ი იყო ჩოლურ-ი[ს] შესაკრებელი)“

ჩრლირი მოსწავლენარ მეჩხრე-მეშტეცა მაგ ითრუდახ ჩრლირი საშუალო კლასისა (მივლინ. მასალ., მთქმელი: იზო ბენდელიანი, სოფ. საყდარი, 51 წლისა) „ჩოლურის მოსწავლეები მეცხრე-მეათეში ყველანი სწავლობდნენ ჩოლურის საშუალო სკოლაში (ზედმიწ. - ჩოლურ-ი[ს] მოსწავლე-ებ-ი მე-ცხრ-ე-მე-ათ-ე-ში ყველა სწავლობდნენ ჩოლურ-ი[ს] საშუალო კლას-ში)“

ჩრლირს ეკლესია ერ ედიან, ერქა სასაფლარო ქალიქლი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ყორა ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 85 წლისა) „ჩოლურში ეკლესია რომ წალეკა [მეწყერმა], მაშინ სასაფლაოც წალეკა (ზედმიწ. - ჩოლურ-ს ეკლესია რომ წალეებულ იქნა, მაშინ სასაფლაო-ც წალეებულა)“

თელ ჩოლურს ეშხუ ბედელ ხრგდა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრემიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „მთელ ჩოლურს ერთი ბედელი ედგა“

ქობზინ ლიმშიე ჩოლური კლასისა მათემატიკა მასწავლებელდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნოდარ ბაბლუანი, სოფ. ლეუშერი, 75 წლისა) „მუშაობა დავიწყე ჩოლურის სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად (ზედმიწ. - დავიწყე მუშაობა ჩოლურ-ის] კლას-ში მათემატიკ-ის] მასწავლებლ-ად)“

მი ხტი გურჯან ჯამბურიძე, მეზგე სოფელ ფანაგას ი ხტამშიე ჩოლური საშუალ კლასისა ბუღალტერდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გურჯან ჯამბურიძე, სოფ. ფანაგა, 50 წლისა) „მე ვარ გურჯან ჯამბურიძე, მცხოვრები სოფელ ფანაგაში და ვმუშაობ ჩოლურის საშუალო სკოლაში ბუღალტრად (ზედმიწ. - მე ვარ გურჯან ჯამბურიძე, მოსახლე სოფელ ფანაგას და ვმუშაობ ჩოლურ-ის] საშუალო კლას-ში ბუღალტრ-ად)“...

2. ჭოლიერ/ჭტელიერ/ჭტერიერ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი.

თუ ინფორმატორთა მიერ მოწოდებულ ხალხურ ეტიმოლოგიას დავეყრდნობით, ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი უძველესი სოფლის სახელწოდება ჭოლიერ/ჭტელიერ-იც ჩტალ „მეწყერი“ სიტყვისაგან მიღებულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო რთულ ფუძესთან გვაქვს საქმე. ცხადია, უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია ჭოლ-/ჭტელ- ძირის სემანტიკა სვანურში და შემდგომ მისი ქართველური შესატყვისები უნდა დაიძებნოს.

საველე პირობებში მოძიებული მასალების მიხედვით, ჭტელიერ-ის უძველესი სახელწოდება ყოფილა ჩტალიერ-ი (ანუ ნამეწყრალი/მეწყერიანი ადგილი). სოფლის დღევანდელი სახელწოდება კი შედარებით ახალ ფორმადაა მიჩნეული და იგი, თუკი ხალხურ ეტიმოლოგიას დავეყრდნობით, სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით უნდა მიგველო ჩტალ „მეწყერი“ ლექსემისაგან. ასეთ შემთხვევაში კი საანალიზო ტოპონიმის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

*ჩტალ-აერ ← *ჩტელ-აერ ← *ჩოლ-აერ ← ჭოლ-აერ (მდრ. ერთი მხრივ, ზს. ჭკჭენდ, ლხმ. ჭკჭენდრა და, მეორე მხრივ, ლშხ.

ჩეკუნდ, **ლნტ. ჩიკუნდ**, **ჩოლ. ჩიკინდ** „ტირიფი, ძეწნა), რაც შეეხება **ჭუტელიერ** ფორმას, იგი შედარებით ახალი წარმოქმნილი ჩანს **კოლიერ-ისაგან** (ო → უე), თუმცა საანალიზო ფუძის როგორც სემანტიკა, ასევე ფონეტიკური ტრანსფორმაცია ჩვენ სხვაგვარად წარმოგვიდგენია.

სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში დასტურდება ერთი ფრიად საინტერესო ლექსიკური ერთეული **ლინჭუტერე** „გაკავვა/ამომირკვა/გაწმენდა ქვალორლისგან“, რომელიც არც ვ. თოფურია-სა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ არ გვხვდება და არც დღემდე ცნობილ არც ერთ სვანურ პუბლიკაციაში. ვფიქრობთ, **ლინჭუტერე** ფორმაში ძირად გამოიყოფა **ჭუტერ-**, **ლი-** - ე კი მადარის მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსია, რაც შეეხება **ნ**'ს, იგი აშკარად ფონეტიკური დანართია. ცხადია, სამეზნია აღნიშნული ფუძის ქართველური შესატყვისები რის საფუძველზეც საშუალება გვექნება გავარკვიოთ საანალიზო ტოპონიმის - (**კოლიერ/ჭუტელიერ**-ის) თავდაპირველი სემანტიკა.

ვინაიდან სვანურში ჩვენთვის მეტად საინტერესო არქაული სიტყვა - **ლინჭუტერე** გამოავლინეთ, ვფიქრობთ, ჩვენი ეტიმოლოგიური გააზრება ზემოთ აღნიშნული ტოპონიმისა - **კოლიერ/ჭუტელიერ** უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი გახდება. და სანამ სიტყვის ლინგვისტურ ანალიზზე გადავალთ, მეტი დამაჯერებლობისთვის, მოვიყვანთ ნაწყვეტს ჩვენ მიერ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში (1993 წელს) ბალსქვემო სვანეთში, კერძოდ, სოფელ ნაკრაში 59 წლის ვენერა ვიბლიანისაგან ჩაწერილი ერთ-ერთი ტექსტიდან **ნაკრა ი ჭუბერ** „ნაკრა და ჭუბერი“:

ამჟი მასმა ხოშოლუხენქა, ერე ეშხუ დრეტუქა თათრარ როქ ახშედახ სგა ი ნაკ ი ჭუბერ როქ ჟ'ოხხუტიტახ (ეჩქას ჭუბერს სალ ხაჟენა ი ნაკს - ფაჟ). თათრარს ლაჯუმდარ მანგ ჩ'ოთხუტირახ ნენწელთექა, ამქადიამქად მშეედ ლაშგარ ომჯედ ი თათრარს ჟი ლეჭუტენი ხარენახ, მარე ნაკ ი ჭუბერ ჟ'ომხუტეტელი და ხანიდრეტუნლტე ჩ'ოლცხეველი. ეჯი დრეტუქა ცალერს, კიჩხგლდამს, ლამხრამს, თაურარს,

ჯუხლანის ი ხერხტაშს შტან ხაშხენა. ერქანლტე, დაახლოებით მეემ-დეშხუ-მეემდორე საუკუნედაგა ამერჟუ ჩუად ოლზიგელიხ. ოხბინახ ნაკრაშ ლინჭტერე ი ერქანლტე ზემ-ზემჟი ჩუად ოლზიგელიხ ნაკრას. ნაკრაშ სოფლარხენ ჭუბერთე ლოხბინახ ლიზი ლაღლიგალთე და ერერჟუ, ცხა, ლენჭტერე ხარენახ (მივლინების მასალ., ნაკრა, 1993 წ.) „ასე მსმენია უფროსებისგან, რომ ერთ დროს თათრები შემოსევანი და ნაკრა და ჭუბერი ამოუწყვეტიათო (მაშინ ჭუბერს სალი რქმევია და ნაკრას - ფაჟი). თათრებს ნენწელამდე ყველა ეკლესია დაუნგრევიათ, ამასობაში დამხმარე („მაშველი“) ლაშქარი მოსულა და თათრები იძულებული გამხდარან, უკან გაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ნაკრა და ჭუბერი ამოწყვეტილა და დროთა განმავლობაში ტყედ ქვეულა („გატყვევებულა“). იმ პერიოდში ცალერს, კიჩხულდაშს, ლაშხრაშს, თავარს, ჯუხლანის და ხერხვაშს სვანეთი რქმევია. შემდეგ, დაახლოებით მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში აქ ისევ დასახლებულან. დაუწყიათ ნაკრის ათვისება („გაკავავა/ამოძირკვა/გაწმენდა ქვალორლისგან“) და შემდეგ ნელ-ნელა („ზომა-ზომა-ზე“) ისევ დასახლებულან ნაკრაში. ნაკრის სოფლებიდან ჭუბერში დაუწყიათ გადასვლა სამოსახლოდ და იქაც, რა თქმა უნდა, გასაკავი/ამოსაძირკვი/გასაწმენდი ჰქონიათ ადგილი ქვალორლისგან“.

3. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (2000:667) ერთმანეთთანაა შეპირისპირებული ქართ. წტერ- წტერ-ავ-ს „ძირკვავს“; ამო-წვერ-ვ-ა... : მეგრ. ჭვარ-ჭვარ-უ-ა/ე-ჭვარ-უ-ა „გაწმენდა“; ე-ჭვარ-ილ-ი დიხა „გაწმენდილი მიწა“; უ-ჭვარ-უ დიხა „გაუწმენდელი მიწა“... : ლაზ. ნჭვარ- გო-ბ-ნჭვარ-ამ „ვწმენდ (სარეველებისაგან)“; გო-ბ-უ-ნჭვარ-ი „გავწმინდე (სარეველებისაგან)“... ფორმები და საერთოქართველური ფუძეების დონეზე აღდგენილია *წტერ- არქეტიპი.

აღბათ, საფუძველს მოკლებული არ იქნება სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილ ქართულ-ლაზურ შესაბამის ფუძეებთან სვანური ნჭტერ-/ჭტერ- ძირის დაკავშირება, რომელიც აღნიშნულ ფორ-

მათა ზუსტი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია, ცხადია, სემანტიკური იგივეობაც ხელშესახებია.

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ტოპონიმი **ჭტელიერ**-ი მიღებული ჩანს **ჭტერ** „ყვავი“ ფორმისაგან -**იერ** სუფიქსის დართვით (ჭუმბურიძე 2007:31), თუმცა დაბრკოლებას ქმნის **ჭტელიერ** ფორმის პარალელურად **ქოლ-იერ** ფორმის არსებობა, რომელიც უფრო ბუნებრივი ჩანს ჩოლოურელი რესპოდენტებისათვის.

საილუსტრაციო მასალა:

მი ხტე დაურხან მუკბანიან ჭტელიერხენ, არეშტყი მეტ ხტე, მარე ომა ზაჲ ღენა, მეშიხა (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „მე ვარ დაურხან მუკბანიანი ჭველიერიდან, ოთხმოცზე მეტის ვარ, მაგრამ რამდენი წლის, არ ვიცი (ზედმიწ. - მე ვარ დაურხან მუკბანიანი ჭველიერიდან, **რვა-ათზე** მეტი ვარ, მაგრამ რამდენი წლის, რა ვიცი)“

ლექტჷ ჭტელიერს ეკუთვნის მუყმენდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „ქვედა ჭველიერს ეკუთვნის მუყმენდი“

ხატსგტეჯნალ ... ლი ჩიაგ: საყდარს, ჭტელიერს, ლეშშერს, მამს, ტტიბს, მგწდის, ჩიანგ ლი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზოია ბაბლუანი, სოფ. ლეუშერი, 57 წლისა) „ხატის გამობრძანების დღესასწაული ყველგანაა: საყდარში, ჭველიერში, ლეუშერში, მამში, ტვიბში, მუწდიში, ყველგან არის (ზედმიწ. - **ხატ**-[ის] გამობრძანება არის ყველგან: საყდარ-ში, ჭველიერ-ში, ლეუშერ-ში, მამ-ში, ტვიბ-ში, მუწდი-ში, ყველგან არის)“

ლექტჷტრ ხალხს ხტყაყლედ საყდარს ი შტტილს ი ბგლეშს, ქოლიერრ, ლექტჷტრ ქოლიერრ ეჩხანტ რქტი (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „ქვედაურელებს ვეძახით საყდარს და შტვილს და ბულეშს, ჭველიერიც, ქვემო ჭველიერიც იქით ითვლება (ზედმიწ. - ქვემოთა **ხალხ**-ს ვეძახით **საყდარ**-ს და **შტვილ**-ს და **ბულეშ**-ს, ჭველიერ-ი-ც, ქვემო ჭველიერ-ი-ც იქით ითქმის)“

ბელშარ ამხაჲ ხტასდ ნამ, ა, ჭოლდერთე, ჭოლდერხენ ნაზჲ ხტასდ ნამ, ჭოლდერხენ ხტასდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ფაფალა მუკბანიანი, სოფ. ბულეში, 78 წლისა) „ბულეშელები აქეთ ვითვლებოდით, აი, ჭველიერისკენ, ჭველიერიდან გადასულები ვიყავით ჩვენ, ჭველიერიდან ვიყავით (ზედმიწ. - **ბულეშ-ელ-ებ-ი** აქეთ ვიყავით ჩვენ, აი, **ჭველიერ-ის]-კენ, ჭველიერ-იდან** ნავალი ვიყავით ჩვენ, **ჭველიერ-იდან**)“

მაი გტაკურ ნამ ჭოლდერთე? ამჩუ ხეკტეს ლესეს ლერლა, მა, ლათორაშჲ, იმჩიტჲ ლას ერქა (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „რა გვინდა ჩვენ ჭველიერში? აქ უნდა იყოს მთელი ჩოლური, აი, ლათორაშში, როგორც მაშინ იყო (ზედმიწ. - რა გვ-ენუკ-ვ-ი-ს ჩვენ **ჭველიერ-ის]-კენ?** აქ უნდა იყოს საჩოლურო, აი, ლათორაშში, როგორც იყო მაშინ)“...

3. ლეჲშერ/ლეუშერ/ლეუშერ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი.

საანალიზო ტოპონიმი ერთი შეხედვით პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებისაა - **ლე-ჲშ-ერ** (შდრ. ტოპონიმები: **ლე-ნჯ-ერ-ა, ლე-ტტჲ-ერ-ა, ლე-ჟჲჲ-ერ, ლე-ჩჲჲ-ერ, ლე-ქჲჲ-ერ-ა...**), თუმცა, ინფორმატორთა განმარტებით, აღნიშნული ტოპონიმის ისტორია დაკავშირებულია ქვემო სვანეთის ერთ-ერთი ცნობილი თავადის - ლევან გარდაფხაძის სახელთან, რომელსაც ეკუთვნოდა სოფლის მიწების უმეტესი ნაწილი, შესაბამისად კი ტოპონიმს ასე განმარტავენ: *სალევანო* (ანუ ლევანის სახელობის მიწა). თუკი ხალხურ ეტიმოლოგიას დავყვრდნობით, მაშინ სოფლის სახელწოდება **ლეჲშერ** ← **ლეჲან-შ-ერ** ← **ლეჲან-იშ-ერ** „ლევანისანი“ ფორმისაგან აუსლაუტისეული მარცვლის (ან) მოკვეცითა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული (ი) ხმოვნის დაკარგვით, რასაც უნდა გამოეწვია **-ერ** სუფიქსისეული **-ე** ხმოვნის დაგრძელება. ცხადია, ამ შემთხვევაში **ლე-** პრეფიქსს ვერ გამოვყოფთ და მას ვერც მატოპონიმებულ სუფიქსად მივიჩნევთ. **-შერ** ფორმანტი, რომელიც საანალიზო ტოპონიმში გამოი-

ყოფა, როგორც ცნობილია, რთული შედგენილობისაა და შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელების მაწარმოებელი სუფიქსია (ჩანტლაძე 1998:134), -შ კი, როგორც უკვე ითქვა, ნათესაობითისეულია. -შერ ფორმანტიანმა სახელმა თანდათანობით ტოპონიმის სტატუსი დაიმკვიდრა და თავდაპირველი მნიშვნელობაც (ანუ კუთვნილება) თითქოს მიიჩქმალა (შდრ., ასევე, ქვედა ლეუშერის სახელწოდება - **ცეჟშერ/ციოჟშერ**, რომელიც ← საკუთარი სახელისაგან **ციოჟ -შ-ერ** ფორმანტის დართვით).

საილუსტრაციო მასალა:

ათხე, ამჟუ, ლეჟშერს, ეჟრუ მეზგე გარ ხჟარიდ, ფანაგას - ეჟრუ ი იშგენ ქა მეჩდე ლიხ სერ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „ახლა, აჟ, ლეუშერში, მხოლოდ ორი ოჯახი ვართ, ფანაგაში - ორი და სხვები გადასულები არიან (ზედმიწ. - ახლა, აჟ, **ლეუშერ-ს, ორ-ი** მოსახლე მხოლოდ ვიმყოფებით, **ფანაგა-ს - ორ-ი** და სხვა გასული არიან მოკლეთ)“

ლეჟშერს ანჯიდ გჟნ მუს, ძღგდ მუს ანჯიდ ი ანსგმდა სიჟილ-კიჟილ ეჩხენისა, ლეუშერხენისა უკჟლეშთე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბადუ ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 68 წლისა) „ლეუშერში დიდი თოვლი მოვიდა, დიდი თოვლი მოვიდა და მოისმა წივილ-კივილი იქიდან, ლეუშერიდან უკვლეშში (ზედმიწ. - **ლეუშერ-ს** მოიტანა მეტისმეტი თოვლი, დიდი თოვლი მოიტანა და **მო-ი-სმ-ა/მო-გვ-ე-სმ-ა წივილ-კივილ-ი** იქიდან, **ლეუშერ-ი-დან-ში უკვლეშ-ის}-კენ“**

ლეჟშერისა იქიჟ ასად მეზგალ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „ლეუშერში აჟა-იქ დარჩნენ ოჯახები (ზედმიწ. - **ლეუშერ-ში იქ და აჟ დარჩა მოსახლეები“**...“

ათას ი ჩხარაშირისემეშტ ზადას ოხთენენ ლეუშერი სოფელისა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნოდარ ბაბლუანი, სოფ. ლეუშერი, 75 წლისა) „ათასცხრაასოცდაათ წელს დავიბადე სოფელ ლეუშერში (ზედმიწ. - **ათას და ცხრა-ას და სამ-ათ წელში დავიბადე ლეუშერი-ის} სოფელ-ში“**

გუმბატი ლახტარ ლი: აებერალ, ნესკალახტ, ლელუშმერა, ლალ-მარ, ლაწნორ, ლეჭფურას ხტყაყლედ, ამქმელსა ხტიჯოგდ ნამ, ლეუშერი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურიკო რატიანი, სოფ. ლეუშერი, 58 წლისა) „ჩვენი მთებია: ებერალი, შუამთა, სალევშერო, ლალიარი, ლახნირი, ლეხფურას {რომ} ვემახით, აქ გყავს საქონელი ჩვენ, ლეუშერს (ზედმიწ. - ჩვენი მთები არის: ებერალი, შუამთა, სა-ლევშერ-ო, ლალიარი, ლახნირი, ლეხფურას ვემახით, ამაში ვ-ჯოგ-ობ-თ ჩვენ, ლეუშერი-ი)“...

გუმბატი ნოყ ხტიჩქირდ, ამე, ლეუშერს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურიკო რატიანი, სოფ. ლეუშერი, 58 წლისა) „ჩვენთან შემას ვეზიდებთ, აქ, ლეუშერში (ზედმიწ. - ჩვენთან ვშეშობთ, აქ, ლეუშერ-ს)“

ეჩქადთეკა ლეყალტქლის ამჩუ, ა, თეკალიშ ი ლეუშერი ნესკა ი ფანაგაშ ი ლეუშერი ნესკამ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურიკო რატიანი, სოფ. ლეუშერი, 58 წლისა) „მანამდე კი დაშინებულან აქ, აი, თეკალსა და ლეუშერს შუა და ფანაგასა და ლეუშერს შუაც (ზედმიწ. - მაშინად[ის]კენგა დაშინებულ არიან აქ, აი, თეკალ-ის[ა] და ლეუშერ-ის[ა] შუა და ფანაგა-ს[ა] და ლეუშერ-ის[ა] შუამიც)“...

4. მამ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი.

სოფლის ეტიმოლოგია უცნობია, თუმცა, შესაძლოა, იგი დავუკავშიროთ ქართულის გზით დამკვიდრებულ მამილ „ვენახი“ ლექსემას. ფუძისეული ხმოვნის სიგრძე უნდა გამოეწვია -ილ მარცვლის მოკვეცას (ანუ საქმე გვაქვს საკომპენსაციო სიგრძესთან - მამ ← მამილ), რომლის თანხმობითი ელემენტი აღდგება მამლარ „მამელე-ბი“ სიტყვაში.

საილუსტრაციო მასალა:

ეკლესია ლი მამს გუმბატი ნაგამ, შატრეშიანალეშ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 73 წლისა) „მამის ეკლესია არის ჩვენი აშენებული, შავრეშიანების (ზედმიწ. - ეკლესია არის მამ-ში ჩვენი ნა-გ-ებ-ი, შავრეშიან-ებ-ის)“

ალე ბაჩუშ ოთგახ აღმარს, ა, გუშგუტე ხომალს, ჯგრაზგ, მარე ეჯი ჯგრაზგ ლემარქლი მწმს, ...მედას..., მედიყს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრემიანი, სოფ. ლეუშერი, 73 წლისა) „ეს ქვით აუშმენე-ბიათ ამათ, აი, ჩვენ ხალხს, წმინდა გიორგი, მაგრამ ის წმინდა გიორგი ყოფილა მამში, ...იქ..., ედიყში (ზედმიწ. - ეს ქვით ა-უ-გ-ი-ათ ამეებს, აი, ჩვენ ხალხ-ს, წმინდა გიორგი, მაგრამ ის წმინდა გიორგი ყოფილა მამ-ში, ...იმას..., ედიყ-ში)“

ეჩნდლო ამხენქა, უკლემუხენქა, მერ ფანაგათე აჩად ი მერ - თეკალთე, მერ - მმთე, მერ - სოხუმთე, თბილისსრ არიხ (მივლინ. მასალ., მთქმელი: დოდო ბაბლუანი, სოფ. თეკალი, 63 წლისა) „შემდეგ აქედან, უკლემიდან, ზოგი ფანაგაში წავიდა და ზოგი - თეკალში, ზოგი - მამში, ზოგი - სოხუმში, თბილისშიც არიან (ზედმიწ. - მაშინს მერე აქედან, უკლემი-დან, ზოგი ფანაგა-{ის}-კენ წავიდა და ზოგი - თეკალ-{ის}-კენ, ზოგი - მამ-{ის}-კენ, ზოგი - სოხუმ-{ის}-კენ, თბილის-ში-ც არიან)“ ...

5. ქუნბი/ქუნბი - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფლის - მამის უბანი.

სოფლის სახელწოდება ქუნბი/ქუნბი გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე ფუძეა, სადაც ძირად გამოიყოფა „სულის“ აღმნიშვნელი სიტყვა ქუნ-, -ბი/-ბი კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც მატოპონიმებელ სუფიქსად არის ქცეული, შესაბამისად ტოპონიმის სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება - სულისა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სულის აღმნიშვნელად ჩოლურულში, მსგავსად სვანური ენის სხვა დიალექტებისა და განსხვავებით ლაშხურისაგან, დასტურდება ქტინ (მდრ. ზს., ლნტ., ჩოლ. ქტინ და ლშხ. ქუნ), ტოპონიმის ფუძედ კი ქუნ- ძირი ფიქსირდება.

საილუსტრაციო მასალა:

ჩიქე თეკალთე ხაკურერ აჩე ი ეჩანტო ოხრუნწხი მწმ, ქუნბი ი ამექა, ლაშხურქა, ფედაია ლი ადურ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრემიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „ჯერ თეკალში უნდა წახვი-

დე და მერე უნდა მოიარო მამი, ქუნიში და აქ, ლაშხურზე, მთლად ახლოსაა (ზედმიწ. - ჯერ **თეკალ**-[ის]-კენ უნდა წახვიდე და მერე მოიარო მამი, **ქუნ**-იმ-ი და ამაზე, **ლაშხურ**-ზე, ახლო არის მთლად)“

ქუნიშს ლგზიგინხ ექჷშიშარ დარ ცჷირ, მარე მეზგე ლგზიგელი ლეკჷსტანისა (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „მაშინდელი ქუნიშის მაცხოვრებელთაგან არავინ არის დარჩენილი, მაგრამ ოჯახი ცხოვრობდა თურმე საკვასტიანოში (ზედმიწ. - **ქუნ**-იმ-ში [რომ] *ნასახლებან მაშინდელელები არავინ რჩენილა, მაგრამ მოსახლე *ნასახლება სა-კვასტიან-ო-ში)“...

6. ბგლემ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი.

ტოპონიმ **ბგლემ**-ში ძირად გამოიყოფა **ბგლ**-, -ემ კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც გეოგრაფიულ სახელებსაც ხშირად აწარმოებს (შდრ.: **ჰებრემ, გოტრემ, ყტედრემ**...).

წარმოდგენილი ტოპონიმის ეტიმოლოგია დღემდე არ ყოფილა მსჯელობის საგანი. ჩვენი აზრით, ძირად გამოყოფილი **ბგლ**- უნდა მომდინარეობდეს „დახვეის/დაფხრეწის/გახლეჩის“ აღმნიშვნელი სვანური ლი-**ბლ**-ე „დახვევა/გაფხრეწა/დაგ-ლეჯა/გახლეჩა შუაზე/გადაშლა“, მე-**ბლ**-ე „დახეული/დაფხრეწილი/გაგლეჯილი/გახლეჩილი შუაზე/გადაშლილი“ და ა. შ. ფორმებისაგან. ნეიტრალურხმოვნიანი ფორმები გვხვდება როგორც ზმნის პირიან ფორმებში (მაგ.: **ბგლე** „ხევს/ფხრეწს/გლეჯს შუაზე“, ასევე იდიომატურ გამოთქმებსა და წყევლის ფორმულებშიც (მაგ.: **ბგლაიდ ლიგნე** „დარღვევა/დაფხრეწა/გაგლეჯა შუაზე (ზედმიწ. - ფხრეწად **დგ**-მ-ა)“; **ბალდ/ბწლდ ლეგნე** „დასაგლეჯი/გასახევი/გასაფხრეწი (ზედმიწ. - ფხრეწად/გლეჯად და-სა-**დგ**-ამ-ი)“ და მისთ.). სოფლის ლანდშაფტიც სწორედ შუაზე გახლეჩილის/გაპობილის ფორმისაა და ამდენად ჩვენი ეტიმოლოგიური გააზრება საფუძველს მოკლებული არ ჩანს, სიტყვასიტყვით კი შეიძლება განიმარტოს, როგორც - გაპობილისა/გაფხრეწილისა/გაგლეჯილისა/გადაშლილისა. შდრ., აგრეთვე, ჩოლ. **ბალშაჲ/ბან-შაღაჲ** „არამაღალი, ფართოდ გაშლილი ხე, ან პირუტყვი დიდი აღ-

ნაგობის“ და ბქ. **ბილშნ/ლგბლიშალე** „მკერდგაღელილი/გადადღლე-
ზილი/საკინძმეშხს-ნილი“, **ლიბლიშალ** „მკერდგაღელილი/გადა-
დღლეზილი/საკინძმეშხსნილი სიარული“ და ა. შ. ფორმები, რომელ-
თა ამოსავალიც სწორედ **-ბლ-** უნდა იყოს სხვადასხვა გახმოვანებით
(**-ბილ-/-ბგლ-/-ბალ**), ფუძისეული **-შ** კი, ალბათ, აქაც ბრუნვის ნიშა-
ნია, რომელიც თანდათან ფუძეში გაითქვიფა და გაქვავდა.

საილუსტრაციო მასალა:

ბგლემ ხუნრდად ამტემხუ მეზგე (მივლინ. მასალ., მთქმელი:
ფაფალა მუკბანიანი, სოფ. ბულემი, 78 წლისა) „ბულემში ვცხოვრობ-
დით თერთმეტი ოჯახი (ზედმიწ. - **ბულემ**-ში ვიმყოფებოდით ათ-
ერთი მოსახლე)“

საყდარლეჟა ი ბგლემგნლეჟა ი ეჩანუ, ე, ჭუნელგნგნ, დემ
ხითხელის ეშხუ ლუმბრი ნასახს (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურ-
ხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „საყდარსა და ბულემს
ზემოთ და იქამდე, ე, ჭველგამდე, ვერ იპოვი ნაძვის ნასახს (ზედმიწ.
- **საყდარ**-[ს] ზემოთ და **ბულემ**-[ს] ზემოთ და იქამდე, ე, **ჭველგ**-[ა]-
მდე, ვერ მოძებნი ერთი ნაძვის ხის ნასახს)“

ლექუნტბ ხალხს ხუნაყლედ საყდარს, შტვილს ი ბგლემს (მი-
ვლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა)
„ქვედაურელგს ვუწოდებთ საყდარს, შტვილს და ბულემს (ზედმიწ.
- ქვემოთი[ს] **ხალხ**-ს ვუწოდებთ **საყდარ**-ს, **შტვილ**-ს და **ბულემ**-ს)“...

7. ტუბ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი.

ტოპონიმის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა. **ტუბ** სვანურად ნიშ-
ნავს *ხეობა*ს, *ხვს* და მას შესატყვისები ეძებნება სხვა ქართველურ
ენებში.

საილუსტრაციო მასალა:

ათხე წელშუ ხუნიშაჯე ეჩხენისა ტუბი სგიმს, წელშუ (მივლინ.
მასალ., მთქმელი: ზურიკო რატიანი, სოფ. ლეუმერი, 58 წლისა) „ახ-
ლა ვირით ვეზიდები იქიდან ტვიბის მჟავე წყალს, ვირით“

დედე ი მამიდა თელდ იმარხულდახ ი ეშხუ ზურნლ ლას აჯად ერწ. ტუბის, ეჯი მადურდ მაჩენამდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „დედა და მამიდა სულ მარხულობდნენ და ერთი ქალი იყო კიდევ იქ, ე, ტვიბში, ის მთლად ყველაზე უკეთესად (ზედმიწ. - დედა და მამიდა მთლად მარხ-ულობდ-ნენ და ერთი ქალი იყო კიდევ იქ, ე, ტვიბ-ში, ის სრულად ყველაზე უკეთესად)“

მი მამშა მარიკა, ხაბულიან ხუთი, მეთე კლასისა ხუთარი, ტუბისა ხუთიზე (მივლინ. მასალ., მთქმელი: მარიკა ხაბულიანი, სოფ. ტვიბი, 16 წლისა) „მე მქვია მარიკა, ხაბულიანი ვარ, მეთე კლასში ვარ, ტვიბში ვცხოვრობ“...

8. თეკალ/თეკალ/თეკიალ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი.

სოფლის სახელწოდება **თეკალ** აშკარად მომდინარეობს მცენარის აღმნიშვნელი **თეკრა** (ზს., ქს.), **თეკერ** (ლშხ.), **თეკარ** (ჩოლ.) „მადალი მთის ბოკვი; ნეკერჩხალი“ (შდრ. ბქ. ტოპონიმი **თეკერ**) ფორმისაგან სონორ თანხმოვანთა (**რ/ლ**) მონაცვლეობითა და ა ხმოვნის მეტათეზისით. იგივე ფუძე დასტურდება ქართულშიც, კერძოდ, რაჭულ დიალექტში - **თეკერა** „ნეკერჩხლის ტიპის მცენარე, მთის ბოკვი, მთის ნეკერჩხალი“. სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ქართულ-სვანურ ფუძეებს შორის იდენტურია. ერთადერთი რამაც ყურადღება მიიქცია ჩოლურულ მეტყველებაში, ესაა ფუძეში **ი** ხმოვნის ჩართვა როგორც სოფლის (**თეკიალ**), ასევე მცენარის (**თეკარ**) სახელწოდებაში. როგორც ჩანს, **ი** ხმოვანი შემდგომ გაჩნდა, რაც ძალზე ხშირია ჩოლურულში (მაგ. **ზაგიარ** (შდრ. ზს., ლნტ. **ზაგარ**, ლშხ. **ზაგარ** „ზეგანი; ქედი; გადასასვლელი; გორაკი, ამალღებული ადგილი“) „დაბალი მთა“; **კიარბ** (შდრ. ბქ. **კარბ**) „ძგიდე, ნაპირი“...), თუმცა ჯერჯერობით მისი ფუნქცია ჩვენთვის გაურკვეველია.

შენიშვნა: ერთი და იმავე მთქმელის (მაგ., ლეუშერელი ალიოშა შავრემიანის) საუბარში ხან უმლაუტო (**თეკალ**) ფორმა გამოიყენება, ხან უმლაუტიანი (**თეკალ**).

საილუსტრაციო მასალა:

თეკალს არი სგიმ, თელ ლეუშერ ეჩხაუ ესდრი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურიკო რატინი, სოფ. ლეუშერი, 58 წლისა) „თეკალში არის მჟავე წყალი, მთელი ლეუშერი იქ დადის (ზედმიწ. - თეკალ-ში არის ვემა, მთელ-ი ლეუშერ-ი იქით მიდის)“

მაამხა დოდო, ქ'რხთენენ თეკალს ათასიჩხარ'წშირ ი ჭრშთხუემტიიშგუთიდს, სემი მარტს (მივლინ. მასალ., მთქმელი: დოდო ბაბლუანი, სოფ. თეკალი, 63 წლისა) „მქვია დოდო, დავიბადე თეკალში ათასცხრაასორმოცდაშვიდში, სამ მარტს (ზედმიწ. - მქვია დოდო, დავიბადე თეკალ-ში ათას-და-ცხრა-ას და ოთხ-ათ-და-შვიდ-ს, სამ მარტ-ს)“

მი ხუი მინდია ხაბულიან, ამეტემშუ ლეზად ი ხუიზგუხუი თეკალს (მივლინ. მასალ., მთქმელი: მინდია ხაბულიანი, სოფ. თეკალი, 11 წლისა) „მე ვარ მინდია ხაბულიანი, თერთმეტი წლის და ვცხოვრობ თეკალში (ზედმიწ. - მე ვარ მინდია ხაბულიან-ი, ათ-ერთი წლისა და ვსახლობ თეკალ-ში)“...

ლიმშიე ქ'ოხბინ თეკალი ბეფშორარე ბადისა (მივლინ. მასალ., მთქმელი: დარეჯან გვიდიანი, სოფ. საყდარი, 56 წლისა) „მუშაობა დავიწყე თეკალის საბავშვო ბაღში (ზედმიწ. - მუშა-ობ-ა დავიწყე თეკალ-ი[ს] ბავშვ-უკ-ებ-ი[ს] ბაღ-ში)“

თეკალხენქა ქ'რთქუითახ ჭარგალს ჟიბე შუწნთე დინა (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „თეკალიდან გაუტაცებიათ თავადებს გოგო ზემო სვანეთში (ზედმიწ. - თეკალ-ი-დან-გა მოუპარავთ ვარგ-ებ-ს ზემო სვან-ეთ-ის]-კენ გოგო)“

თეკალთე ერ ადგნედ აჯად, დოდო ლეგუშერ ემჩუ ლი, ჩუათტბლედ ისგუეუშ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „თეკალში რომ წახვალთ ისევ, დოდოს წისქვილი იქაა, თქვენ თვითონ დაათვალიერეთ (ზედმიწ. - თეკალ-

ი[ს]-კენ რომ წახვალთ კვლავ, **დოდო**-[ს] საფეკვავი იქ არის, დაათვალიერეთ თქვენით)“...

9. საყდარ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი.

ტოპონიმის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა, იგი მომდინარეობს ქართული *საყდარ*-ი ფორმისაგან სახ. ბრუნვის ნიშნის (-ი) მოკვეცით. ბრუნვის ნიშნის დაკარგვას, უმლაუტის ცნობილი წესების თანახმად, უნდა გამოეწვია წინამავალი ხმოვნის უმლაუტი, თუმცა ჩოლურული, როგორც ცნობილია, ხშირ შემთხვევაში უუმლაუტო ფორმებს მიმართავს, მსგავსად ლაშხურისა და განასხვავებით ლენტეხურისაგან.

საილუსტრაციო მასალა:

ალდარ ეჩხენ ლიხ, ბღლეშხენ, საყდარხენ ი ჭტელაფრხენ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 73 წლისა) „ესენი იქიდან არიან, ბულეშიდან, საყდრიდან და ჭველიერიდან“

ჟემრედელი ეხზუ, ე, საყდართე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 73 წლისა) „ასულა იქ, ე, საყდარში (ზედმიწ. - ასულა იქით, ე, **საყდარ**-[ის]-კენ)“

მი, დარეჯან ერმილე გეზალ ოხთენენ ურშთხტემტიჩხარაღსა საყდარს (მივლინ. მასალ., მთქმელი: დარეჯან გვიდიანი, სოფ. საყდარი, 56 წლისა) „მე, დარეჯან ერმილეს ასული დავიზადე ორმოცდაცხრაში საყდარში (ზედმიწ. - მე, **დარეჯან ერმილე**-ს შვილი დავიზადე **ოთხ-ათ-და-ცხრა**-ში **საყდარ**-ში)“...

10. დგრამ/დგრამ/დრამ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი.

დგრამ/დგრამ/დრამ ტოპონიმის ეტიმოლოგიური გააზრება წარმოდგენილი აქვს ე. გაზდელიანს ნაშრომში „ქვემო სვანეთის ზოგი ტოპონიმის წარმომავლობისათვის“ (2011:20). იგი ძირად გამოყოფს **დგრ**-ს და უკავშირებს სვანურ **დგრ** „კვეთი/დვრიტა“ ლექსემას

და ტოპონიმს განმარტავს, როგორც „დვრიტისა“-ს, თუმცა ჩვენ საანალიზო ტოპონიმთან დაკავშირებით სხვა თვალსაზრისი გაგვაჩნია, კერძოდ, იგი შესაძლოა დავუკავშიროთ **დირ** (ზხ., ლზხ., ჩოლ.), **დირ** (ბქ., ლნტ.), **დგრ** (ბქ.) „დირე“ სიტყვას.

საილუსტრაციო მასალა:

ხოხრა ლემარ ჭყინტრლ, მატრენე მუხბე, ეჩე დგრაშ ლოქ ერ ლემარდხ ი ჟ'ოხხუტრტახ მიჩა ლახუბა ი მუდმაგ, ამშა, არა მუხბე ი მენხრე მუ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურაბ ჯამბურიძე, სოფ. ლეუშერი, 38 წლისა) „პატარა ბიჭი ყოფილა, უმცროსი ძმა, დურაშში რომ ცხოვრობდნენ, მაშინ და ამოუწყვეტიათ მისი ძმები და მამაც, ამისი, რვა ძმა და მეცხრე მამა (ზედმიწ. - პატარა ყოფილა ბიჭი, უმცროსი ძმა, იქ, **დურაშ**-ში რომ *ნამყოფან და ამოუწყვეტიათ მისი ძმები და მამაც, ამისი, **რვა ძმა და მე-ცხრ-ე მამა**)“

ალე დგრაშხენ ლი, დგრაშ იზგე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბონდო ონიანი, სოფ. ქუნიში, 65 წლისა) „ეს დურაშიდანაა, დურაშში ცხოვრობს (ზედმიწ. - ეს **დურაშ**-ი-დან არის, **დურაშ**-[ს] სახლობს)“

ეჯი ქ'ნლჩიქელი დგრაშ, ჭყინტ, მატრენე, ი ეჯის სემი ხაყენა ჭყენტარ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურაბ ჯამბურიძე, სოფ. ლეუშერი, 38 წლისა) „ის დაოჯახებულა დურაშში, ბიჭი, უმცროსი, და იმას სამი ბიჭი ჰყოლია (ზედმიწ. - ის **გა-სიმ-ებ-ულ-ა დურაშ**-ში, ბიჭი, უმცროსი, და იმას **სამ**-ი ჰყოლია ბიჭები)“...

ალმარ ქ'ემჩედხ დრაშთე, დრაშ ლემზიგალინხ ი დრაშხენქა ქ'ემტეხელის მწმთე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ფაფალა მუკბანიანი, სოფ. ბულეში, 78 წლისა) „ესენი გადასულან დურაშში, დურაშში ცხოვრობდნენ თურმე და დურაშიდან დაბრუნებულან მამში (ზედმიწ. - ესენი გასულან **დურაშ**-[ის]-კენ, **დურაშ**-ში სახლობდნენ თურმე და **დურაშ**-ი-დან გამობრუნებულან **მამ**-[ის]-კენ)“...

11. ზაგალრდ/ზაგალრლ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი მიტოვებული სოფელი

ტოპონიმი **ზაგალ-რდ/ზაგალ-რლ** < ჩოლ. **ზაგარ** (შდრ. ზს., ლნტ. **ზაგარ**, ლშხ. **ზაგარ** „ზეგანი; ქედი; გადასასვლელი; გორაკი, ამალღებული ადგილი“) სიტყვისაგან სონორ (**რ/ლ**) თანხმოვანთა მონაცვლეობითა და ფუძეზე კნინობითობის მაწარმოებელ **-რდ/-რლ** სუფიქსთა დართვით. სავარაუდოდ, საანალიზო ტოპონიმის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი თანმიმდევრობით უნდა წარმართულიყო: **ზაგალ-რდ** < ***ზაგარ-რდ** < ***ზაგარი-ოდ** < ***ზეგანი-ოდ**, შესაბამისად კი სუფიქსისეულ ხმოვანთა სიგრძის გამომწვევი მიზეზიც ნათელია ($o+o = \bar{o}$).

შენიშვნა: ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში (ჩოლურული კილო)“ გვხვდება **ზაგარ** „დაბალი მთა“ ფორმაც, თუმცა თითქმის ყველა ინფორმატორი **ზაგარ** ფორმას ანიჭებს უპირატესობას.

საილუსტრაციო მასალა:

ჩქალზიგელის ზაგალრდს შაჭრეშიანალ, ლექუჷ ლაზგას (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „შავრეშიანები დასახლებულან ზაგალოდში, ქვემო ლაზგაში (ზედმიწ. - დასახლებულან **ზაგალოდ**-ში **შავრეშიან**-ებ-ი, ქვემოი[ს] სამოსახლოს)“

ლუფხუღადელ ლემარ ი გუშუტე ხოშალ ლემჯანინხ ეჩხენტე, ზაგალრდს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „გაზაფხული ყოფილა და ჩვენი წინაპრები ხნავდნენ თურმე იქით, ზაგალოდში (ზედმიწ. - გაზაფხულ-დღე ყოფილა და ჩვენი უხუცესები ***ნა-ხნ**-ავ-ან იქითკენში, **ზაგალოდ**-ს)“

სგამ ეჩხენ ნაჯადუ ხიდ მაგ, ე, ზაგალრდხენ, შაჭრეშიანალ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტეიბი, 83 წლისა) „თქვენ იქიდან მოსულები ხართ ყველანი, ე, ზაგალოდიდან, შავრეშიანები (ზედმიწ. - თქვენ იქიდან ნავალი ხართ ყველა, ე, **ზაგალოდ**-ი-დან, **შავრეშიან**-ებ-ი)“...

გუმბათე თემს **ზაგალროლს მამაპაპურ ლამზერ ხუტა** ი შატრე-შინალ გარ ხტიმზერდ ემჩუნენ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „ჩვენ თემს ზაგალოდში მამა-პაპური სალოცავი აქვს და მხოლოდ შავრეშიანები ვლოცულობთ იქ (ზედმიწ. - ჩვენ თემ-ს ზაგალოდ-ში მამა-პაპურ-ი სალოცავი აქვს და მხოლოდ შავრეშიან-ებ-ი ვლოცულობთ იქ)“

თანაფ ერ ლი, მერზე მიშლადედ ხტიმზერდ ერე, ზაგალროლს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „აღდგომა რომ არის, მეორე კვირას ლოცვას ალვაველენტ იქ, ზაგალოდში (ზედმიწ. - თანაფა რომ არის, მზ-ის-დე-[ს] ვლოცულობთ იქ, ზაგალოდ-ში)“

ამე იზგროლს, ა, ზაგალროლს ხატულის (მივლინ. მასალ., მთქმელი: ცისანა გარდაფხაძე, სოფ. ლეუშერი, 65 წლისა) „აქ ცხოვრობდნენ, აი, ზაგალოდს ეძახიან (ზედმიწ. - აქ სახლობდნენ, აი, ზაგალოდ-ს ეძახიან)“...

12. შტუილ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი მიტოვებული სოფელი.

სოფლის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს **შტულ** „ფიგურიანი სათოფური ციხე-სახლებში“ (შდრ. ზს. **შდულ/შდურ** „სათოფური კოშკის ზედა სართულის კედლებში“) სიტყვისაგან ფუძისეული უს გაუმლაუტებით.

საილუსტრაციო მასალა:

ლექუნატი ხალხს ხუაყლედ საყდარს, შტუილს ი ბგლეშს (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „ქვედაურელებს ვეძახით საყდარს, შტვილს და ბულეშს (ზედმიწ. - ქვემოთი[ს] ხალხ-ს ვუწოდებთ საყდარ-ს, შტვილ-ს და ბულეშ-ს)“

მუკბანიანარ იზგებს შტუილხენისა ლეჟა მეცდე (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „მუკბანიანები ცხოვრობენ შტვილიდან ამოსულები (ზედმიწ. - მუკბანიან-ებ-ი სახლობენ შტვილ-ი-დან-ში ზემოთ მოსული)“...

13. იედიყ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი მიტოვებული სოფელი.

ჩოლურელ რესპოდენტთა და, ასევე, ა. ლიპარტელიანის (1998:XXXI) ცნობით, **აედიყი** ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი მიტოვებული სოფელია, სადაც არის უძველესი ნაეკლესიარი, სავარაუდოდ წმ. გიორგის სახელობისა.

სემანტიკურად ტოპონიმი **აედიყ** შეიძლება დავუკავშიროთ სვანურში ფართოდ გავრცელებულ უძველეს და ლამის ტაბუდადებულ **ლიდრეყ/ი** ფორმას (შდრ., ჩოლ. **ლიდრეყ** „მოფრთხილება“, **ლედრეყ** „მოსაფრთხილებელი“, **იდრეყი** „იფარავს, პატივს სცემს“, **ლეიდრეყი ღერბეთ** „დაიფარავს, შეიცოდებს ღმერთი“, **ლოხდერყა** „ღმერთს დაუცვია“ (ლიპარტელიანი 1994:178, 184, 119, 197); ბქ. **ლიდრეყი** „მოფრთხილება, მოფერება“, **ლედრეყი** „მოსაფრთხილებელი, მოსაფერებელი, დასაცავი, დალოცვილი“, **ლედრეყიაქ სი!** „შე დალოცვილო!“ და ა. შ.). ვინაიდან დალოცვის ფორმულებშიც გამოიყენება ეს სიტყვა, ვფიქრობთ, სოფლის სახელწოდების აღნიშნულ ფორმასთან დაკავშირება საფუძველს მოკლებული არ იქნება, ანუ ტოპონიმი უნდა განიმარტოს როგორც მოსაფრთხილებელი/მო-სა-ფერებელი/მცველი/დალოცვილი/მფარველი და ა. შ. რაც შეეხება სიტყვის სტრუქტურულ შედგენილობას, სავარაუდოდ, ასეთია: **ა-ე-დიყ**, სადაც, ჩვენი აზრით, ძირად გამოიყოფა **-დიყ**, რომელსაც წინ უძღვის უტყვი **-ე-** ხმოვანი, რომლის გრამატიკული კლასიფიკაცია, ანლაუტისეულ *იოტ*თან შედარებით, ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. როგორც ცნობილია, ზემოსვანურის ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას ქვემოსვანურში შესატყვისად უმეტესად იოტირებული და ვიწრო ხმოვნები მოუდის (შდრ., ერთი მხრივ, ბზ., **ჰემშაჲ**, უშგ. **ჰშშშ** და, მეორე მხრივ, ლშხ.-ჩოლ. **აემშაჲ**, ლნტ. **{აქემშ** და ა. შ. ჟღენტი 1949:125; სალლიანი 2016:349), ცხადია, აქაც სწორედ აღნიშნულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

საილუსტრაციო მასალა:

სხოზდიკი ...მგდე... ლი თელდ ეჯი ი ალე ბაჩჷშ ოთგახ ალმარს, ა, გუშეჷე ხოშნლს, ჯგრნგ, მარე ეჯი ჯგრნგ ლგმნრჷლი მშმს, ...მგდას,

ედეის (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ფანაგა, 73 წლისა) „სპონდიოს ...ისა... არის მთლიანად ის და ამ ქვით აუშენებიათ ამათ, აი, ჩვენ წინაპრებს, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, მაგრამ ის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ყოფილა მამში, ...იქ..., ედეისში (ზედმიწ. - **სპონდიო-ის**) ...ისა... არის მთლად ის და ეს ქვით ა-უ-გ-ი-ა-თ ამეებს, აი, ჩვენ დიდებს, წმინდა გიორგი, მაგრამ ის წმინდა გიორგი ყოფილა **მამ-ში**, ...იმას..., **ედეის-ს**)“

ედეის ლგდა ეკლესია, ძრეელ ლამზერ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ოსანა ზურაბიანი, სოფ. მამი, 92 წლისა) „ედეისში იდგა ეკლესია, ძლიერი სალოცავი (ზედმიწ. - **ედეის-ს ი-დგ-ა ეკლესია, ძლიერ-ი სა-ზორ-ავ-ი**)“

ედეის იზგახ ჯამზურიძე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ფანაგა, 73 წლისა) „ედეისში ცხოვრობდნენ ჯამზურიძეები (ზედმიწ. - **ედეის-ს სახლობდნენ ჯამზურიძე-ებ-ი**)“

ჩრმეზდ ხოზა ჯუნელ, ჩრმეზდ ხოზა ჯუნელ ლი ედეისი ეკლესია (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბონდო ონიანი, სოფ. ქუნიში, 65 წლისა) „ყველაზე უფრო ძველი, ყველაზე უფრო ძველი არის ედეისის ეკლესია (ზედმიწ. - ყველასად დიდი ძველი, ყველასად დიდი ძველი არის **ედეის-ის ეკლესია**)“...

14. ფანაგა - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი.

ჩოლურელ ინფორმატორთა თქმით, ფანაგას უძველესი სახელი ყოფილა **ხანაგა**, რაც არეულ/აოხრებულ/ნამეწყრალ/ჩახერგილ... ადგილს ნიშნავს; სოფლის ადგილმდებარეობაც სწორედ ამის ნათელი დასტურია.

ხანაგა ზმნის პირიანი ფორმაა, რომელსაც, ცხადია, ეწარმოება როგორც მასდარული ფორმა - **ლინაგე** 1. „გაოცება ხალხის ხმაურით“, 2. „არეულობა, არევ-დარევა, ჩახერგვა“, ისე მიმდებარეობს ფორმაც - **ლენაგე** 1. „გაოცებული ხალხის ხმაურით“, 2. „არეული, არეულ-დარეული, ჩახერგილი“. თუკი ინფორმატორთა მიერ მოწოდებული ზმნის პირიანი ფორმიდან **ხ/ფ** ბგერათა მონაცვლეობით სოფლის სახელწოდების (**ფანაგა**)ს მიღებას, ანუ ტოპონიმად ქცევას,

დავუშვებთ, მაშინ უნდა ვეძებოთ ქართველურ ენებში მსგავსი წარმოების ტოპონიმები (ანუ ზმნის პირიანი ფორმებიდან ნაწარმოები), ერთ-ერთი - აგორება „ფერდობი ადგილი“ სწორედ გ. ბედომვილს აქვს დაფიქსირებული ლანჩხუთის რაიონის სოფ. სუფსაში (2013:15).

სანამ საანალიზო ტოპონიმის სხვა უფრო არგუმენტირებული ეტიმოლოგიური გააზრება გვექნება, მანამდე ხალხური ეტიმოლოგიით დავკმაყოფილდებით (?).

საილუსტრაციო მასალა:

ლეუშერთე ი ფანაგათე ზაგალოდხენ ლიდ ქა ნაზუ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „ლეუშერში და ფანაგაში ზაგალოდიდან ვართ გადასულები (ზედმიწ. - ლეუშერ-[ის]-კენ და ფანაგ[ის]კენ ზაგალ-ოდ-იდან ვართ განასვლელი)“

ფანაგანუნ სიპდად ჭიშხუშ ხოშა მუსობჟი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურიკო რატიანი, სოფ. ლეუშერი, 58 წლისა) „დიდთოვლობის დროს ფანაგაში დავდიოდით ფეხით (ზედმიწ. - ფანაგამდე ვტრიალებდით ფეხით დიდ თოვლობაზე)“

ქანლრამ, ლეუშერს ი ფანაგასრმაგ მარბ ხუარდად, ლამზერდ ერხაუ ოსღურდად ჟბ, ზაგალოდთე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „მერეც, ლეუშერში და ფანაგაში ვინც ვიყავით, სალოცავად იქ ავდიოდით, ზაგალოდში (ზედმიწ. - მაშინს მერეც, ლეუშერ-ში და ფანაგაშიც ვინც ვიმყოფებოდით, სალოცავად იქით ავდიოდით, ზაგალ-ოდ-[ის]-კენ)“

ქანლონენ, დერა, ყენხურიელან ლეუშერ ი ფანაგა ი ჭუტელგ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ფანაგა, 73 წლისა) „შემდეგ შეგროვდა ლეუშერი და ფანაგა და ჭველფი (ზედმიწ. - მაშინს მერე, ხომ, შეგროვდა ლეუშერ-ი და ფანაგა და ჭველფი)“...

15. ჭუტელგ - ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი.

ტოპონიმის ეტიმოლოგია უცნობია, თუმცა შესაძლოა იგი დაუკავშიროთ ა. ლიპარტელიანის მიერ დადასტურებულ ფორმას

ჭელჭუფ „მდელოს ნაჭერი მიწიანად, ბალახის სახეობა“ (1994:102). ფონეტიკური ტრანსფორმაცია კი შემდეგნაირად წარმოგვიდგენია: **ჭტელფ** ← **ჭელჭუფ** ფორმისაგან აუსლაუტისეული -უ- ხმოვნის დაკარგვითა და ანლაუტისეული -**ჭელ**- მარცვლის მეტათეზისით. ცხადია, ჩვენი ეს დაკავშირება უნივერსალური ვერ იქნება, თუმცა ამ ეტაპზე ტოპონიმის სხვა ეტიმოლოგიური გააზრება არ გაგვაჩნია. ვფიქრობთ, საკითხის კვლევა კვლავაც აქტუალურია.

საილუსტრაციო მასალა:

საყდარლეჟა ი ბგლეშენლეჟა ი ეზაჭ, ე, ჭტელფნგნ, დემ ხითხელის ეშხუ ლემორი ნასახს (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „საყდარსა და ბულემს ზემოთ და იქამდე, ე, ჭველფამდე, ვერ იპოვი ნაძვის ნასახს (ზედმიწ. - **საყდარ**-[ს] ზემოთ და **ბულემ**-[ს] ზემოთ და იქამდე, ე, **ჭველფ**-[ა]-მდე, ვერ მოძებნი ერთი ნაძვის ხის **ნასახს**)“

ალე ინდიქტერ ამე ამშიე, ა, ჭტელფს, ბრიგადირდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 76 წლისა) „ეს ინდიქტერი აქ მუშაობს, აი, ჭველფში, ბრიგადირად“

ამხენ დამტტე ლწრას ხუაყლედ ნამ, ეჩე ლწრდად მაგ ალმარ, ფანაგა ი ჭტელფ, ჭტელფ მწდე, ალე, ა, ლეუშერ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 73 წლისა) „აქეთ დათვის სათიბს ვეძახით ჩვენ, იქ ვიყავით ესენი ყველანი, ფანაგა და ჭველფი, ჭველფი კი არა და, ეს, აი, ლეუშერი (ზედმიწ. - აქეთ **დათვი**-[ს] სათიბს ვეძახით ჩვენ, იქ ვიმყოფებოდით ყველა ესენი, ფანაგა და ჭველფი, ჭველფი კი არა და, ეს, აი, **ლეუშერი**-ი)“

ეჩა დის ხემშხან კატო, ჭტელფს ერ ზრდა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „იმის დედას ერქვა კატო, ჭველფში რომ იყო (ზედმიწ. - იმის **დე-და**-ს ერქვა **კატო**, ჭველფში რომ იმყოფებოდა)“...

16. მუყმენდ/მუყტმენდ/მურყმელდ/მურყტმელდ - ჩოლურის ხეობის, კერძოდ ჭველიერის ქვედა ნაწილი.

ტოპონიმი ეტიმოლოგიურადაც და სემანტიკურადაც უნდა უკავშირდებოდეს **მურყტამ/მურყტამ** „კომპი“ სიტყვას, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული სვანურში და უამრავ ტოპონიმსაც უდევს საფუძვლად.

ტოპონიმის სტრუქტურული შედგენილობა ასეთია: **მუყმ-ნენდ/მუყტმ-ნენდ/მურყმ-ელდ/მურყტმ-ნელდ**, სადაც, ძირია **მუყმ-/მურყმ-/მუყტმ-/მურყტმ-**, **-ნენდ/-ელდ** კი, როგორც ჩანს, სუფიქსები. რა ფონეტიკური მოვლენები უნდა განხორციელებულიყო, რომ **მურყტამ/მურყტამ** ფორმიდან აღნიშნული ტოპონიმები მიგველო? ფორმათა ცვლათა აშკარად თვალშისაცემია, სრული სურათის წარმოსადგენად კი ცალ-ცალკე განვიხილოთ ჯერ **მუყმ-/მურყმ-/მუყტმ-/მურყტმ-** ძირებში მომხდარი ყველა ფონეტიკური ცვალეზადობა და შემდგომ **-ნენდ/-ელდ** სუფიქსთა როგორც ფუნქცია, ასევე წარმომავლობა და ყველა ფონეტიკური გარდაქმნა.

მუყმ ← ***მურყმ** ← ***მურყტმ** ← **მურყტამ**-ისაგან. ჩვენ მიერ აღდგენილი ***მურყმ** და ***მურყტმ** კი, როგორც ვნახეთ, **მუყმ-ნენდ** ფორმის პარალელურად არსებულ **მურყმელდ** და **მურყტმელდ** ტოპონიმებში დასტურდება, სადაც, ასევე, დაკარგულია როგორც ფუძისეული მარცვალი, ისე ფუძისეული ხმოვნითი ელემენტი. ცხადია, დიდ ფონეტიკურ გარდაქმნებთან არ გვაქვს საქმე, თუმცა ასახსნელია მათზე დართული სუფიქსების წარმომავლობა, ფუნქცია და ა. შ.

სვანურში, როგორც ცნობილია, ხშირია კნინობითის მაწარმოებლებით მარკირებული ტოპონიმები (მარგიანი 2013:89; სალიანი 2016:555, 560...). მიკროტოპონიმიაში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება სხვადასხვა კნინობითის სუფიქსები: **-ილ**, **-ულ**, **-გლ**, **-იდ**, **-ილდ**, **-ულდ**, **-ალდ**, **-გლდ**, **-ჰდ**, **-გდ**, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში **-ელდ** სუფიქსიანი ტოპონიმების შესახებ მსჯელობა დღემდე არ ყოფილა. ის, რომ **მურყმ-ელდ** ტოპონიმში ბოლოკიდური **-ელდ** კნინობითის სუფიქსია, ამას ადასტურებს სვანურში დადასტურებული უამრავი მსგავსი **-ელდ** სუფიქსის შემცველი მიკროტოპონიმის არსებობა (შდრ.: **ბეყ-ელდ-ა/ბეყ-ნელდ-ა** „ადგილის სახელწო-

დება ლენტეხის რ-ში, სოფ. ბაბილში“, **ეჩხან ტაფ-ელდ** „სათიბი, სამოვარი მესტიის რ-ში, სოფ. ლენჯერში (ზედმიწ. - იქითა ტაფობ-უკა)“, **ეჩხე ფარფ-ელდ** „კლდეკარი მესტიის რ-ში, სოფ. ხაიშში (ზედ-მიწ. - იქითა ფარფლ-უკა)“, **დაბ-ელდ-პრ** „სამოვარი მესტიის რ-ში, სოფ. ლახამულაში (ზედმიწ. - ყან-უკ-ებ-ი)“, **დაბ-ელდ-პრ-იმ სა-რგელ** „წყარო მესტიის რ-ში, სოფ. ლახამულაში (ზედმიწ. - ყან-უკ-ებ-ი-ს წყარო)“ და ა. შ.). ცნობილია ისიც, რომ სვანურში კნინობითის ძირითად მაწარმოებლად, სავარაუდოდ, მიჩნეულია **-ილდ** სუფიქ-სი, რომელსაც მოეპოვება მრავალი სხვადასხვა ვარიანტი ხმოვანთა მონაცვლეობისა და თანხმოვანთა კომპლექსის გამარტივების გზით მიღებული; სახელდობრ, ფუძისეულ ბაგისმიერ ბგერებთან ასიმი-ლაციით უნდა მიგველო **-ულდ**, რედუქციით **-გლდ**, **დ** თანხმოვნის დაკარგვით - **-ილ**, **-ულ**, **-გლ**; **ლ-ზე** დაბოლოებულ სიტყვებში კი დაკარგულად ითვლება სუფიქსისეული **ლ** და კნინობითის მაწარ-მოებლად გვევლინება **-იდ**, **-გდ**. ცხადია, სხვადასხვა დიალექტში სხვა ხმოვნიანი ვარიანტებიც დასტურდება: **-ოლდ**, **-ოლ(რლ)**, **-ელ**, **-ალ**, **-ად** (ჭუმბურიძე 1977:255). ჩვენი თვალსაზრისის მიხედვით, სწორედ **-ილდ** სუფიქსის ერთ-ერთ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ ტოპონიმებში არსებული **-ელდ**, რომელიც, ასევე, მსგავსად სხვა კნი-ნობითის სუფიქსებისა, მიღებული ჩანს ფუძისეულ ბაგისმიერ ბგ-რებთან ასიმილაციით. რაც შეეხება **-ენ-დ** სუფიქსს, რომელიც **მურყმ-ელდ** ტოპონიმის პარალელურ **მურყმ-ენდ** ფორმაში იჩენს თავს, ჩვენი ვარაუდით, საანალიზო **-ელდ** სუფიქსისაგან უნდა მი-გველო სონორ (**ლ/ნ**) თანხმოვანთა მონაცვლეობით, **-ე** ხმოვნის სიგ-რძე კი, როგორც ჩანს, გამოწვეულია ინტერვოკალურ პოზიციაში **ჟ** თანხმოვნის დაკარგვითა და არაიდენტურ (**ა+ე**) ხმოვანთა შე-რწყმით. თუკი ჩვენი ვარაუდი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირე-ბით სწორია, მაშინ მრავალრიცხოვან სვანურ კნინობითის მაწარმოე-ბელ სუფიქსებს **-ელდ** და **-ენდ** სუფიქსებიც უნდა დაემატოს, რაც ჯერჯერობით მხოლოდ მიკროტოპონიმებში დასტურდება.

და მაინც რამ გამოიწვია ამოსავალ ფუძეზე კნინობითის მაწარ-
მოებელი სუფიქსების (**მურყმ-ელდ/მუყმ-ნდ**) დართვა? როგორც
ჩანს, სოფლის სახელწოდება შედარებით უფრო გვიანდელია, იმ
დროინდელი, როცა უკვე სოფელი და ამ სოფლის ნაგებობანი ნა-
ნგრევებად იყო ქცეული. ალბათ, ტოპონიმის ამოსავალი სემანტიკაც
ეს არის - *კოშკ-უკა*. რომ ყოფილიყო სუფიქსად წარმოდგენილი მხო-
ლოდ -**ელ** და არა -**ელდ**, მაშინ სიტყვას სხვა კლასიფიკაცია მიეცემო-
და და განიმარტებოდა როგორც კომპნარი/კომპიანი, თუმცა და-
ბრკოლებას ქმნის სუფიქსის ბოლოკიდური -**დ** თანხმოვანი.

შენიშვნა: ჩოლოურულ მეტყველებაში ჩვენი ყურადღება მიიქცია,
აგრეთვე, კნინობითის მაწარმოებელმა -**ედ/-ნდ** სუფიქსმაც, რომე-
ლიც ხშირად დასტურდება როგორც საზოგადო, ასევე საკუთარ სა-
ხელებში, ზედსართავებში, რიცხვით სახელებსა და მიმღებებშიც
(მაგ.: **ჯუმლ-ნდ** „მამიკო“, **უდლ-ნდ** „დაიკო“, **კაკლ-ნდ** „მარცვლუკა“,
ჩაფლ-ნდ „ფეხსაცმელუკა“, **ტაბლ-ნდ** „სალოცავი პურუკა“...), თუმცა
სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული სუფიქსის შესახებ დღე-
მდე არ ყოფილა მსჯელობა. ვფიქრობთ, -**ედ/-ნდ** მიღებული ჩანს
სწორედ -**ელდ** სუფიქსისაგან **ლ-ს** რედუქციით, -**ე/-ნ** ხმოვანი კი მი-
ღებული ჩანს სხვა ხმოვნებთან მონაცვლეობით (მაგ., მდრ., ერთი
მხრივ, ჩოლ. **ჯუმლ-ნდ** და, მეორე მხრივ, ბქ. **ჯიმლ-ად** „მამიკო“).

საილუსტრაციო მასალა:

**ჟიხი კუზბჟი მურყმამბ ჩუ ლგდა, მუყმენდ ხამშხან, ლექტუნ
ჭუტელაფის ეკუთუნის მუყმენდ** (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან
მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „ზემოთ გორაკზე კომპი-
კიც იდგა, მუყმენდი ერქვა, ქვედა ჭველიერს ეკუთვნის მუყმენდი
(ზედმიწ. - ოდნავ ზემოთ გორაკზე კომპიც ქე ი-დგ-ა, მუყმენდი ერ-
ქვა, ქვედა[ს] ჭველიერ-ს ეკუთვნის მუყმენდი)“

**ალე ჩი ლადედ ესდრი ლათხტართე, ა, მწრე, ი ამასობმასა
ჟოხმეკრახ, ერე „ერე ლოქ იზგე, მუყმენდ, კუზბჟი, ი მეხუ ი გეზალ
ლოქ ხაყა“** (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ.

ჭველიერი, 80 წლისა) „ეს ყოველდღე დადის თურმე სანადიროდ, აი, კაცი, და ამასობაში გაუგიათ, რომ „იქ ცხოვრობსო, მუყემენდში, გორაკზე, და ცოლ-შვილი ჰყავსო (ზედმიწ. - ეს ყოველ-დღე მიდის სა-სა-თხ-ევ-ლ-ო-ს-კენ, აი, კაცი, და ამასობა-ში გაუგიათ, რომ „იქ სა-ხლობსო, მუყემენდში, გორაკზე, და ცოლი და შვილიო ჰყავს)“...

ამრიგად, პუბლიკაციაში შეძლებისდაგვარად მოცემულია ჩო-ლურის ხეობისა და მისი სოფლების სახელწოდებათა სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი; ყურადღება ექ-ცევა, აგრეთვე, ხალხურ ეტიმოლოგიასაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბედოშვილი 2013 – გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა გან-მარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, II, თბილისი

გაზდელიანი 2011 – ე. გაზდელიანი, ქვემო სვანეთის ზოგი ტო-პონიმის წარმომავლობისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, VIII, თბილისი

ლიპარტელიანი 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი

მარგიანი 2013 – ქ. მარგიანი, სოფელ ძალცუნესგას ონომასტი-კონი, ონომასტიკური კრებული, ახალციხე

ჟღენტი 1949 – ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი

საღლიანი 2013ა – მ. საღლიანი, მასალები სვანური ტოპონიმი-კური ლექსიკონისათვის. I. სოფელ ცხუმარის ტოპონიმია, საენათ-მეცნიერო ძიებანი, XXXV, თბილისი

საღლიანი 2013ბ – მ. საღლიანი, მასალები სვანური ტოპონიმი-კური ლექსიკონისათვის. II. სოფელ ფარის ტოპონიმია, ონომასტი-კური კრებული, ახალციხე

საღლიანი 2016 – მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, თბილისი

ჩანტლაძე 1998 – ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი

ჭუმბურიძე 1977 – ზ. ჭუმბურიძე, კნინობითი სახელები სვანურში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, თბილისი

ჭუმბურიძე 2007 – ზ. ჭუმბურიძე, სვანური ენა (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი.

MEDEA SAGHLIANI

On the Etymology of Several Svan (Cholur) Toponyms

Summary

The paper deals with the structural-semantic analysis of the toponyms of one of the picturesque gorge Cholur and its villages (Chvelieri, Tekali, Leusheri, Panaga, Kunishi, Mami, Chvlepi, Sakdari, Durashi, Buleshi, Tvibi, Zagalodi, Ediki, Shtvili, Murkmeldi, etc.) based on a variety of material obtained by using the field conditions throughout the years and “Svan-Georgian (Cholur speech) Dictionary” by A. Liparteliani. Obviously, the work is an attempt to analyze each toponym etymologically and to present extra linguistic factors along with the linguistic ones in the designation of the onomastic units.

მეფა ღლონტი

იგავის, არაკისა და სახარების იგავის ლექსიკონ-ტერმინოლოგიური ფუნქციისათვის ქართულში

I. იგავი:

„სიტყვის კონა ქართულში“ ვკითხულობთ: „**არაკი** სომხურად იგავსა ჰქვიან“, რომელიც „ჩვენდაცა სახმარ არს და (დიდად) ტკბილ“ (სულხან-საბა, „არაკის“ ქვეშ).

მაშასადამე, **არაკსა** და **იგავს** სინონიმურ ლექსიკურ ერთეულებად მიიჩნევს სულხან-საბა. იგი **არაკის** უცხო წარმომავლობას უსვამს ხაზს და საგანგებოდ დასძენს, რომ **არაკი** ჩვენც, ქართველებმაც, მივიღეთ და შევიტკბეთ – **იგავთან** ერთად. ქართულ ენაში უცხო სიტყვის დამკვიდრების კონკრეტულ ფაქტთან ერთად, სულხან-საბას ამ დროს არაკის დანიშნულება, მისი მხატვრული ფუნქციაც აქვს მხედველობაში. ამ ფუნქციისა და დანიშნულების მისაკვლევად ქართველი ლექსიკოგრაფი გვიჩვენებს, **იგავის** განმარტებას მივმართოთ:

„**იგავი** (მათე 13,24) – ესე არს სიტყვით მაგალითი, გინა საჩვენებელი, გინა მოსანიშნავი“ (იქვე, „იგავის“ ქვეშ). „**მაგალითი** – ანდაზა-აო“, – ბრძანებს სულხან-საბა იქვე, „მაგალითის“ ქვეშ.

როგორც ვხედავთ, **არაკისა** და **იგავის** ფუნქციაა, მკითხველსა თუ მსმენელს მაგალითის სახით უჩვენოს და მოუნიშნოს სათქმელი, რომლის დროსაც „მაგალითის“, „საჩვენებლისა“ და „მოსანიშნავის“ ერთადერთ საშუალებად სიტყვაა დასახული.

სიტყვის, სათქმელის იგავურად მონიშვნის იმავე პრინციპზე მიგვითითებს სულხან-საბა **მარაგით-ზრახვის** განმარტებაშიც:

„**მარაგით-ზრახვა** – არს სიტყვა ესრე გვარად სთქვა, ადვილ საცნაურ არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი რამე ემოსოს, ანუ ორსამ რიგად გაისინჯოს (გაისაზღვრებოდეს)“ (სულხან-საბა, „მარაგით-ზრახვის“ ქვეშ); **ზრახვის** გამო სულხან-საბა გვიბრძანებს, იგი „სიტყვის ლაპარაკიაო“ (იქვე).

„სიტყვის კონა ქართულში“ არის კიდევ ერთი ლექსიკური ერთეული, რომელიც იგავურად მონიშვნის ხსენებულ პრინციპთან დაკავშირებით გამორჩევით იქცევს ყურადღებას. მხედველობაში გვაქვს **მიგვიებითი**:

„მიგვიებითი – თვალის ნიშნებით საცნობელი, ანუ იგავიანად, გინა მარაგით, გინა გარდმოვლით საექვად თქმული“ (იქვე, „მიგვიებითის“ ქვეშ).

მიგვიებითი იგავური პრინციპით აღქმული ისეთი საგანი, მოვლენა თუ ამბავია, რომელიც უსიტყვოდ, „თვალის ნიშნებით“ გვაწვდის და გვაუწყებს „საცნობელს“, ასევე შემოვლით („გარდმოვლით“) გამოთქვემს მას, საექვოდ, ანუ „არა-მართლიად“ ხდის თქმულს. ყოველივე ეს: „თვალის ნიშნებით“, „საექვად“, „გარდმოვლით“ – გამოხატვის ფორმებია, „საცნობელისა“ თუ გამოსათქმელის შესამოსელია, იმგვარად „დაგებული სიტყვაა და ზრახვა“, სადაც „ორ-სამ რიგად“ არის დაღეჩილი და დავანებული სათქმელი.

ციტირებული ადგილები შერჩევით ამოვიღეთ **ექვის**, **მარაგის**, **მარაგით-ზრახვისა** და **მიგვიებითის** განმარტებებიდან, რომელთა ანალიზი (იგავის განმარტებასთან ერთად) ცხადყოფს, რომ სულხან-საბა **მიგვიებითის** სინონიმად შერაცხავს როგორც **მარაგსა** და **მარაგით-ზრახვას**, ასევე **იგავს** – უფრო ზუსტად კი – **იგავიანს**. მისი თქმით, **მიგვიებითი** არის სათქმელის იგავიანად, ანუ იგავურად გამოხატვის წესი და ამდენადაა იგი „მარაგით“ გამოთქმის, „მარაგით-ზრახვის“ პრინციპის ტოლფასი.

მიგვიებითის განმარტებას დართული აქვს ფრიად საყურადღებო მითითება ძველ ქართულ წყაროებზე:

„ექვსთა დღე“: „არამედ მიგვიებითი რამე და მიწამებული და საექვი, რომელსა იგვად უწოდენ“, სადაც იგულისხმება წმიდა ბასილი დიდის შრომა „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის“.

ამავე განმარტების სქოლიოში კი შენიშვნაა: შდრ. „კაცისა შესაქმისათვის“ („მიგუევებით“), სადაც წმიდა გრიგოლი ნოსელის თხზულება მხედველობაში.

წმიდა მამათა ამ თხზულებების ქართულ თარგმანში **იგავს** ენიჭება მნიშვნელობა – „ნიმუში, მაგალითი, სახე“ (გრიგოლი ნოსელი, 337: კეკელიძე ლიანა, 40-41; იმნაიშვილი). ამავე მნიშვნელობისაა **სახეც**, თუმცა იგი „გვარსა და ფორმას, წესსა და მეთოდსაც“ აღნიშნავს (გრიგოლი ნოსელი, 365: იქვე). მამასადმე, ძველი ქართული „იგავი“ და „სახე“ სინონიმურია, შდრ.:

„**იგავსა მას შინა** ზეთისასა გულისხმა-ვყავთ“;

„**სახესა მას შინა** ზეთისასა ვისწავეთ“ (იქვე).

ამგვარ სინონიმურობას ილია აბულაძის ლექსიკონიც ადასტურებს (აბულაძე), სადაც სალექსიკონო ერთეული **არაკი** – არ ფიქსირდება:

„**იგავი** – მაგალითი; **იგავის მოღება (მოხუმა)** – არაკის თქმა, მაგალითის მოყვანა, მიმსგავსება; **სახე** – ხატი, მსგავსება, ფორმა, ბუნება, მაგალითი, ნიშანი, იგავი, ნიმუში“ (იხ.: სირაძე 1978, 293-294; ანტონ ბაგრატიონი, 699; შდრ. იმნაიშვილი; ვართაზარიანი; ხრაპჩენკო). ვფიქრობთ, დროული იქნება, თუკი აქ სულხან-საბას შემდეგ განმარტებას დავურთავთ: „**სახის შემოღება** – იგავის მოყვანა“ (სულხან-საბა, „სახის შემოღების“ ქვეშ; იხ.: სირაძე 1992, 136-138).

II. იგავი და არაკი:

არაკი „ზღაპრული შინაარსის“ იგავია – „იგავ-ზღაპარი“, და გადატანითად იგი „ტყუილს, მოგონილ ამბავს“ ნიშნავს (ქეგლ-ი, I). ცხადია, **არაკისა** და **იგავის** გადატანითი მნიშვნელობანი ურთიერთშენაცვლებადია, ვინაიდან **არაკიც** ისევე შეიცავს გადაკრულსა და ნართაულ თქმას, როგორც **იგავი** – მოგონილ ამბავს.

არაკისა და **იგავის** ტერმინოლოგიური განმარტების სრულყოფილებისათვის უნდა გავიხსენოთ, რომ ძველ ბერძნულში **პარაბოლუ** (parabolh – „შემოგდება, დამატება“) – საკუთრივ **იგავსაც** აღნიშნავდა და **მსგავსებასაც**, ხოლო ძვ. ბერძნ. **აპოლოგი** (აპოლოგ „სიტყვიდან, სიტყვისგან“) – ნიშნავდა „არაკს, მოთხრობას ცხოველებზე“ (დვორეცკი).

როგორც ვხედავთ, **არაკი** ძველ ბერძნულში საგანგებო მახასიათებლით ემიჯნება **იგავს**: **აპოლოგი** იმგვარი ალეგორიული მოთხრობაა, რომელიც ცხოველებზე გვიამბობს, **პარაბოლეში** კი საგანგებოდ ფიქსირდება **იგავის** ტროპული ხასიათი, მისი მსგავსება-სახეობრივი ფუნქცია.

დღევანდელ ქართულშიც მსგავსი რანგის გამიჯვნას აქვს ადგილი. **იგავის** ლექსიკურ განმარტებასთან დაკავშირებით ქეგლ-ში ორ მომენტია აქცენტირებული: ჯერ ერთი, **იგავი** „ჩვეულებრივ, ზნეობრივ-დამრიგებლური დასკვნით მთავრდება“; მეორეც, გადატანითად იგი გამოხატავს „დაფარულ აზრს; გადაკვრით, ნართაულად, ქარაგმულად“ თქმულს (ქეგლ-ი, IV). ამგვარი გადატანითი მნიშვნელობით, **იგავი** ტროპის ერთ-ერთი სახის – **ალეგორიის** ფუნქციას შეითავსებს (შდრ.: ბერძნ. **ალეგორია**, რომელიც „გადაკრულად თქმას“ ნიშნავს).

ქართულში სხვაობა **არაკსა** და **იგავს** შორის დღეს მათი ე.წ. ჟანრობრივი კვალიფიკაციით აღიბეჭდება: ქეგლ-ის ცნობით, თუკი **იგავი** „მოკლე ალეგორიული მოთხრობაა“, **არაკი** – ვითარცა „იგავ-ზღაპარი“ – სწორედ თავისი „ზღაპრულობით“ ემიჯნება **იგავს**, რადგან იგი დაუჯერებელ, სინამდვილისათვის შეუფერებელ მოკლე ამბავს გვიამბობს. **არაკის** უმთავრესი მახასიათებელიც ეს არის. დანარჩენით კი იგი **იგავს** მიჰყვება: დაფარულ აზრსაც შეიცავს და მოკლე, ლაკონური ზნეობრივ-დამრიგებლური დასკვნაც ახლავს (ან იგულისხმება).

რაც შეეხება **იგავს**, მისი ე.წ. გამწევი ძალა – ზემოხსენებული ალეგორიულობაა, სიტყვის იმგვარად „დაგება“ და გამოთქმა, რომ „ადვილ საცნაურ არ იყოს“, თან სათქმელს მონიშნვითა და მაგალითებით, ანუ სახეებით აჩვენებდეს. **იგავში**, ჩვეულებრივ, არ აისახება იმგვარი დაუჯერებელი, მოგონილი ზღაპრული ამბავი, რომელიც „არა ქმნილა მყოფობით“ (სულხან-საბა, „ზღაპრის“ ქვეშ).

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ლექსიკურ-სინონიმურ წყვილში **იგავი** იტვირთებს თხრობის, სიტყვის ალეგორიულად, გადაკრულად

თქმის ფუნქციას, ეს წესი და პრინციპი **იგავური** გახლავთ (და არა **არაკული**); ხოლო არაკი იგავურად თქმის პრინციპით სარგებლობს და იგავური წესითვე თხზავს მოკლე მოთხრობას – **იგავ-ზღაპარს**, რომლის პერსონაჟები უმეტეესწილად ცხოველებია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ფრიად საყურადღებო დიაქრონიული სურათი იხატება **არაკისა** და **იგავის** ურთიერთმიმართების მხრივ: ძველ ქართულში (სასულიერო მწერლობაში) **არაკი** არ ფიგურირებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი (იგავ-არაკი) უაღრესად ძველი ჟანრი გახლავთ (შუმერულ-ეგვიპტური ხანიდან მოყოლებული) (კეკელიძე ლიანა, 45-46). „ვეფხისტყაოსანში“ უკვე ფიქსირდება **არაკი**. ძვ. ქართ. **იგავის** სინონიმური მეწყვილე – **სახეა**. ეს უკანასკნელი (**სახე**) სულხან-საბასთან **არაკისა** და **იგავის** აბსოლუტური სინონიმის ფარგლებში ექცევა, ვინაიდან: „**სახის შემოდება** – იგავის მოყვანა“, შდრ.: „**სახის მწერალი** – სახით (სახის) მეტყველებით ქმნულსა სიტყვასა ჰქვიან“ (სულხან-საბა, „სახის მწერლის“ ქვეშ).

თუკი უცხო წარმომავლობის **არაკი** სულხან-საბასთან არის **იგავის** აბსოლუტური სინონიმი, დღეისათვის **არაკისა** და **იგავის** აბსოლუტური სინონიმია მათივე ჟანრობრივი არჩევანითაა დაძლეული, რის შედეგადაც **არაკი** თავისი მონათხრობის „ზღაპრულობით“ გაემიჯნა **იგავს**. ძველი ბერძნული **აპოლოგის** (**არაკის**) და **პარაბოლეს** (**იგავის**) მსგავსად, ქართულ **არაკსა** და **იგავს** შორისაც თავისებური გვარ-სახეობრივი დამოკიდებულება იკვეთება. გვარეობრივ ჯგუფს ქმნის **იგავი**, რომელშიც შედის:

არაკი, სახე, ხატი, მსგავსება, ნიშანი, მარაგით-ზრახვა, მიგვიებითი, მაგალითი, ანდაზა, ზმა („**ზმა** – იგავით გასაღიმელია“, – გვაუწყებს სულხან-საბა – იქვე, „**ზმის**“ ქვეშ), „**ნიმუში**“, ასევე „**ფორმა**“, „**ტიპი**“.

იგავის წარმოდგენილი გვარსახეობრიობის თვალსაზრისით, თითქმის იმავე დაკვირვების მოწმენი ვხდებით ლიანა კეკელიძის

გამოკვლევაში „იგავ-არაკი ძველ ქართულ მწერლობაში“ (კეკელიძე ლიანა, 40-41).

არაკი ამ ჯგუფში ხსენებული ზღაპრულობით (ძველ ბერძნულში – ცხოველებზე მოთხრობით), ანუ თავისი ჟანრობრივი მახასიათებლით განსხვავდება საკუთრივ **იგავისგანაც** და დანარჩენებისგანაც.

ამიტომ, წარმოდგენილი მასალიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ყოველგვარი საფუძველი ეცლება განაცხადს (გოგუაძე, 9), რომლის მიხედვითაც ლექსიკონებში, განსაკუთრებით კი ქართულ ლექსიკონებში, „სრული იდენტიფიკაცია“ ეძლევა **არაკსა** და **იგავს**.

III. იგავი, არაკი და სახარების იგავი:

უაღრესად საგულისხმოა საკუთრივ **იგავის, არაკისა და სახარების იგავის** (უფლის იგავის) ურთიერთმიმართების საკითხი.

საზოგადოდ, **არაკისა და იგავის** მიმართების კვლევისას აუცილებელი ხდება **სახარების იგავისა და სახარებისეული იგავური წესის** გათვალისწინება. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი ფრაგმენტულადაა დამუშავებული (იხ.: კეკელიძე ლიანა; ველიმიროვიჩი). აღნიშნულია, რომ **იგავი, არაკისგან** განსხვავებით: „ქრისტიანული რელიგიის ფართოდ გავრცელების შემდეგ გახდა პოპულარული“. ეს ორი მხატვრული ჟანრი სწორედ სასულიერო ხასიათის ძეგლებში გაემიჯნა მკვეთრად ერთმანეთს – ეკლესია **არაკს** ოდენ საერო ჟანრად მიიჩნევს (კეკელიძე ლიანა, 45-46).

ამისგან განსხვავებით, საღვთისმეტყველო ლიტერატურაში საგანგებო მსჯელობის საგანია **საზოგადოდ იგავის, არაკისა და სახარების იგავის** მსგავსება-განსხვავების, ასევე საკუთრივ **სახარების იგავის** გამიზნულობის, მისი ადრესატის, ჟანრობრივი არჩევანისა და უფლის იგავთა განმარტება-კომენტირების საკითხები (ტრენჩი, 1-54; სილვესტრი, 3-9). წმიდა მამათა და ბიბლიის კომენტატორთა შეფასება-რეკომენდაციები, მცირე გამოწაკლისის გარდა, ამ მხრივ

ერთსულოვანია (იოანე ოქროპირი; ოთხი ძეგლი; ბუხარევი; გლადკოვი; ლოპუხინი; ეპისკოპოსი მიხეილი; თეოფილაქტე ბულგარელი).

წინამდებარე წერილში ამ უაღრესად კომპეტენტური და ავტორიტეტული წყაროების კარნახით შემოგთავაზებთ მცირე მიმოხილვას საკუთრივ **იგავის**, **არაკისა** და **სახარების იგავის** ურთიერთმომართების გამო.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა **სახარების (უფლის) იგავის** რაობისა და რაგვარობის განმარტება, რომელსაც გვთავაზობს ა. პ. ლოპუხინი. მისი თქმით, **არაკისა** და **საკუთრივ იგავისგან** განსხვავებით, **უფლის იგავი**: „მეტყველების იმგვარი ფორმაა, რომელშიც სინამდვილიდან (ან ყოველდღიურობიდან) აღებული შეთხზული ამბის მეშვეობით გადმოიცემა საღმრთო ჭეშმარიტება ან ზნეობის თვისებრიობა“ (ლოპუხინი, 243). ამავე განმარტებით, ყველანაირი **იგავი** – ალეგორიის სახეობაა, მაგრამ არა – **სახარების იგავი**, რადგან უფალი არაფერს იგონებს, არ ფანტაზიორობს, არ აზვიადებს, არამედ თავისი იგავური თხრობისას მიმართავს მხოლოდ სინამდვილეში არსებულ სიუჟეტებს. **სახარების იგავი** მხოლოდ გარეგნულად ჰგავს **საერო იგავსაც** და **არაკსაც**, რომლებშიც, მართალია, მონაწილეობენ ადამიანებიც და ბუნების სხვა ქმნილებანიც (მაგ.: ღორები – სახარების იგავში „მოწყალე სამარიტელი“, ცხვრები და თიკნები – სახარების იგავში „ცხვრები და თიკნები“ და სხვა), მაგრამ **უფლის იგავებში** დაწინაურებულია ღვთის ქმნილებათა გვირგვინი – ადამიანი, ხოლო **საერო იგავში**, მით უფრო, **არაკში** – ცხოველები. ამასთან, ყველასთვის ნაცნობი, ადვილად დასამახსოვრებელი ამბებითა და შთამბეჭადავი სახარებისეული იგავური სახეებით გულისხმიერ მსმენელსა თუ მკითხველს ქრისტესმიერი სათქმელი „მიმზიდველად“ მიეწოდება (იხ.: ლოპუხინი, 243-245)

ამ მიზეზებითაა განპირობებული ძე ღმრთისა იესო ქრისტეს არჩევანი: იგი არ ჰყვება **არაკს**, არამედ „სიტყუა ღმრთისაჲ“ ღვთის სიტყვას **იგავებითაც** ქადაგებს, შდრ.: „ამას ყოველსა ეტყოდა იესუ იგავით ერსა მას და თჳნიერ იგავისა არარას ეტყოდა მათ“ (მათე

13,34); „და ასწავებდა მათ იგავით ფრიად და ეტყოდა მათ სწავლასა მას მისსა“ (მარკოზი 4,2).

აღმოსავლეთში იმ დროისათვის **იგავი** უკვე საყოველთაოდ აღიარებული, ყველაზე საყვარელი და რჩეული ფორმა იყო ზნეობრივი ჭეშმარიტების გამოსახატავად (ნეტარი იერონიმე; იხ.: ბიბლიური ლექსიკონი, **притча** და **проеобраз**-ის ქვეშ). უფალმა **იგავის** ღირსების ამღლება ინება და იგი მიიჩნია იმ საუკეთესო შუამავლად, რომელსაც „ბნელსა შინა“ და სიკვდილის ჩრდილში მსხდომნი (ლუკა 1,79) ნაცნობიდან უცნობისაკენ მიჰყავს, უმცერების კარს ცოდნის ამ დიდებული გასაღებით შეაღებინებს, მათ გონებისთვალსა და გულისყურს მიჰფენს ნათელს (ტრენჩი, 10-16).

წმიდა წერილი ფაქტობრივად უგულუბელყოფს ზედმიწევნით ზუსტ აღწერას და გადმოცემის იგავურ პრინციპს ანიჭებს უპირატესობას (შდრ. ფსალმუნნი 48,5; 77,2; შდრ.: ველიმიროვიჩი; ივანოვი; ფარულავა). ბიბლიიდან ამ პრინციპით მიეწოდება მკითხველს სიტყვა და ქმედებაც. პირველი – იგავური სიტყვა – საკუთრივ იგავებია, მეორეს კი იგავური ქმედება განეკუთვნება, ასევე წმინდანთა და რჩეულ ღვთისშვილთა ქცევა, ცოცხალი მაგალითები მათივე ცხოვრებიდან და გაწეული ღვაწლიდან (მაგ., ისრაელიანთა ხეტიალი ადამიანისა თუ ერის სულიერი ცხოვრების წესზე მიანიშნებს; იერემიას მიერ თიხის დოქის დამსხვრევით კი გამოთქმულია წინასწარმეტყველება ებრაელი ერის მომავალ დაფანტვა-დაქსაქსვაზე; და სხვა მრავალი).

იგავური ქმედების ფარგლებში ექცევა სასწაულიც, ვითარცა ღვთის ნიშანი, იგავური უწყება ზეციდან, რომელიც ადამიანსა და ღმერთს შორის დარღვეული კავშირის აღსადგენად ევლინება კაცთა მოდგმას (ტრენჩი, 15-16, 24-25). წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელი ბრძანებს:

წმიდა წერილი თავისი არსითა და ბუნებით იგავურია, ვინაიდან უფალი, რომელიც არის „არა სოფლისაგანი“, ამ სოფლად მოვიდა, „ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის“.

უფალი იესო ქრისტეს „ხორციელად ქმნა“ ის უდიდესი, უბრწყინვალესი და უსაკვირველესი ქმედითი იგავი-სასწაულია, რომლითაც უზენაესი ჭეშმარიტება გაცხადდა ცოდვილთა გადასარჩენად (ტრენჩი, 24-25).

უფლის ზემოხსენებული არჩევანი იგავური თხრობის უნიკალურმა შესაძლებლობებმაც განაპირობა. ყველა წმიდა მამა ერთხმად აღიარებს იგავის სასიკეთო ძალასა და გავლენაზე, შდრ.:

„იგავი არს სიტყუად სარგებლისად, რომლისა ძალი დაფარულ არნ, რომელი-იგი საწმარ იყოს და კეთილ ესრეთ ცხადად გულისხმის-საყოფად“ (წმიდა ექვთიმე ათონელი: კეკელიძე ლიანა, 46; ოთხი ძეგლი);

„დიდად სარგებელ არიან იგავნი ჩუენდა, რადთა მათ მიერ შეუძლოთ წინა-ადდგომად მათდა, რომელნი-იგი ხელოვნებითა სოფლისადათა გუეტყოდინან“ (წმიდა იოანე პეტრიწი: კეკელიძე ლიანა, 48; ოთხი ძეგლი).

„დაფარულად განმცხადებელი“ იგავი (ბასილი დიდი) ღვთიური ჭეშმარიტების გზაზე მავალს აძლიერებს, რომ უვნებლად გადაურჩეს წუთისოფლის ორომტრიალს და ჭეშმარიტებას არ განუდგეს იგი (კეკელიძე ლიანა, 48-49). გარდა ამისა, **იგავი** უაღრესად სახალისოა, გაცილებით იოლად აღსაქმელი და ადვილად დასამახსოვრებელი. იგი შედარება-შეპირისპირების ნაირგვარ საშუალებას იძლევა, მონდომებულ მსმენელსა და მკითხველში ცნობისწადილს აღძრავს და ძიებისაკენ „მომატყუებლად“, „(მო)ტყუებით“ უბიძგებს მას (ძვ.ქართ. **მომატყუებლად** „შუამავლობით“, **(მო)ტყუებით** „საბაბის მიცემით“). ამ დროს ბუნებრივად ჩენილი შეკითხვები, როგორც წესი, საგანგებო მიმართულებით წარმართავს იგავის ადრესატის ყურადღებას – სათქმელში მართებულად წვდომისა და ბოლო დასკვნისათვის. სახარებაში ამგვარი შეკითხვების პასუხად არაიშვიათად თავად უფალი გვაწვდის განმარტებას „ნებისაებრ მისისა“ (თეოფილაქტე ბულგარელი).

შენიშნავენ უფლისმიერი **იგავის** გასაოცარ თვისებაზე: გონიერს იგი მიზანსწრაფულობით ადავსებს, უზენაესი სიბრძნის გზებზე დააყენებს და აპოვნინებს კიდეც მას. მაგრამ უგუნურისა და უღირსისათვის ეს სიბრძნე იგავური საფარველით თითქოს საგანგებოდ ინიღბება და იგი ხელშეუხებელი რჩება. **იგავის** გულისხმიერ მკითხველს თავისი გულმოდგინების წილ ეწვევა ღვთიური მადლი და წყალობა, უგულისხმო კი საკუთარი უდებებისა და უგულისყურობის გამო მართლაც რომ ღვთიურ სასჯელს დაიტყვის თავს და საზარელ სულიერ სიბრძავეს იმკის, შდრ.:

„ხოლო იგი ეტყოდა მათ (მოწაფეთ): თქვენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოდ იგი სასუფეველისა ღმრთისად, ხოლო გარეშეთა მათ – ყოველივე იგავით სიტყუად. რადთა ხედვით ხედვიდენ და არა იხილონ და სმენით ესმოდის და ვერ გულისხმა-ყონ, ნუუკუე მოიქცენ და მიეტოს მათ ცოდვად მათი“ (მარკოზი 4,11-12, შდრ.: მათე 13,14-15; იოანე 12, 40; ესაია 6,9-10).

ამ შესანიშნავი მრჩობლი თვისებით **სახარების იგავი** ცეცხლისა და ღრუბლის სვეტს ემსგავსება, რომელთაგან პირველით ღმერთი ეგვიპტიდან გამოსულ ისრაელიანებს უნათებდა სავალს, მეორით კი მდევარ ეგვიპტელთ უბნელებდა გზას (ტრენჩი, 10). მართლაც, **იგავი** ცეცხლის სვეტივით მიუძღვის ღვთის სიტყვის მძებნელს, ურწმუნოსა და ღვთის მოძულეს კი იგი ღრუბლის სვეტად აღემართება და ჭეშმარიტებისაკენ მისასვლელ გზა-კვალს უბნევს.

უნდა ითქვას, რომ **მარაგით-ზრახვის** სულხან-საბასეულ განმარტებაშიც ფიგურირებს ღრუბლის მსგავსი შესამოსელი, რომლის ფუნქცია სიტყვის იგავურ მაგალითად გადაქცევაა, რომ „ორსამ რიგად“ აგებული ეს სიტყვითი მაგალითი „ადვილ საცნაურ არ იყოს“ ყველასათვის.

უფალი იესო **იგავის** არჩევანისას მდაბიო მსმენელის, ხალხის „ჩჩვლ ქრისტესმიერობასაც“ იღებდა მხედველობაში, შდრ.:

„განცხადებად სიტყუათა მათ შენთა განანათლებს და გონიერ-ჰყოფს ჩჩვლთა“ (ფსალმუნნი 118,130).

მეტი თვალსაჩინოებისათვის უფალი მათ „განმარტებულითა სიტყვითა“ უქადაგებდა (იოანე ოქროპირი). ფარისევლებსა და მისთანებთან საუბრისას კი მათი ცოდვით გაუხეშებული გულის, ზნეობრივი უგრძნობლობის გამო მიმართავდა უფალი იგავს, რომ ან როგორმე ჭეშმარიტებისაკენ მიებრუნებინა ისინი, ან ამ გზით უწმინდური ხელების „ფათური“ აღეკვეთა მათთვის (ტრენჩი, 7).

სახარების იგავის ყოველი უფლისმიერი განმარტება, ისევე როგორც მახარებლებისა და წმიდა მამებისა, მოსალოდნელ გაუგებრობასა და მკრეხელობას აშორებს თავიდან იგავის მსმენელს. იგივე განმარტება (თარგმანება) ფარისეველთა, მწვალებელთა თუ სხვა ჯურის წინააღმდეგომთა ცილისწამებისა და თავდასხმებისგანაც იცავს იგავში დავანებულ უზენაეს ჭეშმარიტებას.

მაგრამ სახარების იგავის საბოლოო მიზანი ღვთისადმი რწმენის აღძვრა და გაცხოველებაა. სახარების იგავის მკითხველს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ იგავი ქრისტეს მოძღვრების წყაროდ და საფუძვლად არ მიიჩნიოს. მას უნდა ახსოვდეს, რომ თხრობის ეს პრინციპი გამოიყენება უკვე აღიარებული და დამკვიდრებული ქრისტეს სწავლების ნათელსაყოფად. ყოველდღიური სინამდვილიდან აღებული იგავი ადამიანს რამდენადმე შეამზადებს საღმრთო ჭეშმარიტების აღქმისა და შეცნობისათვის. იგი მოხდენილი სამკაულივით უსვამს ხაზს ამა თუ იმ დეტალს. ბუნებითი განცხადების მსგავსად, იგავში გადმოცემული ამსოფლიური ეპიზოდებით უფალი ზეციურ სამკვიდრებელსა და მის კანონებს განგვიმარტავს. ყოველივე ამით სახარების იგავი ერთგვარ უფლისმიერ დასტურსა და მოწმობასაც წარმოადგენს (ტრენჩი, 11,35).

ნეტარი იერონიმე გვასწავლის, რომ სახარების იგავის ნამდვილი შინაარსი ღვთაებრივ მნიშვნელობას შეიცავს მუდამ. ეს მნიშვნელობა ისევე უნდა მოვიძიოთ და ამოვიღოთ იგავიდან, როგორც ოქრო მოიძიება მიწაში, ან გულს ვიღებთ თხილიდან:

„იგავი ჭეშმარიტების წინ მავალი ჩრდილია“, – დასძენს წმიდა მამა (ტრენჩი, 2).

სახარების იგავი, როგორც ითქვა, ჩანასახიდანვე მოიაზრებს ზეციურ ჭემმარტებას. მას კიდევ ერთი მიზანი აქვს: ცოდვით დასნებოვნებული სულის განკურნება, გონების გამართვა და გაჯანსაღება, ღვთიური პირველსახის აღძვრა – რასაც ვერ ვიტყვით **არაკზე**. **არაკი**, რა თქმა უნდა, მრავალმხრივ ემსგავსება **იგავს**: მისი მიზანიც ზნეობის გაჯანსაღებაა, ისიც სიბრძნეს გვასწავლის, აქაც შედარება-შეპირისპირებისა თუ ალეგორიის ნაირგვარი ნიმუშები იძერწება. მაგრამ **არაკი** მიწას ვერ სწყდება, თავს ვერ აღწევს ყოველდღიურობას, მხოლოდ ამსოფლიური, ყოფითი, ე. წ. პრაქტიკული სიბრძნის გაკვეთილებს გვაძლევს. მისი იდეალია ის, რაც წუთისოფლის შვილებს შეუძლიათ მიიღონ და მოიწონონ (ტრენჩი, 1-3).

იგავისგან განსხვავებით, **არაკში** გაპიროვნების ხერხი ბატონობს, აქ მცენარეები და ცხოველები ლაპარაკობენ, რასაც ბიბლიაში ადგილი ჩვეულებრივ არ აქვს. მთელს ბიბლიაში. კერძოდ, ძველ აღთქმაში, ორიოდ ნიმუშია, სადაც **იგავის** პერსონაჟი-მცენარე ლაპარაკობს (იხ. მსაჯულთა 9,8-15 და IV მეფეთა 14,9) (ბიბლიური ლექსიკონი, **притча**-ს ქვეშ).

არაკის მკითხველი ადამიანსა და ცხოველთა სამყაროს შორის არსებულ ანალოგებს აცნობიერებს და, სულის ზრდის, უზემთაესამდე ამალლების ნაცვლად, მხოლოდ საკუთარ გონებამახვილობასა და საზრიანობაში გავარჯიშდება.

კიდევ ერთ დეტალზე ამახვილებენ ყურადღებას. **არაკისაგან** განსხვავებით, **სახარების იგავისათვის** დაუშვებელია ხუმრობა, გახუმრება, რომ აღარაფერი ვთქვათ დაცინვასა და გესლიანობაზე ადამიანის სისუსტისა თუ სისულელის გამოვლენის გამო (ტრენჩი, 3-4), რაც **არაკისათვის** არის ჩვეულებრივ დამახასიათებელი (შდრ. დგებუაძე). ზოგჯერ მკითხველი **სახარების იგავიდან** წყრომისა და სიმკაცრის მსუბუქ სუსხს შეიგრძნობს ხოლმე, მაგრამ ეს ცოდვილის გონს მოსაყვანი ის მარჯვე იგავური საშუალებაა, რომელსაც „მართალთა მოყვარული და ცოდვილთა მწყალობელი“ ჩვენი უფალი მიმართავს. **სახარების იგავის** ტკბილი მთხრობელი არასოდეს მრისხა-

ნებს, შეუბრალებლობისა თუ დაუნდობლობის ნასახიც კი არ არის მის ნაამბობში.

ასე რომ, არსებითი განსხვავება **არაკსა და სახარების იგავს** შორის მათივე გამიზნულობით მჟღავნდება, ისინი ცასა და დედამიწასავით დაშორებიან ერთმანეთს. **არაკი** ამსოფლიურობით იფარგლება, მისი მზერა ამქვეყნიური, ხილული სიბრძნისაკენაა მიქცეული, **სახარების იგავი** კი ზეცას ჭვრეტს, ღვთიურ სიბრძნეს გვასწავლის და ღმერთთან მიახლებებაში შეგვეწყვეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე – ილია აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“, თბილისი, 1973.

ახალი აღთქმა – „ახალი აღთქმადი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995.

ანტონ ბაგრატიონი – ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ.ბარამიძემ, თბილისი, 1972.

ბასილი დიდი – წმიდა ბასილი დიდი, სწავლანი – გადმოცემულია კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსის წმიდა ბასილი დიდის ჰომილიების მიხედვით; წიგნი: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1996, გვ. 161-189.

ბიბლია – ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1989.

ბიბლიური ლექსიკონი – Библейский Словарь: Энциклопедический словарь, составил Эрик Нюстрем, перевод со шведского, под редакцией И. С. Свенсона; Торонто (Канада), 1985.

გლადკოვი–Б.И.Гладков, Толкование Евангелия, С. Петербург, изд. автора, 1913.

ბუხარევი – Протоиерей И. Бухарев: олкование на Евангелие от Луки, II изд.

გოგუაძე – ვახტანგ გოგუაძე: ხიბლი არაკად თქმისა, ჟურნალი: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1979, №3, გვ. 48-60.

დგებუაძე – დენის დგებუაძე, სატირული ნაკადის შესახებ სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე სიცრუისაში, ჟურნალი: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, №3, გვ. 73-85.

დვორეცკი – И. Х. Дворецкий: Древнегреческо-русский словарь, I-II т., Москва, 1958.

ეპისკოპოსი მიხეილი – Еп. Михаил, "О Евангелии от Луки".

ვართაზარიანი – Вартазарян С.Р., От знака к образу, Ереван, 1973.

ველიმიროვიჩი – Святитель Николай Сербский (Велимирович), Тайнственные притчи, Клин, 2003.

თეოფილაქტე ბულგარელი – Благовестник или Толкование Блаженного Феофилакта архиепископа Болгарского на святое Евангелие в четырех книгах. "Евангелие от Матфея", "Евангелие от Марка", "Евангелие от Луки", "Евангелие от Иоанна"; Москва, 2000.

იმნაიშვილი – ივანე იმნაიშვილი: ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი, 1986.

კეკელიძე – ლიანა კეკელიძე, იგავ-არაკი ძველ ქართულ მწერლობაში; კრებული: ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII-VIII, თბილისი, 1976, გვ. 39-64.

ლოპუხინი – Толковая Библия: или Комментарий на все книги св. Писания Ветхаго и Новаго Завета. С иллюстрациями. Издание преемников А. П. Лопухина, т. 3. Новый Завет, Петербург, 1911-1913.

ოთხი ძეგლი – ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თ. ჭყონია, „ი. პეტრიწის „განმარტებაი პროკლესათვის დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფიისათვის“-ის ბოლოსიტყვაობის ახალი წყაროს შესწავლისათვის“, თბილისი, 1965.

ოქროპირი ოქროპირი – წმიდა იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისად, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი I,II თბილისი, 1996; III. 1998.

სილვესტრი – Приточник Евангельский или изъяснение притчей, Астраханского и Кавказского Архиепископа и Кавалера Силвестра, Москва, 1822.

სირამე 1978 – რევაზ სირამე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1978.

სირამე 1992 – რევაზ სირამე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბილისი, 1992.

სულხან-საბა – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტორგაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, I ტ., თბილისი, 1991.

ტრენჩი – Толкование притчей Господа Нашего Иисуса Христа, архиепископа дублинского Тренча. Перевод с англ. покойнагоАлексея Зиновьевича Зиновьева, С.- Петербург, 1888.

ფარულავა – გრივერ ფარულავა, მხატვრული სახის ბუნებისათვის ქართულ აგიოგრაფიაში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1970.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 8-ტომეული, ტ. I, თბ., 2007; ტ. IV, თბ., 1955.

ხრაპჩენკო – Храпченко М.Б., Горизонты художественного образа, Москва, 1982.

MEDEA GHLONTI

On the Lexical-Terminological Function of Georgian Fable, Parable and Evangelical Parable

Summary

We have analyzed and identified the lexical-terminological and functional essence and meaning of **a fable** and **apable** or an **allegory**. We have tried to overcome their synonymy, to define the differences in their meaning, their interrelations, to discover diachrony and synchrony in their genre preferences.

In the process of analysis, the essential differences between **apable** (as an **evangelical allegory**) and **afable** (as a story having some riddle or allegorical meaning) were defined. A fable as an allegorical story is earthlier. It does not cross the borders of a story and gives common-sensical advices. Its aim is to get as much wisdom from the practical life as possible, in order to use the learned lesson in practice again. A parable as an evangelical allegory and a fable are as much different from each other as the Heaven differs from the everyday life on the earth. An evangelical parable reaches the Heaven, teaches us the Divine Wisdom and helps us get closer to Our Lord.

ეთერ შენგელია

ზოგი ზენიზელის წარმოქმნილი სიტყვის
(ამგზავნი გე/ინაფონიზმი/ინაფონი/ც, გეფონი, გენაფონი)

მეგრული ზმნიზელის შეწავლას არაერთი გამოკვლევა ეძღვნება. ამ მხრივ, საყურადღებოა ნიკო მარის, იოსებ ყიფშიძის, გიორგი კლიმოვის, არნოლდ ჩიქობავას, ანტონ კიზირიას, არამ მარტიროსოვის, კახა გაბუნias, შორენა ლომიას, ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემული „ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია“, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი და სხვათა შრომები.

ზმნიზელის შესწავლისას გასათვალისწინებელია მისი სტრუქტურა, შინაარსი და ფუნქცია.

შინაარსის მიხედვით, მეგრულში, ქართულის მსგავსად, გამოიყოფა სხვადასხვა ჯგუფი: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, ზომადენობისა, მიზეზისა, მიზნისა, ჯერობისა.

ფორმის მიხედვით კი გვაქვს პირველადი, ანუ ძირეული და წარმოქმნილი ზმნიზედები. პირველი შედარებით მცირე რაოდენობითაა, მეორე უფრო მრავალრიცხოვანია და იწარმოება სუფიქსებით, ბრუნვის ნიშნებითა (კერძოდ, მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითის, ვითარებითის ნიშნებით) და კომპოზიციით ნაწარმოები (მარი 1910, 38; კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010, 289-298).

მეგრულში დასტურდება ზმნისწინი **გენაწონი** „შედარებით“ (ქაჯაია 2001) : ჯოტოში ცხენიში **გენაწონი** ბონდოში ცხენი ოშინე ვარე – „ჯოტოს ცხენთან შედარებით ბონდოს ცხენი სახსენებელი არ არის“. **გენაწონი** გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმითა და ფონეტიკური ვარიანტით: || **გინაწონი**: იზოში ინდურში **გინაწონი** მზიურში მუთუნი ვარე – „იზოს ინდაურთან შედარებით მზიურისა არაფერი არ არის“; || **გენაწონც**: ჩხოლში ტყეში **გენაწონც** თხაში ტყეები იზმა ვალირჳ „ძროხის ტყავთან შედარებით თხის ტყავი იმდენი არ ღირს“; || **გინაწონც**: ლუკაში **გინაწონც** ანდრია უჩა კანიში

რე – „ლუკასთან შედარებით ანდრია შავი კანისაა“; || **გენაწონს** : გვა-
ლაში ცვალიში **გენაწონს** აქიანს გემო ვაულუ – „მთის ყველთან შედა-
რებით აქაურს გემო არა აქვს“; || **გინაწონს**: ოსურეფიში **გინაწონს** კო-
ჩემს ჩიება ვაუჩქიწინა – „ქალებთან შედარებით კაცებმა ლაპარაკი არ
იციან“ (ცოტას ლაპარაკობენ); || **გეწონს**: ჩქიმ **გეწონს** თქვა ახალგაზ-
რდეფი რეთ – „ჩემთან შედარებით თქვენ ახალგაზრდები ხართ“;
|| **გენაწონო** : შხვამ **გენაწონო** ინა მეტი ფარას ირზენც – „სხვასთან
შედარებით ის მეტ ფულს იძლევა“ (ქაჯაია 2001, ქობალია 2010).

მოცემული ფორმები ზმნიზედის ზომა-ოდენობის შინაარსობ-
რივ ჯგუფს განეკუთვნება, ხოლო აგებულების მიხედვით წარმო-
ქმნილია. **გენაწონი** (*გე-ნა-წონ-ი)|| **გენაწონც** (*გე-ნა-წონ-ც)||**გენა-
წონს** (გე-ნა-წონ-ს)||**გენაწონო** (*გე-ნა-წონ-ო)||**გეწონს** (*გე-წონ-ს)||**გი-
ნაწონი** (*გი-ნა-წონ-ი)||**გინაწონც** (*გინაწონც)||**გინაწონს** (*გინაწონც) –
ნაზმნარი ზმნიზედებია. შეიძლება გამოიყოს: **წონ-** „აწონვის“ აღ-
მნიშვნელი ძირი, რომელსაც არნ. ჩიქობავა, გ. კლიმოვი, ჰ. ფენრიხი
და სხვა მკვლევრები საერთოქართველურ ფუძედ მიიჩნევენ: შდრ.
***წონ-** : ქართ. **წონ-**(ი-წონ-ს) : მეგრ. **წონ-**(წონ-უ-ა) „აწონვა, შედარე-
ბა“, ლაზ. **წონ-**||**წინ-** (ო-წონ-აფ-უ || ო-წინ-აფ-უ) „აწონა“ : სვან. **წონ-
/წუნ-**(ლი-წუნ-ე) (ჩიქობავა 1938, 40, კლიმოვი 1964, 246, ფენრიხი
1990, 450). შდრ. მეგრ. **გეწონუა** (გე-წონ-უ-ა) „წონის დროს დამატე-
ბა,- დაწონვა“ (ქაჯაია 2001). ამ განმარტებას, ჩვენი აზრით, შეიძლება
დაემატოს შინაარსობრივი ნიუანსი – „წონით, თვისებით შეფარდე-
ბა, შედარება, შეტოლება“, ზმნურ ძირთან ერთად გამოიყოფა აფიქ-
სები: **გე-, გი-**, რომლებიც მარტივი ზმნისწინებია და „ზევით“ ან „ზე-
ვიდან ქვევით“ მიმართულებას გამოხატავს (**გე-** > **გი-** : **გე-**შქუმალა
„დარტყმა“, **გი-**აშქუ „დაარტყა“ (ქაჯაია 2001). გამოიყოფა, აგრეთვე,
ნა- პრეფიქსი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა
ფუნქციით არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ის წარსული დრო-
ის ვნებითი გვარის მაწარმოებელია (ქაჯაია 2002, კოლხური (მე-
გრულ-ლაზურ) ენა 2006, 170), რომელიც **გეწონს** ფორმაში დაკარ-

გულია), გამოიყოფა -ი სახელობითი, აგრეთვე, -ც, ს - მიცემითი და -ო ვითრებითი ბრუნვის ნიშნები.

მაშასადამე, მეგრული **გენაწონი** (*გე-ნა-წონ-ი)||**გენაწონც** (*გე-ნა-წონ-ც)||**გენაწონს** (გე-ნა-წონ-ს)||**გენაწონო** (*გე-ნა-წონ-ო)||**გეწონს** (*გე-წონ-ს)||**გინაწონი** (*გი-ნა-წონ-ი)||**გინაწონც** (*გინაწონც)||**გინაწონს** (*გინაწონს) – წარმოების მხრივ, ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობებია და გამოიყოფა **გე/გი-** ზმნისწინები, **ნა-** ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობის მაწარმოებელი, -**ი** სახელობითი, -**ც, -ს** - მიცემითი და -**ო** ვითრებითი ბრუნვის ნიშნები, რომლებიც გაქვავებული ნიშნებია და ფუნქცია დაკარგული აქვთ.

საანალიზო ფორმები წარმოებითაც და შინაარსობრივადაც იგივეა, რაც ქართ, **შეწონილ**–ი (შე-წონ-ილ-ი) – „წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა“ – „რაც შეუწონეს ან შეეწონა, წონა–ზომით (ერთმანეთს) შედარებული, შეფარდებული, შეტოლებული“ (მდრ. ქართ. **შეწონა** (შე-წონ-ა) – „წონით შეფარდება, შეთანაბრება, შედარება, შეტოლება“ (ქეგლი 1962); ძვ. ქართ. **შეწონა** (შე-წონ-ა) – „შეთანასწორება“ (აბულაძე 1973).

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე 1973: ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010: გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.

კლიმოვი 1964: Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა 2006: შემდგენლები რ. ამირჯიბი-მალენი, ნ. დანელია, ი. დუნდუა, თბილისი.

მარი 1910: Н. Марр, Грамматика Чанского (Лазского) языка с хрестоматиею и словарем, С. – Петербург.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლი 1962: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. VII, თბილისი.

ქაჯაია 2001: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ქაჯაია 2002: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

ქობალია 2010: ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ქირია 2015: ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა I. მორფოლოგია, თბილისი.

ჩიქობავა 1938: არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ETER SHENGELIA

On the Origin of Some Adverbs

(Megrelian *ge/inaçoni* || *ge/inaçons/c*, *geçons*, *genaçono*)

Summary

The paper deals with the origin of the Megrelian adverbs **genaçoni**(*ge-na-çon-i) || **genaçonc**(*ge-na-çon-c) || **genaçons**(*ge-na-çon-s) || **genaçono**(*ge-na-çon-o) || **geçons**(*ge-çon-s) || **ginaçoni**(gi-na-çon-i) || **ginaçonc**(gi-na-çon-c) || **ginaçons**(gi-na-çon-s) “comparatively, relatively”.

წინეული ჭიხონელიაქ

კვლეპარტულისეული ზოგი ფონეტიკურად შეცვლილი ონონიური ცალის ისტორიისათვის

ქართულ ენაში ომონიმიას ნასესხებ მასალასთან ერთად განაპირობებს ფონეტიკური ცვლილება. ეს ეხება როგორც ძირეულ, ისე ნასესხებ ლექსიკას. ერთი წარმომავლობისა და ერთნაირი მნიშვნელობის ლექსემები ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა დროში, განსხვავებული ენებიდან ნაირ-ნაირი ფონეტიკური სახით შემოდის და ამიტომ ხშირად ჭირს იმის დადგენა, სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი საკუთრივ ქართულია თუ უცხოური. შესაძლებელია, ისტორიულად, ზოგი ფონეტიკურად მსგავსი ომონიური ცალისაგან ერთნაირი ცვლილების გამოისობით ისევ ძველი მნიშვნელობის, მაგრამ ფორმოზრივად ახალ წყვილი ჩამოყალიბდეს, მაგრამ უმეტეს წილად ისინი სხვადასხვა ომონიურ წყვილებში ერთიანდებიან.

ამჯერად, ლექსემების ნაირგვარი ფონეტიკური ვარიანტებიდან, შევეხებით მხოლოდ იმ ერთეულებს, რომლებიც ომონიურ წყვილებში ერთიანდებიან.

1. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ძველ ქართულში „წმინდა სულიერი მამის“ (ებრ. აბ, სირ. აბა, ბერძნ. აბბა) მნიშვნელობით დასტურდება ფონეტიკური ვარიანტები: აბბა, აბა, ამბა, ანბა. ზოგჯერ ამბა და ანბა ერთი და იმავე თხზულების ერთსა და იმავე გვერდზე ნახმარი: რომელსა ერქუა *ამბა* ისაკ და კუალად სხუასა *ამბა* ასონა და *ანბა* ივლიანე (სარჯველაძე, 1984, 313).

აბბა, აბა, ამბა, ანბა ამ სემიტური ძირის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა უცნობია. საზოგადოდ აღნიშნავს „მამას“, წმინდა, სულიერ მამას, „მამამთავარს ტომისა, ხალხისა“ (გეზენ.1). მოგვიანებით კი პატივისცემის გამომხატველ ეპითეტად იქცა... ბერძნული გზით ეს აღმოსავლური სიტყვა ქართულში ადრე შემოსულა „წმინდა მამის“ მნიშვნელობით საეკლესიო პრაქტიკაში, პალესტინის VI საუკუნის I

ნახევრის მოზაიკურ წარწერაში მოიხსენიება ანტონი აბაჲ (გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960) (დანელია, 1998, 144).

ზემოდასახელებული ფონეტიკური ვარიანტებიდან აბა და აბზა სხვადასხვა ომონიმურ წყვილში იჩენს თავს.

აბა:

ბვ. ქართ. I. აბა „წმინდა სულიერი მამა“. „და იტყოდა: აბა, მამაო ჩემო“, D – „და იტყოდა: აბზა, მამაო (C, მრ. 14, 36).

ახალ ქართულში ზემომითითებული მნიშვნელობით აბა აღარ დასტურდება.

საშ. ქართული II. აბა // აბაი მდიდრულად ნაკერი ცხენის ჩული. *აბაიებ* – ასალებზე ევლო ხალასი მილია (შჰნ. I, 198, 3).

მერმე მოასხეს ოთხასი დარჩეული ტაიჭი, ოქროთა აკაზმულითა უნაგირთა და ჩარყაფისა ასლითა და *აბაითა* დაკაზმული (შჰნ. III, 243, 22).

აბა ხალათი. დაკაზმნა მისნი მხლებელნი ბაღდადურითა *აბითა* (ნ. ციც. 743, 2).

ი. გრიშაშვილი თავის „ქალაქურ ლექსიკონში“ როგორც ჩანს საშუალო საუკუნეების სამწერლო ძეგლებზე დაყრდნობით აბაის განმარტავს შემდეგნაირად: **აბაჲ** (სპ. აბაი) 1. ფართე და გრძელი წამოსასხამი, აქლემის მატყლისაგან ნაქსოვი. 2. თათრული წამოსასხამი. ფეხებამდე. სქელი მაუდისაგან გაკეთებული წამოსასხამი, მოლი. მუშაითს მისცენ ხალათი, ზედ წამოსახმენ *აბასა* (თეიმ. II, ანთოლოგია, II, გვ. 161) – (გრიშ.).

დიალექტ. ეს სიტყვა „ჩვენებურების ქართულში“ დასტურდება შემდეგი მნიშვნელობით: აბა უხეში მსხვილი შალის ძაფი. ჭახრაკზე დავართი აბა, შაგიკერე ყირმიზი კაბა (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

ყველა პერიოდის ქართულში გვხვდება ნაწილაკი აბა. ბვ. ქართ. **აბა**, ჰაბა მაშ: დასცხერ აბა, რომლისათსცა-იგი ეწადოდა, მოგეცა შენ (ფლკტ. 137, 26) – აბულ.

საშ. ქართ. ამის მეტსა ნუ იქ აბა (ვეფხ. 367, 1).

ნაწილაკი აბა და მისგან ნაწარმოები ფორმები ახალ სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში სხვადასხვა კონტექსტების მიხედვით მეტნაკლები სემანტიკური გადაწევით ხშირი გამოყენების სიტყვაა. იხ.-ქველ.

ამბა:

ძვ. ქართ. I. ამბა იხ. I.აბა. მიუგო მათ *ამბა* იოანე (მარკ. 247). აღწერა *ამბა (ანბა)* იოვანე (ლიმ. 1, 6) - აბულ. მოგგუარეთ შენ *ამბა* სერაპიონ (Sin.-36 496,27 -29a) – სარჯ.

საშ. ქართ. აბბა, ამბა (ებრ.) მამა – დ. ჩუბ.

კულად ჰყო ალავერდელი ეპისკოპოსად, რამეთუ იყო აქამომდე ამბა და მონასტერი და მისცა სამწყსო და ხარისხი თავ კახთა ეპისკოპოსთა (ქ. ცხ. IV, 568, 9).

ახ. ქართ. ქეგლში ამბა კვალიფიცირებულია უკვე როგორც ძველი ფორმა. **ამბა** ძვ. მამა (მონასტრისა] მონასტრის წინამძღვარი. – ამბა ალავერდელი. – ამბა გიორგი (ოპიზელი).

დიალექტ. II. ამბა მოკ. შესაკავებელი (ურმისა, მარხილისა) – შან.

ვფიქრობთ, რომ **ამბა < ამბოლი** უკანა უღლეული – საბა. ამბოლი ქეგლში საბაზე დაყრდნობით ძველ ფორმადაა მიჩნეული.

დიალექტ. ამბოლი (მესხ.) უღლეულთა წინა ხარი (ი. გვარ., ახალციხის მუზ., № 132) - ღლ.

2. ძველ და საშუალო ქართულში „ნელსაცხებლის“, „გუნდრუკის“ მნიშვნელობით გვხვდება ფონეტიკური ვარიანტები: ძველ ქართულში **ზუმირი, ზმვრნი, მური**. საშუალო ქართულში კი **ზმირინი, ზმირნი. მური** (მირრა B.; მურიმაქ ZAaB, მურა C.; ზმურა ZAaB, მურა E.) (44, 9 ფსალმ.) ესე (+ არს A) შტახსისა ნაწურთა უზრქესი სუნნელი ZA. (44, 9 ფსალმ.) მური არს შტახსის ნაწურთა უზრქესი სუნნელი B - საბა.

ომონიმურ წყვილებს ქმნის შემდეგი ფონეტიკური ვარიანტები: ზუმირი:

საშ. ქართ. I. ზუმირი მური სუნნელი - საბა.

საშ. ქართ. II. ზუმირი ზურმუხტი - საბა.

ახალ ქართულში ამ მნიშვნელობით იხმარება ზურმუხტი (სპარს. ზუმურრუდ) ძვირფასი ქვა მწვანე ფერისა. *ზურმუხტიც* ხომ ფოთოლსავით მწვანეა (ილია). [ესმამ] *ზურმუხტის* ქინძისთავი გულზე დაიბნია (გ. წერეთ.). «ძირს ეფინა ზურმუხტის ფერი ხავერ-დი» (გ. ყიფში. თარგმ.). ფიგურ. ნეტავ ქება როგორ ითქმის ამ თბილისქალაქისაო, ზამთარი იცის ბროლისა, ზაფხული – *ზურმუხტი-საო* (ხალხ.). ცა ფირუზ, ხმელეთ *ზურმუხტო*, ჩემო სამშობლო მხარეო! (აკაკი). || ზოგჯერ უმართებულოდ უხმარიათ «ლურჯ»-ის მნიშვნელობით. *ზურმუხტ* ცას ფიანდაზად ქვეშ ეშლებოდა ალაზნის ველი (ნ. ლორთქ.). სულ ორიოდ დღეა, რაც [ევამ]... დაინახა *ზურმუხტი* ცა (შ. არაგვ.).

ზმური:

ძვ. ქართ. I. ზმური, მური mirrha: ჯელთა ჩემთა დასუწუთა (დასწუთა) *ზმური* (მური M) (O, ქება, 5, 5) - აბულ.

ძვ. ქართ. II. ზმური ზურმუხტი - დ. ჩუბ. *ზმური* თუალი და აკატს მწუანე არიან ხილვითა: არამედ არს ფერსა მათსა განყოფანი რჩეულებისანი: რამეთუ *ზმური* იგი მბრწყინვალეების გამომცემელ არს, ხოლო აკატს იგი მწუანე ხოლო არს (შატბ. 130, 10). ფისონ მდინარესა იპოვების ზმური (შატბ.130,30). ხოლო აწ ვთქუათ მთისა მისთვს, სადა-იგი *ზმური* თუალი იპოვების: არს საბრძანებელად ჰრომელთა მეფისა მის. ზმურიან ერქუმის სახელი მთასა მას (შატბ.131, 26). ამ სიტყვის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია შემდეგი:

1.პროფ. Rlake, ცნობილი Hübschmann-ის შრომის Armenische Grammatik საფუძველზე, ქართულ „ზმურს“ უკავშირებს სომხურ zmurkht-ს და მის ანალოგიას პოულობს ახალ სპარსულ zumurrud-თან. სომხურ- სპარსული სიტყვები კი უნდა მომდინარეობდნენ ფალაური izmuburt – izmuvurt-იდან. ეტიმოლოგია ამ ბერძნული სახელისა, პირველ ნაწილში მაინც, ერთგვარ ნათესაობას ამჟღავნებს აგრეთვე ირანულ-სომხურ-ქართულთან;σµρ – ζµρ. გამოდის, რომ

„ზმური“ არის აღმოსავლური სახელი ამ ქვისა, „სმარაგდო“ კი დასავლური (კეკელიძე, 1957, 78-80).

2. ზმური ნიშნავს ზურმუხტს, ის წარმოშობით ირანულ-სომხურ სამყაროს უკავშირდება. შდრ. ფალ.* zmuruxt (ანდრონიკაშვილი, I, 330).

3. კეკელიძის დაკვირვებით ძველ ხელნაწერებში „ძვირფასი თვალის“ მნიშვნელობით გვხვდება ასევე ზამირი (ქართლის ცხოვრების მარიამისეული ნუსხა). მაგრამ სწორი ფორმაა ზმირი < ზმური („ზურმუხტი“), ზამირი კი დამახინჯებულია (შდრ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, 79-80).

გვრგვნი აღმული იაკინთთა, ზმირთა და სმარაგდოთა მიერ (ქ. ცხ. II, 21, 7).

ზმირინი:

საშ. და ახ. ქართ. I. ზმირინი (ზმირნი) გუნდრუკი (მური) (საბა).

აწ დასწყნარდი, ნუ შფოთავ- ბორგავ, ნუ გაქვს ზმირინთ ზინ- ზლად ფშვება! (დ. გურამ. 183, 1, 4). გუნდრუკ- ზმირინებ ყრჩის ცა რაზარინ ნარდიონ ალოდ (ბესიკი, 51,4).

ზმირინი [ბერძ. smyrna-დან] ძვ. იგივეა, რაც გუნდრუკი - ქეგლ.

ძვ. ქართ. II. ზმირინი გველთევზისებრთა ოჯახის, ერთერთი მტაცებელი თევზის სახელი.

და კუალად ამის შორისცა არიან ბევრეულნი განყოფილებანი: ვითარცა ვეშაპნი და გრძელ-თევზნი და ზმირინი, და გულ-თევზნი, რომელნი უყენათა მდინარეთა და ტბათა შინა იშვებიან (ექუს. დღ. 82, 17).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბერძნული σ-სიგმა ქართულში ჩვეულებრივ გადმოიცემა ს და ზ ბგერებით. ჩვენს მაგალითში ორივე ეს შემთხვევაა დადასტურებული (ბერძ. σμύρινα ქართ. ზმირინი – სმორენა). რაც შეეხება ხმოვნებს, ბერძ. ὄ ერთ შემთხვევაში გადმოიცემა ი ხმოვნით, ხოლო მეორეში – ო-ნით. საერთოდ კი ბერძნულ ფუძესთან ახლო დგას სმორენა ფორმა. ზმირინი \\\ სმორენა იმეორებს ბერძნულ ფუძეს ἢ σμύρινα

შ\| ტჰსრჰიჰ. ახალ ქართულში თევზის ამ სახეობის აღსანიშნავად გამოყენებულია სახელი გველთევზა (ქერქამე, 1974, 202).

ძვ. ქართ. III. ზმირინი ტოპონიმი. მივიწინით *ზმირინად* შვიდ-თა მათ ასიისა ეკლესიათაგანისა (ტ. გაბ. 130,3). იყო მუნ ქარავანი დიდძალი წარმსვლელი *ზმირინად* (ტ. გაბ. 128, 10).

ასევე ტოპონიმებად დასტურდება *ზმირნა* // *ზრმინა*. წარეც... ეფესოს და *ზმირნას* (თარგმ. გამოცხ. 11AB, თეოფ). მიჩნეულია, რომ *ზრმინა* მიღებულია მეტათეზისით *ზმირნა-საგან* (ცქიტვილი, 2014).

ზმირნი:

საშ. ქართ. I. ზმირნი გუნდრუკი -საბა.

საშ. ქართ. II. ზმირნი თევზი - საბა.

მური:

ძვ., საშ., ახ. ქართ. I. მური გუნდრუკი. მოილო *მური*, შეზავებული ჰალოფთურთ (ი. 19,39). „მე თვთ მოვიდე მთასა *მურისასა*“ (ო, ქება, 5,5). „მოვისთულე *მური* ჩემი“ (ვ. იერ.-აღდგ 159,21). შესწირეს მისა... *მური* (მ. 2, 11). მისცემდეს მას *მურითა* აღზავებულსა ღვნოსა (მრ. 15, 23) - დან.

მური (ბერძნ.) ზმირინი, სუნნელთ ხეთ ნაწვეთი - დ. ჩუბ.

მერე მოიტანეთ საბრი, საკმელი, ანზარუთი, *მური* (იადიგ. 297, 26). *მური* მჭურვალი არს (ფანასკ. 409,11).

მური [ბერძ. მყრჰჰა-დან] ძვ. სურნელოვანი ფისი. იკმეოდა *მური*, კესი, მუშჰ-ამბარი (ს. შანშ.) - ქეგლ.

ამავე მნიშვნელობით გვხვდება ვაჟას ენაშიც. მისი სიტყვები ვერ გაიგონეს ვერც მწყემსებმა და მოგვთა, რომელთაც ძღვნად შესწირეს მას ოქრო, გუნდრუკი და *მური* („წმმაკი“, ვაჟა) - ჭინჭ.

საშ., ახ. ქართ. II. მური ჭვარტლი, კვამლის ფარილი - დ. ჩუბ. არს ცეცხლისა მიერ და კვამლისა გაშავებულნი ცეცხლის აღსანთებნი ღუმელნი გინა ბუხარნი და მათთა კედელთა შავი მტვერმოკიდებული არს *მური* (თ. ბაგრატ.).

გადატ. მილამებდა გულსა *მური* (ვეფხ. 592, 2). ლხინად ვიჯე, სევდა რამე შემომგარდა გულსა *მურად* (არჩ. 533, 19, 1). ჭმუნვა განაგდო, გარდღუწმდა, გულს ეკრა რაც ჯანგ-*მურია* (დ. გურამ. 90, 201, 2). არცა მომკლას ჯავრმან მისმან, ვისაც უქმენ პირი *მურად!* (ბესიცი, 159, 65, 5).

ქეგლ - მური არასრული წვის პროდუქტი, რომელიც შავი ფერ-ფლის სახით ედება საგნებს, _ ჭვარტლი. ქვაბის *მურის* მონალესით მომიმზადა მელანია, ხარის ბეჭი დაფად მქონდა, მასწავლიდა მელანია (ი. დავით.). «ყეენს» თავ-პირს სულ მთლად უშავებენ წყალში გახსნილი ბუხრის მურით, ჭვარტლით (ივ. ჯავახ.).

დიალექტ. გადატ. მური სოკოვანი დაავადება სიმინდისა, პურისა. *მური* სიმინდის, პურის ავადმყოფობაა. როცა ხშირი წვიმებია ხომე ზაფხულში, პურმა მაშინ იცის. სიმინდს მაღლა, ქუჩუჩოზე უჩნდება, პურსა - თავთავში; შავია სოკოსეევა, სოკოსაც ეძახიან (ქემ.). ყანამაც იცის მური, ხორბალმა, რო გასრესამ მარცვალსა, *მურია* შავი (კარ., აგრეთვე ზერ., ტყვ., ქართლ. ლექსიკ.). გარედან ტარო გეგონება, შიგნიდან *მურია*, ცუდია სიმინდია (ქართ. ჩრდ. შინამრეწ. IV, II, 207).

მზ. ანდრონიკაშვილს მურ-ის ამოსავლად მიიაჩნია „ყავისფერის, შავწითელის“ აღმნიშვნელი ბურ- ძირი, რომელიც ვ. აბაევის აზრით მომდინარეობს ძველი ევრაზიული სუბსტრატული სიტყვიდან, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებში... თურქ. მონგოლ. boro, თურქ. bora, boro „მიწისფერი, ნაცრისფერი“ და სხვა. თავკიდური შენაცვლებულია m-თი სიტყვაში morax „ყავისფერი“, რომელსაც ეძხრობა ქართ. მურა შავწითელი (ანდრონიკაშვილი, I, 1960, 82).

ამავე სიტყვას უკავშირებენ „ციხის“ აღმნიშვნელი შემდეგი სინტაგმის შემადგენილ ნაწილს **მურს**:

მურის ციხე .ტოპ. ადრეფეოდალური ხანის თავდაცვით ნაგებობა ლეჩხუმში. ცხენის წყალზედ არს კავკასის ძირს *მურის ციხე*,

არვისგან შემუსვრილ-აღებული მუნიდამ გარდავალს სუანეთის გზა (ქ. ცხ. IV, 749,12).

თითქოს სიძვირეს ემუქრება შფოთის აწევით, და *მურის ციხე* გადმოსცქერის ვით ზარბაზანი, - როგორ დადიან მოედანზე ქონდრის კაცები (ლ. ასათ.). *მურის* ძველ ხიდთან, სადაც გორმახებს, თითქოს მდინარემ დანა დაუსვა, სამი *ციხე* დგას-*ციხე* „დაუხვდი“, *ციხე*-„დაჰკარი“ და „არ გაუშვა“ (ი. აბაშ.).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, სახელწოდება მური მომდინარეობს შუა საუკუნეებიდან, რაც „ბოლს“ ნიშნავს (კოპალიანი, 2015, 98 ; ლეთოდიანი 2015, 46-59).

ახ. ქართ. III. მური ახლად გამოსული აბრეშუმის ჭია - ქეგლ.

დიალექტ. „ჩემი აბრეშუმი *მურათ* გაფუჭდა და პარკს როგორ აახოვდა“ (ვ. ბერ.). *მურს* გამოჩეკევენ და წამევიყვანთ სამ-სამ გრამ აბრეშუმს (ლორეშა). მურის კანი პირველი კანი, რომელსაც იცვლის აბრეშუმის ჭია კვერცხიდან გამოსვლის შემდეგ, პირველათ ამოდის *მურის* კანი, თეთრთება შავი აბრეშუმი (სანახშირე, ზ.-იმ. ძოწ.). შდრ. სპ. მურ „ჭიანჭველა“.

მურა:

საშ. ქართ. I. მურა „გუნდრუკი“.

საშ. ქართ., ახ. ქართ. II. მურა „შავ-წითელი ძაღლი“ - საბა. მურა ზედს. ინგუშა შავ-წითელი, მურა ცხენი.-დ. ჩუბ.

მურა 1. რუხ-წითელი, შავ-წითელი. ♦ **მურა ნახშირი** ტექ. მდარე ხარისხის ქვანახშირი. 2. შავ-წითელი ძაღლი (საბა). || საერთოდ, ძაღლის ფართოდ გავრცელებული სახელი. ჩვენმა *მურამ* ვიღაცას ყევა დაუწყო (ვაჟა).

მურა დათვი (*Ursus arctos*) — მტაცებელი, ძუძუმწოვარი, დათვისებრთა ოჯახისა (ვიკიპედია). *მურა* დათვი ბუნაგში არ წვება (მონად.). *მურა დათვი* ეკუთვნის დათვების ოჯახს. საქართველოში გხვდება ორი *სახეობა*: კავკასიური *მურა დათვი* და სირიული *მურა დათვი* (ოჩოპინტ.). სულ ადვილად შესაძლოა *მურა* დათვს, კვერნას, მელას, *მთის* არწივს, ... გადაეყაროთ (საუნჯ.). იხ. II. მური.

დიალექტ. III. **მურა** იმერ. რკინის რგოლი, მჭედელნი ხმარობენ ლურსმნის თავის გასაკეთებლად (ვ. ბერ.).

V. **მური**, **მურა** ახალგამოსული აბრეშუმის ჭია (ქიზ. მენთ.).

VI. **მურა** // **მური** (სლოვენ. *Mura*; გერმ. Mur; უნგრ. *Mura*) — მდინარე ცენტრალურ ევროპაში (ვიკიპედია).

3. ძველქართულისეული ბავრუკი nitrum საშუალი საუკუნეების ძეგლებში გვხვდება შემდეგი სახით: (ბორაჩე B.; ბორა ZAaBCD.; ბარაკია B, ბარაკი CD.) (2, 22 იერემ.) მარილს ჰგავს, ოქრომჭედელნი იმარობენ ოქროსა დასადნობელად Z. ტბა რამეა, რომელსა ხაშურივით გამოჰყრის, ოქრომჭედელნი იმარებენ - საბა. საშუალი ქართულის სამედიცინო წიგნების მიხედვით კი დასტურდება ამ სიტყვის შემდეგი ფონეტიკური ვარიანტებიც: ბორაყი ბორა, ბორია, ბორი , ბურა.

ბავრუკი:

ძგ., საშ. ქართ. I. ბავრუკი nitrum. გან-თუ-იბანო *ბავრუკითა* (იერემ.2, 22). ვითარცა მოვიდოდეს გზასა, პოვა მცირე *ბავრუკი* (მ.ცხ. 164v). **საბავრუკე** ბავრუკისა. წარვიდა ტბასა მას *საბავრუკესა* (მ. ცხ. 347r).

ბავრუკი // ბავროკი მარილს ჰგავს, ოქრომჭედელნი იმარობენ ოქროსა დასადნობელად; აიღე *ბავრუკი* ერთი ნაწილი და მარილი საცომე ერთი ნაწილი (ქან. 24,24). დაუზილე ტანი ზეთითა ბერძულითა და *ბავრუკითა* (ფანასკ. 227, 28). მაშინ, თუ ათხევდე, აიღე ბოკილი და *ბავრუკი* და შეგბოლე (ფანასკ. 356, 32).

გვხვდება **ბავროკი**-ც: რომელსა წაეკიდოს დღისა ცხრო, თუ წუნწუბისა წყალსა ბანილ იყოს, .. ანუ *ბავროკისასა* (ფანასკ. 881,9).

საშ. ქართ. II. ბავრუკი, ერთს საჭმელსაც ჰქვიან - საბა. იხ.II. ბორაკი

ბორაკი:

საშ.ქართ.I. ბორაკი იხ. I.ბავრუკი. გაურიე *ბორაკი*-ერთი დრამი (ფანასკ.220, 20).

საშ. ქართ.II.ბორაკი ფახლავა - საბა. იხ. II.ბავრუკი.

შდრ. ბორეგი, ბურეგი (თ. ბორეკ) ნამცხვარი: პურის ცომის თხელ-თხელ ფენებში ჩატანებულია დანაყილი ნიგოზი, რომელიც შეზავებულია შაქრით და გამომცხვარია, ერბოთი (საბა თ. ღუეძილი ბორაკ, ბორაკი, ფახლავა, მარი ჭან. გრამ. ბურელი) (აჭარ. ნიქ.).

ბორაყი:

საშ. ქართ. I. ბორაყი იგივე ბორაკი Nitrum (ფანასკ. 220, 20).

საშ. ქართ. II. ბორაყი ნისლი ხმელი და მტვერის მსგავსი – დ. ჩუბ.

ახალ ქართულში ამ უკანასკნელის მნიშვნელობით დასტურდება ბორაყი დიდი სიციხისაგან და მტვერისაგან დამდგარი ბურუსი. მოზრუნებულიყო ზაფხული, იდგა *ბორაყი* (ო. ჩხ.). ერთხელ კიდევ უნდა ამტვერდეს *ბორაყი*, რათა საბოლოოდ დაცხრეს და დაწყნარდეს (მ. ლებან.). || ბული. [ქარი] გამოაფრქვევდა ღუმელიდან კვამლსა და ფერფლს, მჭვარტლის სუნსა და *ბორაყს* დააყენებდა ქოხში (გ. ბუთხ.) - ქეგლ.

ახ. ქართ., დიალექტ. III. ბორაყი (ხევს.) იგივეა, რაც ბაირადი. წინათ, როცა ხევსურეთი გაილაშქრებდა მტერზე, გუდანის დროშა – „*ბორაყი*“ – წინ მიუძღოდა ჯარსა (ნ. ურბ.) - (ქეგლ ახ. რედ).

„გამიძღვასავ თათარივ, აბაის შვილივ, ჩამიზარებასავ ჩემ ბორაყ-ალვისტანივ [დროშა]“ (თ. ოჩ. სარწმ. 68) – (ხევს. ჭინჭ.).

გვხვდება ამ სიტყვის შემდეგი ვარიანტებიც: ბავრაყი // ბავრაკი საყდრის დროშა (საბა, დ. ჩუბ.). ლომსა... მისი სვიანობისა *ბავრაყი* აუმართავს (ქილ. 325, 30).

ბორაყი, *ბორაყი* დასამწყალობელი ვერცხლით შეჭედილი ჯვარ-ხატი გრძელტარიანი. ამა თუ იმ ხატის ყმათ უხმარიათ გამოსაბრძანებლად და ბრძოლებში დროშად (აკ.) (მოხ. ქავთ.); ბურაყი (ფშ. ხორნ.).

